საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა


# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

10 სექტემბერი ორშაბათი 2012 №214 (13 820) ფასი 80 თეთრი


ლატვია 70
საქართველო 73

EuroBasket SLOVENIA 2013

FIBA EUROPE We Are Basketball

# ჰოპლა, ევროპა!

24-დან 18 ცნობილია

- სლოვენია
- ესპანეთი
- საფრანგეთი
- რუსეთი
- ლიტვა
- საქართველო
- მაკედონია
- ბოსნია
- ჩერნოგორია
- ბრიტანეთი
- საბერძნეთი
- გერმანია
- ფინეთი
- პოლონეთი
- იტალია
- უკრაინა
- ხორვატია
- ჩეხეთი



## საქართველომ ევროპას ლატვიიდან შესძახა:
# ჩვენც გვიყვარს სLOVEნია

ახლა უკვე თამამად შეგვიძლია დავიძახოთ - ჰოპლა ევროპა! საქართველოს ნაკრები გადაახტა ჰოლანდიას, რუმინეთს, ლატვიას და მოხვდა იქ სადაც მისი ადგილია. 2011 წლის ევრობასკეტზე ჩვენმა კალათბურთელებმა საუკეთესო 12 ქვეყანას შორის „დაიდეს ბინა“ და ყველას გვჯეროდა, რომ ეს კანონზომიერება იყო.

კარგად ვიცოდით, წლევანდელ შესარჩევზე იგორ კოკოშკოვის გაწვრთნილი გუნდი ფინალური ეტაპის საგზურს აუცილებლად მოიპოვებდა, მაგრამ გასარკვევი იყო - როდის? 9 ათასი გულშემატკივარი მივიდა სპორტის სასახლეში საქართველოსა და ბოსნიის ნაკრებთა დაპირისპირების სანახავად (5 სექტემბერს), მოგებისა და ევრობასკეტზე მოხვედრის იმედით, მაგრამ სახალხო ზეიმი არ შედგა.

განგების ნებით, ჩვენმა გუნდმა სამი დღის შემდეგ, შორეულ ლატვიაში მიაღწია მიზანს, ტელევიზიით ვადევნეთ თვალი ჩვენი კალათბურთელების ტრიუმფს, 73:70 გავიმარჯვეთ. რადგან მატჩი უცხო ქვეყანაში იყო, სახალხო ზეიმი სამშაბათისთვის გადაიდო - მადლობის ნიშნად ჰოლანდიასთან საშინაო შეხვედრაში სპორტის სასახლე კიდევ ერთხელ უნდა გავავსოთ და ერთად გავიხაროთ ევრობასკეტზე მოხვედრით. მადლობა კი ნამდვილად ეკუთვნით, რადგან ლატვიაში ბრძოლით ჩვენმა გუნდმა მონატრებული გულწრფელი სიხარული გვაგრძნობინა. ერთი გულშემატკივრის სიტყვებს გავიხსენებთ: ბოსნიასთან თბილისური მატჩის შემდეგ მთელი ღამე არ მეძინა. წარმოიდგინეთ, ასეთი ემოციური ქომაგი როგორ გაიხარებდა ლატვიაში გამარჯვებით...

გაგრძელება მე-12 გვერდზე

## დელ ბოსკეს შემოუთვლია:
### ბიჭი ვარ და მოვედი, ბიჭები ხართ და დამხვდითო





ფოტოები: www.gff.ge

მსოფლიოს ჩემპიონი თბილისშია

2



## სერენამ ამერიკა მეოთხედ დაიპყრო

წუხელ, ფინალში:

| | | | |
|---|---|---|---|
| სერენა უილიამსი | 6 | 2 | 7 |
| ვიქტორია აზარენკა | 2 | 6 | 5 |

ქართული ფეხბურთი



# ესპანეთი ახლოდან ჯერ არ გვინახავს



იკერ კასილიასი



პიკე

ესპანეთის ნაკრები თბილისში გუშინ საღამოს ჩამოფრინდა და სასტუმრო "თბილისი მერიოტში" დაბინავდა. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებმა აეროპორტი უკომენტაროდ დატოვეს. მეტიც, ესპანელთათვის ფოტოების გადაღებაც კი გაჭირდა.

სტუმრებმა გუშინ ვარჯიშზე უარი თქვეს და სასტუმრო აღარ დაუტოვებიათ, დღეს კი **ვისენტე დელ ბოსკეს** გუნდი 20 საათზე ეროვნულ სტადიონზე ივარჯიშებს. ვარჯიში მედიისთვის მხოლოდ საწყისი 15 წუთის განმავლობაში იქნება ღია.

დღის პირველ ნახევარში, 12 საათსა და 30 წუთზე კი სასტუმრო "რედისონში" ვისენტე დელ ბოსკეს პრესკონფერენცია გაიმართება.

ესპანელები თბილისში ამ შემადგენლობით ჩამოვიდნენ:

მეკარეები: **იკერ კასილიასი (რეალი), ვიქტორ ვალდესი (ბარსელონა), პეპე რეინა (ლივერპული, ინგლისი);**

მცველები: **ჟერარდ პიკე, ხორდი ალბა (ორივე - ბარსელონა), სერხიო რამოსი, რაულ ალბიოლი, ალვარო არბელოა (ყველა - რეალი), ნაჩო მონრეალი (მალაგა), ხუანფრანი (ატლეტიკო);**

ნახევარმცველები: **სერხიო ბუსკეტსი, ანდრეს ინიესტა, სესკ ფაბრეგასი, ჩავი (ყველა - ბარსელონა), ბენიატ ეჩევერია (ბეტისი), ჩაბი ალონსო (რეალი), სანტი კასორლა (არსენალი, ინგლისი), დავიდ სილვა (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), ხესუს ნავასი (სევილია);**

თავდამსხმელები: **ფერნანდო ტორესი (ჩელსი, ინგლისი), პედრო, დავიდ ვილია (ორივე - ბარსელონა), რობერტო სოლდადო (ვალენსია).**

დელ ბოსკემ ამჯერად არ გამოიძახა **ხუან მატა, ხავი მარტინესი, კარლეს პუიოლი, ფერნანდო ლორენტე** და **ალვარო ნეგრედო.**

**ლევან ჯანეზაშვილი**

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები



ჩავი ერნანდესი



ფერნანდო ტორესი

თვალსაზრისი

# მანიპულაცია

ყველაფერს ყისმათი უნდა, რაც არ უნდა კარგად გააკეთო გასაკეთებელი, იღბალმა თუ არ დაგიამხანაგა, ჭკვიდ იქნება შენი საქმე.

იღბალი სჭირდება მწვრთნელსაც. **თემურ ქეცბაია** წარმატებული ადამიანია, ოღონდაც მწვრთნელობა ისეთი პროფესიაა, ყველგან და ყოველთვის წარმატებული ვერ იქნები.

წინა შესარჩევის პირველ შეხვედრაში მალტას მატჩის მიწურულს მოვუგეთ **დავით სირაძის** თავური გოლით, ისიც ისეთი თამაში იყო, წაგებაც შეიძლებოდა, მაგრამ უფრო ყისმათიანი ჩვენი ნაკრები გამოდგა.

ღმერთი იმას წყალობს, ვისაც მხრებზე თავი აბია – კარგად არის ნათქვამი, მაგრამ კარგად თქმული ყოველთვის ვერ იქნება აქსიომა.

ქეცბაიამ ძალიან მნიშვნელოვანი თამაში მოუგო **კონდრატიევის** ბელარუსს. ქეცბაიას ნაკრებმა ისევ უფრო დაცვაზე ორიენტირებული ტაქტიკა აირჩია და ამან გაამართლა. ალბათ ბელარუსსზე უკეთესი ნაკრები ჰყავდა ხორვატიას წინა შესარჩევში, მაგრამ დაცვითი ტაქტიკით ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა მაშინაც გაიმარჯვა.

დაცვით თამაშსაც შესრულება უნდა. ამას საუკეთესოდ იტალიელები აკეთებენ – ასეთია საყოველთაო აზრი, თუმცა იტალია ამას სულ სხვანაირად ასრულებს, ვიდრე საქართველო. მეტოქე დაკარგავს თუ არა ბურთს, იტალია მყის 5-6 ფეხბურთელით გადადის შეტევაში, ანუ იერიშში მინიმუმ ხუთი ფეხბურთელი მონაწილეობს.

საქართველოს ნაკრების რესურსი ისეთი არ არის, როგორიც იტალიის და

ეს ყველაფერი კარგად გამოიყენა.

...ნაკრების ახალი კაპიტანი **ჯაბა კანკავა** 30-ე წუთზე გააფრთხილეს, პირველ ტაიმში კანკავამ ჩვენი კარიდან მარჯვენა ფლანგზე მეტოქის მწვავე შეტევა წესის დარღვევით ჩაშალა. მსაჯს შეეძლო, მეორე გაფრთხილება მიეცა კანკავასთვის, მაგრამ გადავრჩით, ბულგარელი არბიტრი **სტანისლავ ტოდოროვი** ჩვენს მიმართ ტოლერანტული გამოდგა, თორემ წესების სრული დაცვით შეეძლო, კაცნაკლული დაეტოვებინა საქართველოს ნაკრები.

ბელარუსი ალღოიანი გუნდი გამოდგა, ათიოდე წუთი დასჭირდა, რათა დაენახა, თუ სად იყო ნაპრალი საქართველოს დაცვით ეშელონებში. სტუმრები მეტწილად მარჯვენა ფლანგიდან ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს. **გია გრიგალავა** მონდომებული კი იყო, მაგრამ უზადოდ ნამდვილად ვერ ითამაშა. როცა განაპირა მცველი შეტევაში არ ან ვერ ერთვება, მეტოქე აქეთ ცდილობს თავისი თამაში მოგახვიოს.

მარჯვენა ფლანგზე მოთამაშე **გურამ კაშია** მყარად იდგა, ის საკმაოდ სწრაფია და შეტევაში წასვლაც შეუძლია. კაშია სანაკრებო დონის ფეხბურთელია, რომელსაც დაცვის ცენტრშიც შეუძლია თამაში. ფლანგზე ის **ზურაბ ხიზანიშვილზე** უფრო ეფექტურია, ამის საშუალებას სისწრაფე აძლევს.

ხიზანიშვილი ვერ იქნებოდა კარგ ხასიათზე, ქეცბაიამ მას კაპიტნობა ჩამოართვა. მიუხედავად ამისა, ის მაინც სასარგებლო იყო მოედანზე, რამდენჯერმე წაიკითხა მეტოქის სვლა, რამდენიმე ორთაბრძოლა მოიგო, თუმცა ხარვეზებიც ჰქონდა.



თემურ ქეცბაია

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

საერთოდაც, იტალია და დიდი ნაკრებები ჩვენთვის მეტრი ვერ იქნებიან. ჩვენთვის მთავარია, რომ ნაკრებმა სახე მიიღოს, ახალგაზრდული ნაკრებიც იგივე მოდელს ამუშავებდეს, მივაღწიოთ იმას, რომ თქვან, ქართველები აი, ასე თამაშობენო.

ქართულმა ფეხბურთმა საკუთარი ხელწერა დაკარგა და რა თქმა უნდა, ეს სულაც არ არის ეროვნული ნაკრების მწვრთნელის ბრალი. ოღონდაც მწვრთნელი ამ ყველაფერში ის ღერძია, რომელმაც თავისებურად უნდა აამუშაოს მექნიზმი, ანუ მიმართულება მისცეს პროცესს.

ბელარუსთან ყველაფერი საჩვენოდ შეტრიალდა. მეტოქეს სამი ფეხბურთელი დაუშავდა და ყველა შეცვლა იძულებული გამოდგა. ეს არ იყო პატარა ფაქტორი, საკმაოდ მნიშვნელოვანი დარტყმა იყო ბელარუსისთვის, კონდრატიევის გუნდი არ არის ესპანეთი და გერმანია, სამი საკვანძო მოთამაშე სრულფასოვნად რომ შეცვალოს. ჩვენი გუნდის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ

**ალექსანდრე ამისულაშვილი** კარგად გაისარჯა. რამდენიმე თვის წინ ინტერვიუში გვითხრა, ჩვენ ფეხბურთელები ვართ, აბა პარიკმახერები ხომ არაო. ეს იყო პასუხი იმ გამონათქვამებზე, ჯიუტად რომ იმეორებენ, ფეხბურთელი არ არის ნაკრებში და მწვრთნელმა რა უნდა მოახერხესო.

მოსახერხებელი ერთია – ჯერ სახე, მერე კი შედეგი. სხვანაირად სულ იმაზე ვიქნებით დამოკიდებული, გაამართლებს თუ არა დაცვითი ტაქტიკა.

ახლა ესპანეთი გველის. საქართველოს აქვს დიდ გუნდებთან თამაშის გამოცდილება, თუმცა ასეთი ფეხბურთელები ამ ნაკრებში ცოტანილა დარჩნენ. მოგებას ესპანეთთან არავინ მოსთხოვს საქართველოს, მაგრამ ილუზიებში რომ ვიყოთ, ამის უფლება მგონი გვაქვს – ყველა თამაშს ხომ ესპანეთიც ვერ მოიგებს.

ბევრს ეგონა, რომ საქართველო ხორვატიას დაამარცხებდა? ეს ფეხბურთია და მასზე ლაპარაკის დროს ბევრი რამით შეიძლება მანიპულირება...

**დავით თავართქილაძე**

საქართველო-ბელარუსი. გამოხმაურება



თორნიკე ოქრიაშვილის გოლი ბელარუსის ნაკრების კარში

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

## თორნიკე ოქრიაშვილი: საოცნებო დებიუტი იყო

...სამი წლის წინ "გაგრას" პრეზიდენტს ბესო ჩიხრაძეს უთხრეს, ფული ოჯახს და ახლობლებს მოახმარე, შეეშვი ამ "გაგრას", ცარიელი ხარჯიაო. ჩიხრაძის პასუხი კი ასეთი იყო: მართალია, ხარჯია, მაგრამ ჩემზე ბედნიერი კაცი არ იქნება, საქართველოს 2-3 კარგ ფეხბურთელს თუ გავუზრდიო.

თორნიკე ოქრიაშვილი, რომელმაც ბელარუსთან შეხვედრის ბედი ულამაზესი გოლით გადაწყვიტა, სწორედ "გაგრას" გაზრდილია. ჩიხრაძე მართალია, ვერაფერი გადაწონის იმ სიხარულს, რაც მარიუპოლის "ილიჩიევეცის" 20 წლის შემტევმა ნახევარმცველმა პირადად მას და მთელ საქართველოს მოჰგვარა. ოქრიაშვილის გაზრდაში კი მას დიდი წვლილი მიუძღვის.

... თანამედროვე ფეხბურთი, სწორი თამაში – ეს სიტყვები იმდენად ფესვგამდგარია ქართულ საფეხბურთო საზოგადოებაში, რომ ბევრს მთავარი დაავიწყდა: შედეგს მკაფიო ინდივიდუალისტები წყვეტენ, რომლებიც გადამწყვეტ ეპიზოდში ამ განერილი სქემებით სულაც არ თამაშობენ.

ერთხელ რომარიოს ჰკითხრეს, ფინტებს როგორ აკეთებო და გაეცინა, წინასწარ თავად არ ვიცი, რას გავაკეთებ, ეს ყველაფერი წამიერად, ინსტინქტურად გამომდისო.

ცხადია, ბელარუსს მოვუგეთ და არა ესპანეთს, მაგრამ სერგეი ვერემკოს კარში ოქრიაშვილის გატანილ ბურთს ნებისმიერი ვარსკვლავი ხელს მოაწერდა. ასეთი ლამაზი გოლი ქართველის შესრულებით დიდი ხანია არ გვინახავს. უკრაინულმა "სპორტს-ექსპრესმა" კი მატჩისადმი მიძღვნილი წერილი ასე დაასათაურა: "შედევრი ოქრიაშვილისგან".

თორნიკე ოქრიაშვილი "ლელოს" განვლილ შეხვედრასა და სხვა საინტერესო ამბებზე ელაპარაკა.

**- შეხვედრის დასაწყისში ჩვენი მოგება საკმაოდ სათუო ჩანდა, ბელარუსები კი კარგად გამოიყურებოდნენ.**

- პირველი ტაიმი ისე ვერ ვითამაშეთ, როგორც ქეცბაია გვთხოვდა. მაგრამ შესვენებაზე მწვრთნელი გველაპარაკა და დაგვაჯერა, რომ დაუმარცხებელი მეტოქე არ იყო. თავად ბიჭებმაც ვილაპარაკეთ, რომ ციკლის პირველი შეხვედრა აუცილებლად უნდა მოგვეგო და თავადაც ნახეთ, რასაც ჰქვია, ბოლომდე ვიომეთ.

საერთოდ, სადებიუტო შეხვედრის შედეგი ძალიან მნიშვნელოვანია და საბედნიეროდ, მოვიგეთ. მიმაჩნია, რომ საქართველოს ნაკრებმა ეს ბიჭების სულისკვეთებით მოახერხა.

**- ასეთი გოლი როდესმე გაგიტანია?**

- არასოდეს... თუმცა, არა, საქართველოს ჩემპიონატში გავიტანე, მაგრამ არ მახსენდება, ვის კარში. ბელარუსთან კი ნაკრებში პირველი ოფიციალური შეხვედრა ჩავატარე და თამაშში ყველაფერი ჩავდე. ნაკრებში ასეთი ოფიციალური დებიუტი მართლაც საოცნებო იყო.

**- ასეთ მოძრაობებს წინასწარ ვერ ჩაიფიქრებ, ყველაფერი უცებ, იმპროვიზებულად ხდება.**

- სხვათა შორის, ასე ნამდვილად არ არის. ვიცოდი, რომ ბელარუსებს ათლეტი, მაგრამ არატექნიკური მცველები ჰყავდათ და ჩემს გონებაში მათთან სათამაშოდ ვარიანტებს ვამუშავებდი. დაახლოებით ვხვდებოდი, რაზე შეიძლებოდა წამოგებულიყვნენ.

**- მატჩის ბოლოს მოედანი ტრავმის გამო დატოვე – ესპანეთამდე მომჯობინდები?**

- საზარდული დამეჭიმა, მაგრამ იმედია, სერიოზული არაფერია და 11 სექტემბრისთვის მზად ვიქნები.

## ვიტალი როდიონოვი: შედეგი ყოველთვის ლოგიკურია

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ნაკრებთან ბელარუსთა დამრიგებელმა გეორგი კონდრატიევმა "ბატეს" თავდამსხმელი ვიტალი როდიონოვი არ ათამაშა. ვიტალიმ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე 6 გოლი გაიტანა და მშვენიერ ფორმაში იყო. ბელარუსულ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია მისი ტრავმის შესახებ გაზვიადებული აღმოჩნდა და ქართველების დეზინფორმაციისთვის იყო გამიზნული.

ვიტალის მატჩის შემდეგ დაველაპარაკეთ და გაგვიზიარა თავისი შთაბეჭდილება მატჩზე და უთამაშებლობით უკმაყოფილება არ დამალა.

**- შეხვედრაზე რას ფიქრობთ?**

- თქვენმა გუნდმა მომენტებით უკეთ ისარგებლა. ბელარუსმაც არანაკლები მომენტები შექმნა, მაგრამ ეს ჩვენი დღე არ იყო. ასე რომ, ქართველებს გამარჯვებას ვულოცავ. არაფერი გასაკვირი არ ყოფილა, ფეხბურთში ასეა, ვერ გაიტან, გაგიტანენ და იმის გახსენება, რა შეგვეძლო და ვერ გავაკეთეთ, ჩხუბის შემდეგ ხელების ქნევას ჰგავს. ხელები თამაშის დროს უნდა მოგვექნია.

**- თქვენი ნაკრები გოლამდე კარგად გამოიყურებოდა, მერე კი აშკარად დაიბენით. არადა, წინა წლების გამოსვლებიდან ბრძოლისუნარიანი ნაკრების შთაბეჭდილებას ტოვებდით.**

- სამწუხაროდ, ასეა, ბიჭები მართლაც დაიბნენ. ალბათ, იმიტომაც, რომ ასეთ დაძაბულ მატჩებში ერთი გოლიც ძალიან ბევრს ნიშნავს და როდესაც გავუშვით, მიხვდნენ, რომ მოგების შანსი ძალიან შემცირდა. არადა, მოგება გვსურდა და გვჯეროდა, რომ შევძლებდით. სამწუხაროდ, საქართველოს ნაკრები ბევრად უფრო ბრძოლისუნარიანი აღმოჩნდა, ვიდრე წარმოგვედგინა.

**- საქართველოს ნაკრებიდან რომელი ფეხბურთელი დაგამახსოვრდათ?**

- გოლის ავტორი ჩემთვის აღმოჩენა იყო. ძალიან ნიჭიერი და საინტერესო მოთამაშე ჩანს. საერთოდ, თქვენი ფეხბურთელებიდან ბევრს არც ვიცნობდი. გამიგია, "სპარტაკში" ჯანო თამაშობს, ვიცნობ თარგამაძესაც, რომელთანაც "ფრაიბურგში" მითამაშია. კიდევ ორიოდე გვარი და მთავარი მწვრთნელის შესახებ ვიცოდი, ქართველებზე ჩემი ცოდნა ამით შემოიფარგლებოდა.

**- ბელარუსი ჟურნალისტები შესვენებაზე ამბობდნენ, რომ ნაკრების მატჩის წინ ორჯერადი ვარჯიშები კონდრატიევისგან გაუგებარი საქციელი იყო, მოთამაშეები გამოფიტაო.**

- ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ჩემგან არასწორი იქნება, ეს მწვრთნელის პრეროგატივაა, მაგრამ... ყველანი კლუბებში ვთამაშობთ, სეზონი დაწყებულია და ამ დროს ორჯერადი დატვირთვები მართლაც არ არის სასიამოვნო.

**- თქვენი აზრით, შედეგი ლოგიკური იყო?**

- მიმაჩნია, რომ შედეგი ყოველთვის ლოგიკურია და დამარცხებას ახსნა ყოველთვის მოეპოვება. ასეთ შეხვედრაში გოლი აუცილებლად უნდა გაგვეტანა, რაც, ჩვენდა სამწუხაროდ, ვერ მოვახერხეთ. უგოლოდ სამ ქულას ვერავინ მოიპოვებს.

**- კონდრატიევმა რატომ არ გათამაშათ?**

- რა ვიცი, ვერაფერს გეტყვით. დასამალია არ არის, უკმაყოფილო ვარ. მეგონა, რომ ნაკრებისთვის სარგებლობის მოტანა შემეძლო.



ვიტალი როდიონოვი

## ბელარუსული მედია: რატომ ვიყავით მოგებაში დარწმუნებული?

ბელარუსული მედია და გულშემატკივრები უკმაყოფილოები არიან. საქართველოს ნაკრებთან მარცხს გიორგი კონდრატიევის შეცდომებს მიაწერენ, მაგრამ ფეხბურთელებიც არ დაინდეს.

მათ უკმაყოფილებას იწვევს ის, რომ გეორგი კონდრატიევი კიდევ ათამაშებს 38 წლის ალექსანდრ კულჩის, ჯანი აღარ შერჩა და არაფერი გამოსდისო. არადა, კულჩი მათ რიგებში ერთ-ერთი საუკეთესო იყო.



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

გულშემატკივრები წაგების მიზეზებზე მსჯელობენ:

- ვინ თქვა, რომ საქართველოს ნაკრები აუცილებლად უნდა დაგვემარცხებინა და რომ მათ ერთი თავით ვჯობდით? ტრაგედია მოხდა? არ დაგვავიწყდეს, თავად რა დონეზე ვართ. ვერ გაიტან და კარგად იყავი!

- კონდრატიევის დაცვითი ტაქტიკა უკვე მაღიზიანებს. იმის ნაცვლად, რომ მეორე თავდამსხმელით შეტევა გაეძლიერებინა, უფერული **დრაგუნი** შეიყვანა.

- შეიძლება ძირითადში უმთავრესად უთამაშებელი ან მცირე სათამაშო პრაქტიკის მქონე ხალხის დაყენება? როგორ შეიძლება **როდიონოვის** მსგავსი მაღალი კლასის მოთამაშეთა იგნორირება და აქცენტის **კორნილენკოზე** გაკეთება? ფაქტობრივად, ბატეს ფეხბურთელები ჩრდილში არიან, რომლებსაც ერთმანეთის უსიტყვოდ ესმით და შეთამაშების პრობლემა არ გააჩნიათ. ჩვენი მწვრთნელების უკვე აღარ მესმის. ძირითადში ვხედავთ ტრამამოშუშებულ **ტიგორევს**, პრაქტიკისა და "ფიზიკის" არმქონე **ჟავნერჩიკს**, მუდამ შეცდომებით მოთამაშე **ვერხოვცევს**, ნულოვანი სარგებლობის მქონე **ნეხაიჩიკს** და გერმანიაში ზრდაშეჩერებულ **პუტილოს**.

კონდრატიევს მინდა ვუთხრა: ეს ფეხბურთელები თავიანთ კლუბებში სათადარიგოებში ტყუილად არ სხედან და ეს იმის მაჩვენებელია, რომ ფიზიკურად და მორალურად მოუმზადებლები არიან.

- პრობლემა თავდასხმაშია. კორნილენკო მებრძოლი და მონდომებულია, მაგრამ მუდამ ცუდად არტყამს და ამოცანის დამოუკიდებლად გადაწყვეტა არ შეუძლია ისევე, როგორც ეს **ოქრიაშვილმა** გააკეთა. როდესაც გამტანი თავდამსხმელი არ გვყავს, იქნებ ორი ფორვარდი დავაყენოთ და მეტოქეს მათი რაოდენობით მაინც ვაჯობოთ?

- რატომ ვიყავით ასეთი დარწმუნებული გამარჯვებაში, ქართველებს სულაც არ ჰყოლიათ ხელწამოსაკრავი ნაკრები.

- **ბერნდ შტანგემ** "სტად დე ფრანსზე" საფრანგეთს მოუგო, კონდრატიევისგან მსგავსის იმედი არ უნდა გვქონდეს, როდესაც საქართველოსთან ვაგებთ.

- ქართველების ბრძოლისუნარიანობა ჩემთვის სიურპრიზი აღმოჩნდა.

უკმაყოფილებას ნაკრების წევრებიც არ მალავენ და ხელს ერთმანეთისკენ იშვერენ. ასე მაგალითად, ბელარუსთა ნახევარმცველი **ალექსანდრ კულჩი** ამბობს: *"თითქოს, რაღაც ეპიზოდებში უპირატესობა მოვიპოვეთ, პირველი ტაიმის ბოლოს კარგად ვითამაშეთ, მაგრამ რგოლებში სასურველი კავშირის დამყარება, გაშვებული ბურთის შემდეგ კი გადაწყობა ვერ მოვახერხეთ. ტრავმირებულთა გამო ტაქტიკური კორექტივების განხორციელებაც შეუძლებელი აღმოჩნდა. დავეთანხმები იმ აზრს, რომ პუტილო ბურთს ძალიან აყოვნებდა და ჩვენს შეტევებს აფერხებდა".*

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

ქართული ფეხბურთი

საკონტროლო მატჩი

# ორი პერსონა



ჩისკო



სლავჩო გეორგიევსკი

მოლოდინისამებრ, თბილისის „დინამოსა“ და ბაქოს „ინტერის“ სპარინგმატჩი საინტერესო გამოდგა. არც ის იყო პატარა ამბავი, ჩვენი ქვეყნის ყველაზე ტიტულიანი კლუბისა და აზერბაიჯანის ყველაზე „ქართული გუნდის“ პაექრობას „მიხეილ მესხის“ სტადიონზე 500-მდე გულშემატკივარმა რომ თვალი ადევნა. შეხვედრას დაღი ვერც იმან დაასვა, რომ მეტოქეები არაოპტიმალური შემადგენლობით ასპარეზობდნენ: სანაკრებო მატჩებისა თუ ტრავმების გამო მასპინძლებს **გიორგი ლორია, გიორგი რეხვიაშვილი, ჯაბა დვალი, მიკელ ალვარო** და **ვლადიმერ ვოსკობოინიკოვი** აკლდათ, სტუმრებს კი — **ვლადიმერ ლევინი, ნიზამი გაჯიევი, ტალეს შუტცი** და **პეტარ ზლატინოვი.**

...მატჩი ამხანაგური იყო და ორივე გუნდმა „გახსნილი ფეხბურთი“ შემოგვთავაზა; პირველი სახიფათო მომენტი დინამოელებმა შექმნეს, როცა **გიორგი სეთურიძის** პასის შემდეგ **ლევან ხმალაძის** თავური „ინტერის“ კარის ხარიხას მოხვდა. დინამოელთა მომდევნო შეტევა კი გოლით დამთავრდა: ჩისკომ მარჯვნიდან გამჭოლი გადაცემა გააკეთა, **გიორგი მერებაშვილმა** ბურთი ოსტატურად გაატარა და **ირაკლი ძარიამ** ახლო მანძილიდან ზუსტად დაარტყა. თითქოს, გაშვებულ გოლს ელოდნენო — ამის მერე ტერიტორიულ უპირატესობას სტუმრები დაეუფლნენ და დროის მოკლე მონაკვეთში ორი სახიფათო მომენტი შექმნეს. თუმცა ვერც **ბაჩანა ცხადაძემ** და ვერც **იბრაჰიმ ნიასემ** ამით ვერ ისარგებლეს. თუმცა, სტუმრების აქტიურობა ლოგიკური და, ეფექტური გოლით დასრულდა: „ინტერმა“ სწრაფი შეტევა წამოიწყო, რასაც ცხადაძის დიაგონალური გადაცემა და **სლავჩო გეორგიევსკის** მართლაც დიდოსტატური დარტყმა მოჰყვა. 32 წლის გეორგიევსკი, საერთოდაც ერთ-ერთი გამორჩეული გახლდათ ამ შეხვედრაში: მაკედონიელი საყრდენი ნახევარმცველი მუდამ „ერთი შეხებით“ ცდილობდა შეტევების წამოწყებას და გადაცემებშიც, ფაქტობრივად, წუნი არ ჰქონდა. თუმცა, გეორგიევსკის გარდა ამ სპარინგ-შეხვედრას კიდევ ერთი გამორჩეული პერსონა ჰყავდა: 32 წლის **ჩისკო** რა დონის ფეხბურთელიც არის, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით. „დინამოს“ ესპანელმა ლეგიონერმა მეორე ტაიმში გაიბრწყინა, როცა ერთმანეთზე უკეთესი შორეული პასებით **რობერტინიო** ორჯერ გაიყვანა **რევაზ თევდორაძესთან** პირისპირ, მაგრამ მასპინძელთა ბრაზილიელმა შემტევმა ორივეჯერ „მოახერხა“ და უაღრესად ხელსაყრელი პოზიციიდან ბურთი კარს ააცილა!.. არადა, მეორე ტაიმი „ინტერმა“ აქტიურად დაიწყო — **გიორგი ადამიამ** აქეთ-იქით ჩინებული პასები „დაარიგა“, მაგრამ სტუმართა ახალწვეულს **არაფატ ჯაკოს** აშკარად ეტყობოდა, რომ პარტნიორებთან შეუთამაშებელი იყო. ამას მოჰყვა, ცოტა არ იყოს, საკამათო პენალტი სტუმართა კარში: არბიტრმა მიიჩნია, რომ **არიფ დაშდამიროვმა** საკუთარ საჯარიმოში რობერტინიო წააქცია და ჩისკომაც თერთმეტმეტრიანი ზუსტად გამოიყენა — 2:1. ჰოდა. ამის მერე დაიწყო, რაც დაიწყო: რობერტინიოს გაცუდებული ორი მომენტი რა სახსენებელია იმასთან შედარებით, სტუმრებმა რაც გაანიავეს! იბრაჰიმ ნიასე ურიგო საყრდენი ნამდვილად არ არის, მაგრამ 24 წლის სენეგალელი დამაგვირგვინებელ ფაზაში აშკარად მოიკოჭლებს: — სულ მცირე, სამი უაღრესად ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა (ორჯერ ააცილა, ერთ ეპიზოდში კი **თორნიკე ზარქუამ** იყოჩაღა), თანაც სამივეჯერ ახლო მანძილიდან ურტყამდა! იგივეს თქმა შეიძლება უაკოზეც, მატჩის მიწურულს ორი ჩინებული შანსი რომ გაანიავა. საერთოდაც, „ინტერმა“ ტაქტიკურად გასწავლული და ორგანიზებული გუნდის შთაბეჭდილება დატოვა; თანაც, ჩვენთვის სასიამოვნოა იმის აღნიშვნაც, რომ ყველა ქართველი ლეგიონერი მშვენივრად გამოიყურებოდა. „დინამო“ კი კვლავ აგრძელებს დაუმარცხებელ სერიას: **დუშან უჰრინის** ხელმძღვანელობით გუნდმა უკვე 15 თუ 16 მატჩი (საკონტროლოების ჩათვლით) ჩაატარა და არც ერთში დამარცხებულა!

გია ბაგოშიძე

**დინამო (თბ.) — ინტერი (აზ.) 2:1**

1:0 ძარია (21), 1:1 გეორგიევსკი (40), 2:1 ჩისკო (56, პენალტით).

დინამო: ზარქუა — სეთურიძე, კვარაცხელია (88. ხოჭოლავა), კაკუბავა (74. გველესიანი), გლიშიჩი — კოტო (84. ტვილდიანი), ხმალაძე, ძარია, მერებაშვილი (86. პარუნაშვილი) — ჩისკო (82. ლექვთაძე), რობერტინიო (68. იაგუე).

*სათადარიგოები:* სეფიაშვილი, კვეკვესკირი.

მწვრთნელი: დუშან უჰრინი

ინტერი: ლომაია (46. თევდორაძე) — დაშდამიროვი, აბრამიძე, აბდულაიე, კანდელაკი (46. ამირჯანოვი) — ნიასე, ბაირამოვი (87. მანსუროვი), გეორგიევსკი — მამედოვი (82. ზარგაროვი), ადამია (70. გენოვი) — ცხადაძე (46. ჯაკო).

*სათადარიგოები:* ჯაფაროვი, დინიევი, აბასიევი, ბარმეტლერი

მწვრთნელი: კახა ცხადაძე

გაფრთხილება: ადამია (35), დაშდამიროვი (55), კაკუბავა (72), გეორგიევსკი (75).

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

ზესტაფონი

# სპარინგი ახალი მწვრთნელის მოლოდინში

„ზესტაფონმა“ სანაკრებო პაუზით ისარგებლა და საკუთარ ბაზაზე საკონტროლო მატჩი გამართა. საქართველოს მოქმედმა ჩემპიონმა მარტვილის „მერანს“ უმასპინძლა და სოლიდური ანგარიშით, 4:1 გაიმარჯვა.

მე-4 წუთზე მასპინძლები **დავით რაჟამაშვილმა** დააწინაურა, მე-7-ეზე კი „მერანის“ კარი **შოთა ბაბუნაშვილმა** დალაშქრა. 34-ე წუთზე ანგარიშში სხვაობა **გიორგი რეხვიაშვილმა** შეამცირა და პირველი ტაიმი 2:1 დასრულდა.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე **მიშიკო სარდალიშვილმა** ორბურთიანი სტატუს-კვო აღადგინა, მატჩის საბოლოო ანგარიში კი 75-ე წუთზე **ოთარ კვერნაძემ** დააფიქსირა.

ზესტაფონი: მამალაძე (მეშველიანი), ელიავა, გაგოშიძე, კაჭკაჭიშვილი (მალამბერიძე), ლონლაძე (თორ. გრიგალაშვილი), მენთეშაშვილი (ჭანტურიშვილი), ბაბუნაშვილი (შარვაძე), აფციაური (კვერნაძე), მილხრაული (სარდალიშვილი), რაჟამაშვილი (სამუშია), წინამძღვრიშვილი (ლირდქლაძე).

მერანი: შეროზია (ბერია), მჭედლიშვილი, იობაშვილი (კიკალიშვილი), ჟვანია (ბუკია), ქარქუზაშვილი (გეგია), დიდავა (გაბისონია), ნოზაძე (მელიავა), ფონიავა (ჩხეტიანი), ამბროლაძე (გეგეჭკორი), რეხვიაშვილი (კურტანიძე (კუჭუხიძე), ლომია (ტორონჯაძე).

როგორც ხედავთ, „ზესტაფონს“ დაუბრუნდა **რატი წინამძღვრიშვილი**, რომელიც ფეროელებიდან რამდენიმე თვის განმავლობაში იყო წასული. ბუნებრივია, ამ შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღიათ საქართველოს ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებებში გამოძახებულ ფეხბურთელებს.

„ზესტაფონს“ ჯერჯერობით კვლავაც **დემურ გიორგობიანი** ამზადებს, ახალი მთავარი მწვრთნელის საკითხი კი მალე გაირკვევა.

ლევან ჯანეზაშვილი



მეტალურგი

# ტესტი სიმურგთან

სანაკრებო პაუზა გამოიყენა რუსთავის „მეტალურგმაც“ – რუსთაველები შინ ზაქათალის „სიმურგს“ გაეჯიბრნენ და 0:1 წააგეს.

„მეტალურგმა“ პირველ ტაიმში ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **ჰოსმანი, ჯაფარიძე, მახვილაძე, გავაშელიშვილი, სუხიაშვილი, განუგრავა, დობროვოლსკი, გეწაძე, თექთურმანიძე, მიქაბერიძე, ტატანაშვილი.**

რუსთაველებს გოლის გატანის არაერთი შესაძლებლობა ჰქონდათ, მაგალითად, **გიორგი თექთურმანიძის** პასით **დიმიტრი ტატანაშვილი** გავიდა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ შანსი ვერ გამოიყენა.

აზერბაიჯანულმა „სიმურგმა“ , რომელსაც **გიორგი ჩიხრაძე** წვრთნის, გოლი პირველ ტაიმში გაიტანა. შესვენების შემდეგ მოედანზე „მეტალურგის“ სასტარტო შემადგენლობიდან მხოლოდ **გიორგი გავაშელიშვილი** და **ანზორ სუხიაშვილი** დარჩნენ და მათ გვერდით ამათ ითამაშეს: **ბედიაშვილი, ლობჟანიძე, კაკუშაძე, ქავთარაძე, რაზმაძე, ხიდეშელი, გიორგი გურეშიძე, ჯანელიძე და სიხარულიძე.**

დავით თავართქილაძე

ინტერვიუ

# ლაშა პარუნაშვილი: მუდამ ჩემპიონობაზე ვფიქრობ

**ახალგაზრდა „ჯვაროსანთა“ დამრიგებელმა ალექსანდრე ჩივაძემ გუნდში შემდეგი ციკლისათვის გამოსადეგი მოთამაშეები იხმო და არც შემცდარა: საქართველოსა და ესტონეთის ახალგაზრდული ნაკრებების შეხვედრა დასასრულს უახლოვდებოდა, როდესაც ბურთი მოედანზე 11 წუთის წინ შემოსულმა ლაშა პარუნაშვილმა მიიღო.**

**თბილისის „დინამოს“ 19 წლის ნახევარმცველმა ისე ძლიერად გაისროლა, ესტონელთა მეკარე მარკო მეერიტსსა და საერთოდ, სტუმრებს 30 მეტრიდან დარტყმულმა ხასიათი წაუხდინა - ბურთი „ცხრიანში“ ჩაეშვა, მასპინძლებმა კი უპირატესობის შენარჩუნება მოახერხეს და გაიმარჯვეს.**

**ლაშა პარუნაშვილი საქართველოს 17 და 19-წლამდელების ნაკრების შეუცვლელი ფეხბურთელი იყო – პერსპექტიული მოთამაშე „ოლიმპის“, „საბურთალოს“, თემურ ფოცხვერიასა და გიორგი დევდარიანის „პროდუქტია“.**

**ლაშა პარუნაშვილს ესტონეთთან მატჩზე, თბილისის „დინამოსა“ და სამომავლო მიზნებზე ვესაუბრეთ.**

**- ესტონეთს ისეთი მანძილიდან გაუტანე, ზოგი ბურთს კარამდე ვერ მიაწვდენდა – მეკარე ცუდად იდგა თუ რატომ გარისკე?**

- ასეთ დროს რისკი აუცილებელიც არის. მაგრამ იმ დროს კარგი მომენტი დავიჭირე, ახლოს არავინ იდგა, ძალიან დიდი სივრცე იყო, ბურთი გავისწორე და დავარტყი.

**- გადამწყვეტი გოლის გატანა ყოველთვის სასიამოვნოა.**

- რა თქმა უნდა, მაგრამ უფრო სასიამოვნო ისაა, ამ გოლით შენი გუნდი რომ იგებს. გულწრფელად ვამბობ და არა იმიტომ, რომ ასეა საჭირო. ფეხბურთელი გუნდისთვის უნდა იყოს. ამ ციკლში საკუთარ მოედანზე ერთი შეხვედრა არ გვქონდა მოგებული და ამან კიდევ უფრო გაგვახარა. მართალია, მხოლოდ მესამეზე გავედით, მაგრამ გულშემატკივარი ბოლო შეხვედრაში მაინც გავახარეთ.

**- დაახლოებით მსგავსი თქვი პრესკონფერენციაზეც - მესამე ადგილით აშკარად უკმაყოფილო ხარ იმ ჯგუფში, სადაც ესპანეთი და შვეიცარია იყვნენ. გიორგი დევდარიანის გავლენა დღემდე გეტყობა.**

- ეს გავლენაც არ არის, ფეხბურთელად ჩამომაყალიბა და მაქსიმალიზმი ჩამინერგა. 17 და 19-წლამდელებში რომ ვთამაშობდით, ყოველთვის გვქონდა მიზანი, რომ დაგვეკავებინა პირველი ადგილი და არა ის, რომ არ წაგვეგო. არწაგება მიზანი არ არის, მუდამ ჩემპიონობაზე ვფიქრობდით, ჯერ გუნდში, შემდეგ ნაკრებში. ვისთანაც არ უნდა მოვხვედრილიყავით, არ გვეშინოდა. მაქსიმალიზმი მარტო მე კი არა, დევდარიანთან ნავარჯიშებ ყველა ფეხბურთელს აქვს.

მიხარია, ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ალექსანდრე ჩივაძეც ასე რომ განგვაწყობს. დიდი ფეხბურთი უთამაშია და იცის, რა მოთხოვნების დაკმაყოფილება გვჭირდება და მოედანზე რა განწყობით უნდა გავიდეთ.

**- სხვათა შორის, ჩივაძემ თქვა, რომ მეტოქეთა სიძლიერის მიუხედავად, შემდეგ ციკლში გასვლისთვის უნდა ვიბრძოლოთო.**

- მეც ეს მხოლოდ გამახარებს. მესამე ადგილი ახლაც დავიკავეთ, რაც ვერაფრით დამაკმაყოფილებს. ჩივაძის მოსვლის შემდეგ შესაძლებლობის ლამის მაქსიმუმი გამოვწურეთ: ამხანაგურად ბელარუსს მოვუგეთ, ესტონეთს - გასვლაზე და სახლში და მხოლოდ ხორვატიასთან ვითამაშეთ ფრედ. შემდეგ ციკლში მაქსიმუმი პირველი ადგილი უნდა იყოს.

**- მერე ამის რესურსი გვაქვს?**

- რატომ არ გვაქვს, ჭანტურია და ყაზაიშვილი დაგვემატებიან და დარწმუნებული ვარ, ძალიან პერსპექტიული ნაკრები გვეყოლება. ეს ორი ფეხბურთელი გუნდისთვის დიდი ძალა არის. ეგაა, შეთამაშება გვჭირდება, თამაშამდე ორი დღით ადრე შეკრება არასაკმარისია.

**- დევდარიანის დროს „დინამოს“ ძირითადში თამაშობდი, ახლა აღარ ჩნდები.**

- „დინამო 2“-ში სათამაშო პრაქტიკის მისაღებად გადამიყვანეს, მაგრამ ძირითადში ვვარჯიშობ. ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია და ვერავინ ჩაერევა. თუმცა, „დინამოში“ იმიტომ არ მივსულვარ, მეორე გუნდში ვითამაშო. ჩემი მიზანი ძირითადში მოხვედრა და დამკვიდრება არის. მიმაჩნია, რომ ნორმალური ფეხბურთელი ასეც უნდა ფიქრობდეს.

მერაბ მამულაშვილი

*P.S. საქართველო-ესტონეთის მატჩს „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი* ***დუშან უჰრინი*** *დაესწრო და პარუნაშვილს აკვირდებოდა. ჩვენი ინფორმაციით, ჩეხმა სპეციალისტმა 19 წლის ნახევარმცველის ძირითადში დაბრუნება გადაწყვიტა.*

ფუტსალი. უეფას თასი

# იბერია ელიტრაუნდშია

**„იბერია სტარმა“ ელიტ რაუნდში თამაშის უფლება მოიპოვა. საქართველოს ჩემპიონმა შესარჩევი ციკლის მეორე შეხვედრაც მოიგო, მესამეში კი მასპინძლებთან დამარცხდა.**

**იბერია სტ.–ათინა 90 (საბ.) 3:1**

1:0 რომარიო (5), 1:1 მურდუკატისი (17), 2:1 აუგუსტო (23), 3:1 ლუსიო (28).

**„იბერია“: სელიო, ბეტინიო, აუგუსტო, რონინიო, ბრუნო მელო** – აკოპოვი (მ), ალთუნაშვილი, ძაბირაძე, ლუსიო, რომარიო.

**სერჟიო ბენატის** გაწვრთნილებმა საბერძნეთის ჩემპიონი „ათინა 90“ 3:1 დაამარცხეს. მართალია, **რომარიოს** გოლის შემდეგ ბერძნებმა ანგარიში გაათანაბრეს, მაგრამ საქართველოს ჩემპიონმა უპირატესობა მოიპოვა და შეხვედრა ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანა.

დასკვნით ტურში „იბერია“ მასპინძელ „ლიტიას“ შეხვდა, რომელმაც მეორე ტურში ფრანგულ „სპორტინგთან“ 3:3 ითამაშა და მეორე ადგილზე იმყოფებოდა - პირველ ადგილზე გასულის ვინაობა სწორედ ლიდერთა დაპირისპირებაში გაირკვა.

სლოვენიელები კაპიტანმა **იგორ ოსრედკარმა** დასაწყისშივე დააწინაურა, მეორე ტაიმში კი მანვე „ლიტიას“ უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა. საქართველოს ჩემპიონმა სხვაობა მხოლოდ 36-ე წუთზე **ლუსიოს** გოლით შეამცირა, მაგრამ მეტი ველარ მოახერხა. მეტიც, ბოლო წუთზე არბიტრმა, **ონდრეი ჩერნიმ რონინიოს** მეორე ყვითელი ბარათი აჩვენა, მოედნიდან გააძევა და ყველაფერი ცხადი გახდა. „ლიტია“ ელიტ რაუნდში გამარჯვებულის სტატუსით გავიდა, „იბერია“ კი მეორეადგილოსანია.

„იბერია სთარი – «ლიტია» (სლოვენია) 1:2

0:1 ოსრედკარი (4), 0:2 ოსრედკარი (29), 1:2 ლუსიო (36)

**„იბერია“: სელიო, ბეტინიო, აუგუსტო, რონინიო, ბრუნო მელო** – აკოპოვი (მ), ალთუნაშვილი, ძაბირაძე, ლუსიო, რომარიო.

ჯგუფის მეორე შეხვედრაში პარიზის „სპორტინგმა“ „ათინა 90“-ს 7:1 მოუგო და ადგილები ასე განაწილდა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლიტია | 3 | 2 | 1 | 0 | 12-6 | 7 |
| 2.იბერია | 3 | 2 | 0 | 1 | 7-5 | 6 |
| 3.სპორტინგი | 3 | 1 | 1 | 1 | 12-7 | 4 |
| 4.ათინა 90 | 3 | 0 | 0 | 3 | 4-17 | 0 |

მერაბ მამულაშვილი

ესპანეთის ნაკრები

# საქართველო არაბეთი არ გეგონოთ

## ტორესის იუბილე, ვილიას დაბრუნება და პედროს გაბრწყინება

**ესპანეთი–ს. არაბეთი 5:0**

**ესპანეთი (4-3-3):** ვალდესი (71. კასილიასი) - ხუანფრანი, პიკე (46. სერხიო რამოსი), ალბიოლი, მონრეალი - ფაბრეგასი (46. ჩავი), ბუსკეტსი (60. ინიესტა), ბენიატი - კასორლა (60. სილვა), ტორესი (52. ვილია), პედრო.

**საუდის არაბეთი (4-2-3-1):** აბდულა - ალბეეში, ჰავსავი (80. ალბიში), ალ-მუსა, მანსური (86. ალ-შამრანი) - ოტაიფი, კარირი - ალ-ჯასამი (60. ალრუვალი), ალდავსარი (70. ალმოსა), ჯეზავი (64. ალჰამადი) - ალ-შაჰრანი (77. ალ-შაჰლავი).

**გოლები:** 1:0 კასორლა (23), 2:0 პედრო (27), 3:0 ჩავი (47), 4:0 ვილია (63-პენ), 5:0 პედრო (73)

**გაფრთხილება:** მანსური

**კუთხური:** 6-2; **ჯარიმა:** 9-5; **თამაშგარე:** 8-0; **კარში დარტყმა:** 19-9 (9-1); **ბურთის ფლობა:** 69%-31%.

**მაყურებელი:** 11 850

ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონმა ესპანეთმა საქართველოსთან მატჩისთვის მოსამზადებლად პონტევედრაში გაივარჯიშა, სადაც **ფრანკ რაიკაარდის** გაწვრთნილ საუდის არაბეთის ნაკრებს ფეხბურთის ჩინებული გაკვეთილი ჩაუტარა - 5:0. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ, **პედროს** ულამაზესი გოლები, **ფერნანდო ტორესის** მე-100 მატჩი „ფურია როხას" შემადგენლობაში, თუ **დავიდ ვილიას** გოლიანი დაბრუნება მძიმე ტრავმის შემდეგ, იქნებ **ჩავის** მიერ უზადოდ შესრულებული საჯარიმო? მოკლედ, **თემურ ქეცბაიას** რომ ბევრი საფიქრალი აქვს, კიდევ ერთხელ დადასტურდა - ესპანეთის ნაკრები ხომ ჩვენთან თამაშით იწყებს იმ ტიტულის დაცვას, რომელიც 2010 წელს სამხრეთ აფრიკაში მოიპოვა.

*„ძალიან ცუდი დროება გამოვიარე, მაგრამ ახლა მივხვდი, რომ ყველაფერი წარსულს ჩაბარდა, დღეს მე სხვებთან ერთად ვხარობ და მაქვს ამის მიზეზიც. შემიძლია უკან აღარც გავიხედო, მე დავბრუნდი"*, - ეს დავიდ ვილიას, ესპანეთის ნაკრების ისტორიაში ყველაზე მეტი გოლის გამტანი ფორვარდის სიტყვებია. „ელ გუახემ" არაბებთანაც გაიტანა, უნაკლოდ შეასრულა პენალტი.

*„ტორესი გენიალური ფეხბურთელია, 100 მატჩი ნებისმიერ ნაკრებში დიდი მიღწევა იქნებოდა, მით უმეტეს ჩვენს გუნდში ეს დიდი შედეგია. ვულოცავ, რადგან ის სრულად იმსახურებდა ამ აღიარებას"*, - აცხადებს ვილია. 28 წლის „ელ ნინიო" ესპანური ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდაა, ვინც ასიანთა კლუბში შევიდა. კლუბში კი სულ 5 კაცი იყო აქამდე: **იკერ კასილიასი** (139 თამაში ეროვნულ გუნდში), **ანდონი სუბისარეტა** (126), **ჩავი ერნანდესი** (116), **ჩაბი ალონსო** (103) და **რაულ გონსალესი** (102).



ესპანელთა შემადგენლობაში საუკეთესო პედრო იყო

### მატჩის შემდეგ

**ვისენტე დელ ბოსკე** (ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი): *„ძალიან ნასიამოვნები დავრჩი გუნდის თამაშით, მაგრამ მთავარი სამშაბათს იწყება საქართველოსთან მატჩით. არაბებთან შეხვედრა დაგვეხმარა კარგად მოსამზადებლად. კარგად ვმოძრაობდით, ბურთი სულ ჩვენ გვქონდა და მომენტებს ხშირად ვქმნიდით. სამწუხაროდ, ყველა გამოძახებულს თამაში არ მოუწია. ბიჭებმა ძალიან კარგად იციან, რომ ჩვენი მიზანი საქართველოს დამარცხებაა, რომელმაც მოგებით დაიწყო შესარჩევი ციკლი. ჩვენ უნდა ჩავიდეთ საქართველოში და მოვიგოთ, რადგან ეს შეხვედრა უმნიშვნელოვანესია".*

**პედრო:** *„საქართველოსთან თამაში ძალიან დაძაბული იქნება, ისინი თავიანთ მოედანზე იქნებიან, უდიდესი მოტივაციით. უნდა მოვიგოთ, რადგან კამპანიის გამარჯვებით დაწყებას დიდი მნიშვნელობა აქვს. საკუთარი თამაშით კმაყოფილი ვარ, მაგრამ ვისენტე გადაწყვეტს, ვიმსახურებ თუ არა საქართველოსთან შეხვედრაში სასტარტოში თამაშს".*

### ვინ როგორ ითამაშა

და მაინც, ვინ როგორ ითამაშა ამხანაგურ მატჩში „ფურია როხას" რიგებში. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ საუდის არაბეთი საჯილდაო ქვად ვერ გამოდგა - რაიკაარდს ძალიან სუსტი ნაკრები ჰყავს და ბევრი სამუშაო ელის, რომ ამ გუნდისგან რაიმე ხეირიანი შექმნას. ჩვენი აზრით, საუკეთესო „ბარსელონას" გარემარბი პედრო როდრიგესი იყო, რომელმაც ამ შეხვედრაში ორი გოლი გაიტანა.

**დაცვის ხაზი და მეკარე:** მათ საქმე ნაკლებად ჰქონდათ, **ხუანფრანი** წინ თამამად მიდიოდა, მეორე ტაიმში **მონრეალმა** მოუპოვა გუნდს პენალტი. **ვალდესს** საქმე თითქმის არ ჰქონია, არც მის შემცვლელ **კასილიასს**. პიკე **ფაქტობრივად** ექსტრა ნახევარმცველი იყო.

**ნახევარდაცვა:** **ბენიატმა** გაგვაოცა, მიუხედავად იმისა, რომ წუნი ბევრი ჰქონდა, ისე გამოიყურებოდა, თითქოს წლებია, რაც „როხას" წევრია, ერთხელ ხარიხასაც გაარტყა ბურთი. **ბუსკეტსს** სათავისო საქმე არ ჰქონია და გვიჩვენა, რომ თამაშის გამწვავებაც კარგად გამოსდის. **ფაბრეგასი** გაცილებით კარგად თამაშობს ნაკრებში, ვიდრე „ბარსელონაში".

**თავდასხმა:** პედრომ არაბთა გოლკიპერს სისხლი გაუშრო, ძალიან კარგი იყო **კასორლაც**, რომელმაც გოლით და პასით გამოიჩინა თავი. აი, **ტორესს** საიუბილეო მატჩი ჩაუვარდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ინგლისის ნაკრები

# კლევერლი, ინგლისის ფაბრეგასი

## ნაკრებს ახლა ტერი გამოაკლდა

**როი ჰოჯსონი** მოლდოვის განადგურების შემდეგ კმაყოფილი დარჩა შეგირდების თამაშით, განსაკუთრებით ეს **ტომ კლევერლის** ასპარეზობას ეხება. ბრიტანელთა მწვრთნელს მიაჩნია, რომ "მანჩესტერ იუნაიტედის" ახალგაზრდა ნახევარმცველს შეუძლია ინგლისის ნაკრებისთვის **სესკ ფაბრეგასი** გახდეს.

მოლდოვასთან შეხვედრაში ჰოჯსონმა 23 წლის ფეხბურთელი გამთამაშებლის პოზიციაზე დააყენა და უზომოდ კმაყოფილი დარჩა მისი ასპარეზობით. *"კლევერლი შემტევი ნახევარმცველია, მაგრამ არა კლასიკური გაგებით, არამედ სესკ ფაბრეგასის მსგავსი. მას შეუძლია, უკანაც დაიხიოს, ბურთი მოიპოვოს და შეტევა წამოიწყოს. დეფოსთან ახლოს თამაშით, მან ლამპარდს და ჯერარდს მოედნის ცენტრში მშვიდად მოქმედების საშუალება მისცა, ამ პოზიციაზე კი ეს ფეხბურთელები თავს ყველაზე კომფორტულად გრძნობენ"* – მიაჩნია როი ჰოჯსონს.

იმის გამო, რომ ტრავმირებულია **უეინ რუნი**, კლევერლი უკრაინასთანაც ძირითადში იქნება და ერთადერთ ცენტრფორვარდს, რომელიც ან **ჯერმეინ დეფო** იქნება, ან **დენი უელბეკი**, მიეხმარება.

კლევერლის თამაშით კმაყოფილი იყო **სტივენ ჯერარდიც**: *"ტომი შესანიშნავი ფეხბურთელია და მას ძალიან დიდი პოტენციალი აქვს, ის ხომ ჯერ ძალიან ახალგაზრდაა. ასეთი თამაშები მას ფასდაუდებელ გამოცდილებას სძენს, რაც მომავალში აუცილებლად გამოადგება".*

კარგ განწყობაზე იყო **ფრენკ ლამპარდიც**, რომელმაც კიშინიოვში დუბლი შეასრულა: *"მსგავს ქვეყნებში თამაში ყოველთვის რთულია და სწრაფი გოლი ძალიან გეხმარება დამშვიდებაში. პირველ ტაიმში შესანიშნავად ვითამაშეთ და მატჩის ბედიც გადავწყვიტეთ. გოლების გატანა, რა თქმა უნდა, სასიამოვნო იყო, მაგრამ გოლებზე მეტად ის გამიხარდა, რომ საკმაოდ კარგად ვითამაშე 90 წუთის განმავლობაში".*

"ჩელსის" 34 წლის ნახევარმცველმა კომენტარი ჯერარდთან ერთად თამაშზეც გააკეთა: *"მასთან ერთად ასპარეზობა ყოველთვის ძალიან სასიამოვნოა, რადგან სტივენი მსოფლიო დონის ფეხბურთელია".*



ტომ კლევერლი ინგლისის ნაკრების მომავალია

### ტერი და კოული უკრაინასთან ვერ ითამაშებენ

ინგლისის ნაკრებს უკრაინასთან შეხვედრაში **ჯონ ტერი** ვერ დაეხმარება. "ჩელსის" კაპიტანმა მოლდოვასთან მატჩის ბოლოსკენ კოჭის ტრავმა მიიღო, რის გამოც ინგლისს 10 კაცით მოუწია თამაშის დასრულება. ეროვნული გუნდის სამედიცინო შტაბი იმედოვნებდა, რომ ტრავმა სერიოზული არ იქნებოდა და ტერი "უემბლიზე" ითამაშებდა, მაგრამ შაბათს ჩატარებულმა შემოწმებამ ცხადყო, რომ დაზიანება სერიოზულია და ბრიტანელებს კიდევ ერთი მცველი გამოაკლდათ.

31 წლის ტერის ძირითადში, დიდი ალბათობით, მისი თანაკლუბელი, **გარი კეჰილი** შეცვლის, რომლისთვისაც ეს, მაისის შემდეგ, ნაკრებში პირველი თამაში იქნება. შეგახსენებთ, რომ მაშინ ბელგიასთან ამხანაგურ მატჩში კეჰილმა ყბა მოიტეხა და ამის გამო ევრო 2012-ზე ვერ გაემგზავრა.

ბრიტანელებს უკრაინასთან ასევე არ ეყოლებათ **ეშლი კოული**, რომელსაც მოლდოვასთანაც არ უთამაშია. მარცხენა მცველი ასევე შაბათს შეამოწმეს და გადაწყდა, რომ კოული მზად არ არის დიდი დატვირთვებისთვის. აღსანიშნავია, რომ მასაც კოჭის ტრავმა აწუხებს. "ჩელსის" მცველს ძირითადში ამჯერადაც **ლეიტონ ბეინსი** შეცვლის, რომელმაც კარგი შთაბეჭდილება დატოვა მოლდოვასთან მატჩში და გოლიც კი გაიტანა. სამაგიეროდ კარგად გრძნობს თავს სტივენ ჯერარდი, რომელიც ჰოჯსონმა მოლდოვასთან შეხვედრაში პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალა. პრესაში გაჩნდა ინფორმაცია, რომ ეს ცვლილება "სტივი ჯის" ტრავმით იყო გამოწვეული, მაგრამ "ლივერპულის" კაპიტანმა ეს ჭორები უარყო და განაცხადა, რომ ის ჯანმრთელია და მზად არის უკრაინასთან სათამაშოდ: *"ჩემი შეცვლის მიზეზი იყო ის, რომ თამაში უკვე მოგებული გვქონდა. როდესაც ასეთ გუნდებთან თამაშობ, მნიშვნელოვანია, რომ პირველივე ტაიმში გადაწყვიტო მატჩის ბედი. მე არაფერი მჭირს, ჯანმრთელი ვარ და ვემზადები უკრაინასთან მატჩისთვის".*

**ტატო ბაციკაძე**

ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა



ანდერ ერერა

### ანდერმა ოპერაცია გაიკეთა

ბილბაოს „ატლეტიკის" ნახევარმცველმა **ანდერ ერერამ** მიუნხენის კლინიკაში საზარდულზე ოპერაცია ცნობილ სპეციალისტ **ულრიკე მუშავეკთან** გაიკეთა. ანდერი 4-დან 6 კვირამდე იძულებით დაისვენებს. 23 წლის ფეხბურთელს ტკივილი გასული სეზონიდან აწუხებდა, თუმცა ოპერაციას თავს არიდებდა. ანდერს მესამე ტურში, „ვალიადოლიდის" წინააღმდეგ აღარ უთამაშია. ერერამ ფეხბურთის თამაში ბილბაოში დაიწყო, თუმცა საფეხბურთო ესპანეთს თავი „სარაგოსაში" კარგი თამაშით დაამახსოვრა, საიდანაც ის გასულ ზაფხულში დაბრუნდა მშობლიურ გუნდში. ანდერი „ბილბაოს" მეორე ფეხბურთელია, ვისაც მუშავეკმა ოპერაცია გაუკეთა - ივლისში ანალოგიური ოპერაცია **ფერნანდო ამორებიეტამ** გაიკეთა. ამორებიეტამ ახლახან დაიწყო სრული დატვირთვით ვარჯიში, ისევე როგორც „ბილბაოს" მარცხენა მცველმა - **იონ აურტენეჩემ**, აი, **ფერნანდო ლორენტე** ჯერაც ისვენებს.

### რიკი მორჩა

„დეპორტივოს" თავდამსხმელმა **ივან სანჩეს „რიკიმ"** გუნდთან ერთად ვარჯიში განაახლა. შეგახსენებთ, რომ 32 წლის ვეტერანს კუნთების სპაზმები აწუხებდა. მან „დუბრასთან" ამხანაგურ მატჩშიც მიიღო მონაწილეობა, რომელიც გალისიურმა კლუბმა 5:0 მოიგო. რიკი „გრანადასთან" მატჩისთვის მზად იქნება. რიკი „რეალის" აღზრდილია, თუმცა „სამეფო კლუბის" მაისურის მორგება ვერ შეძლო, ორი სეზონი მან „ხეტაფეში" გაატარა, შემდეგ კი (2006 წლიდან) „დეპორტივოშია".

### მწვრთნელს არაფერი ემუქრება

ლა ლიგის სტარტზე ზედიზედ სამი მარცხის შემდეგ, ესპანეთში გავრცელდა ხმები, რომ „ესპანიოლის" მწვრთნელ **მაურისიო პოჩეტინოს** მალე მოხსნიან, თუმცა ახლახან საწინააღმდეგო თქვა კლუბის გენერალურმა მენეჯერმა **ჟოან კოლემ**. *„საბჭო ჩუმადაა იმიტომ, რომ ყველამ ვიცით, ეს ჩავარდნა დროებითია - „ესპანიოლი" წინ წაიწევს. გუნდს რამდენჯერმე აშკარად არ გაუმართლა, მწვრთნელი კი მალე ყველაფერს გამოასწორებს"*. იმავე აზრისაა თავად არგენტინელი სპეციალისტიც: *„დრო საკმაოდ გვაქვს, რამდენიმე ფეხბურთელი მწყობრში ჩადგება და ყველაფერი კარგად იქნება"*, - უთხრა „მარკას" პოჩეტინომ.

### ფრე რეინო დე ნავარაზე

„ოსასუნამ" და „რეალ სოსიედადმა" სანაკრებო პაუზით ისარგებლეს და ერთმანეთში ამხანაგური მატჩი გამართეს. „რეინო დე ნავარაზე" ნავარულ-ბასკური დერბის საყურებლად 10 ათასამდე ადამიანი მივიდა. მატჩი 1:1 მორჩა, პირველ ტაიმში **იმანოლ აგირეჩემ** დააწინაურა სან სებასტიანელები, ხოლო 76-ე წუთზე **ემილიო არმენტეროსმა** გაათანაბრა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოლანდიის ნაკრები

# ვან გაალის რევოლუცია: შანსი ახლებს და ახალგაზრდებს

## გუნდის ლიდერობა რობენმა და სნეიდერმა უნდა ითავონ

**ლუის ვან გაალის ოფიციალური დებიუტი ჰოლანდიის ნაკრებში წარმატებული გამოდგა: „ნარინჯისფრებმა“ მსოფლიოს 2014 წლის შესარჩევი ციკლი ქვეჯგუფის უმთავრეს მეტოქესთან გამარჯვებით დაიწყეს. ჰოლანდიამ თურქეთი 2:0 დაამარცხა და რაც ყველაზე საინტერესოა, ვან გაალი უმეტესად ახალ და თანაც, ახალგაზრდა ფეხბურთელებს დაეყრდნო, რომლებმაც იმედები არ გაუცრუეს. სწორედ ამიტომ, ჩვენმა ჰოლანდიელმა კოლეგებმა ვან გაალის ოფიციალურ სტარტს „ნარინჯისფერი რევოლუცია“ უწოდეს - რევოლუცია, რომელმაც შედეგი მოიტანა.**

ჰოლანდიისა და თურქეთის დაპირისპირება უდავოდ მუნდიალის ევროპული შესარჩევი ციკლის პირველი ტურის ცენტრალური მატჩი იყო და მიუხედავად უდიდესი ინტერესისა, **ლუის ვან გაალმა** მისთვის დამახასიათებელ ტრადიციას მაინც არ უღალატა და გუშინდელ ვარჯიშიც „დახურულ კარს მიღმა“ ჩაატარა. ვან გაალს არ უყვარს, როცა მისი გუნდის ვარჯიშს ჟურნალისტები ან, მით უმეტეს, მეტოქე გუნდის მსტოვრები თვალს ადევნებენ ხოლმე - ჰოლანდია ხვალ, მეორე ტურის მატჩში უნგრეთს ეთამაშება და ამ შეხვედრის წინაც ყველა ვარჯიში დახურული იქნება.

თურქეთთან შეხვედრამ კი ცხადყო, რომ ჰოლანდიის ნაკრების გამოცდილი ფეხბურთელების საკმაოდ დიდ ნაწილს ვან გაალის ხელში ცუდი დროება დაუდგა. ლუისმა საფეხბურთო ჰოლანდია ჯერ იმით გააოცა, რომ **რაფაელ ვან დერ ვაარტის, ნაიჯელ დე იონგისა** და **გრეგორი ვან დერ ვილის** სახით სამი წამყვანი ფეხბურთელი საერთოდ არ გამოიძახა, მერე კი, უშუალო კონკურენტთან მატჩში ისეთი ძირითადი შემადგენლობა დააყენა, როგორსაც არავინ ელოდა.

მეკარე **მაარტენ სტეკელენბურგი**, გოლეადორი **კლაას-იან ჰუნტელაარი** და დაცვის ბურჯი **იორის მატეისენი** სათადარიგოთა სკამზე ისხდნენ და ლუისმა ისინი მოედანზე არც მეორე ტაიმში შეუშვა. ექსპერტები განსაკუთრებით ჰუნტელაარის სკამზე დატოვებით გაოცდნენ, რადგან მატჩის წინ ვან გაალმა თქვა, სკამზე სავარაუდოდ **რობინ ვან პერსის** დავსვამ, ჰუნტელაარს კი სასტარტო შემადგენლობაში გავამწესებო. როგორც ჩანს, ლუისი „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადაბარგებულ ცენტრფორვარდს სიურპრიზს უმზადებდა, რადგან ფაქტია, რომ ძირითადში ვან პერსიმ ითამაშა და თურქებს პირველი გოლი სწორედ მან გაუტანა, რითაც ვან გაალის მოულოდნელი ნდობა გაამართლა.



რობინ ვან პერსიმ მწვრთნელის ნდობა გაამართლა

### ახლები და თანაც ახალგაზრდები

*„ამას წინათ, ბელგიასთან ამხანაგურ შეხვედრაში ძველი გვარდია გამოვცადე და მათ ჩემი იმედები ვერ გაამართლეს. ის შეხვედრა 2:4 წავაგეთ და ძალიან გაბრაზებული ვიყავი. ჩემთვის მაშინვე ცხადი გახდა, რომ გამოცდილმა ვარსკვლავებმა თავიანთი შანსი ვერ გამოიყენეს. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, რომ თურქეთთან უმნიშვნელოვანეს მატჩში რამდენიმე ახალგაზრდა და ნიჭიერ მოთამაშეს მივნდობოდი,“* - განაცხადა ლუისმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

თურქეთთან ჰოლანდიის ნაკრების კარს 24 წლის **ტიმ კრული** იცავდა. მასთან ერთად, ძირითად შემადგენლობაში 23 წლის **დარილ იანმაატის, ხორდი კლასის** (21) და **მარტინს ინდის** (20) სახით კიდევ სამი ისეთი დებიუტანტი იყო, რომლებსაც მანამდე ნაკრების ფორმით ოფიციალურ მატჩებში არასდროს ეთამაშათ. ვან პერსიმ ანგარიში მე-17 წუთზე გახსნა, ხოლო მეორე ჰოლანდიელებმა მატჩის მიწურულს, 92-ე წუთზელა (**ნარსინგი**) გაიტანეს. ანუ, მიუხედავად იმისა, რომ ჰოლანდიას მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში გამარჯვება განაღდებული არ ჰქონდა, ვან გაალმა მოედანზე არა გამოცდილი ფეხბურთელები, არამედ 21 წლის **რიკარდო ვან რინი**, 22 წლის **ლერუა ფერი** და **რონ ვლაარი** (27) შეუშვა, რითაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ სახელოვანი ფეხბურთელების მიმართ დაუნდობელია და უპირატესობას ახალგაზრდა და უფრო მონდომებულ მოთამაშეებს ანიჭებს.

*„დასაწყისით კმაყოფილი ვარ. თურქეთის ნაკრების დამარცხება ადვილი არ არის და მიხარია, რომ ციკლი უშუალო კონკურენტის დამარცხებით დავიწყეთ,* - თქვა ვან გაალმა და იქვე დასძინა, - *თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვინმეს ნაკრების კარი დავუხურე. ამ გუნდში მოხვედრისა და თამაშის შანსი აბსოლუტურად ყველა ჰოლანდიელ ფეხბურთელს აქვს. ოღონდ, ამას დამსახურება უნდა!“*

შეგახსენებთ, რომ ლუისი ჰოლანდიის ნაკრებს 12 წლის წინათაც წვრთნიდა და მაშინ მუნდიალის შესარჩევი ციკლი ირლანდიასთან ფრით (2:2) დაიწყო. საბოლოოდ, „ნარინჯისფრებმა“ მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის საგზური ვერ მოიპოვეს, ვან გაალი კი ამის გამო უმუშევარი დარჩა.



ლუის ვან გაალი კმაყოფილია

### ლუისი ვან პერსიზე უარის თქმას აპირებდა

ახლა ლუისს ჰოლანდიის ნაკრების თავკაცის რანგში თავის გამოჩენის მეორე შანსი ეძლევა. ვან გაალი აქცენტს მხოლოდ ახალგაზრდა ფეხბურთელებზე არ გააკეთებს და უკვე გამოიკვეთნენ ის მოთამაშეები, რომლებსაც „ძველი გვარდიიდან“ (როგორც თავად უწოდებს) ენდობა. ასეთები პირველ რიგში ლუისის ასპროცენტიანი ნდობით აღჭურვილი ლიდერები **არიენ რობენი** და **ვესლი სნეიდერი** არიან. თურქეთთან მატჩში აშკარად გამოჩნდა ისიც, რომ ვან გაალი ცენტრფორვარდის პოზიციაზე უპირატესობას არა ჰუნტელაარს, არამედ ვან პერსის ანიჭებს.

*„ზაფხულში გადავწყვიტე, რომ რამდენიმე გამოცდილ ფეხბურთელზე უარი მეთქვა. მათ შორის იყო რობინ ვან პერსიც, რომელსაც შევხვდი და ავუხსენი, რომ ძირითად შემადგენლობაში არ მოვიაზრებდი და მხოლოდ მაშინ ვათამაშებდი, როცა განსაკუთრებით დამჭირდებოდა. რობინმა მთხოვა, რომ ეს ამბავი პრესაში არ გამეხმაურებინა და გარდა ამისა, ისეთი რაღაცები მითხრა, რის გამოც მასზე უარის თქმა გადავიფიქრე. საკმაოდ გულახდილი საუბარი გვქონდა და ამ საუბრის შემდეგ ვან პერსის უდიდეს პატივს ვცემ. აზრი შევიცვალე და ახლა რობინზე უდიდეს იმედებს ვამყარებ,“* - უთხრა გუშინ ვან გაალმა ჩვენს ჰოლანდიელ კოლეგებს და ვან პერსისთან საუბრის დეტალები, რა თქმა უნდა, არ გაამხილა.

### რობენი: გუნდში იდეალური სიტუაცია

*„ნაკრებში ძალიან კარგი ატმოსფეროა და ყველანი კმაყოფილები ვართ. თურქეთთან გამარჯვებით მსოფლიოს ჩემპიონატისკენ პირველი სერიოზული ნაბიჯი გადავდგით. დარწმუნებული ვარ, რომ ახალგაზდა ფეხბურთელები მომავალში კიდევ მოუმატებენ და ბრაზილიაში ისეთ გუნდს წავიყვანთ, რომელსაც მთელი ქვეყნის გახარება შეეძლება,“* - ეს რობენის სიტყვებია.

ვან გაალმა 2014 წლის მუნდიალისთვის მიზნად მინიმუმ ნახევარფინალში გასვლა დაისახა. მანამდე ბევრი დრო აქვს, მომდევნო გაჩერება კი უნგრეთთან გასვლითი მატჩია, რომელიც ხვალ გაიმართება. შეგახსენებთ, რომ ჰოლანდიელებს მსოფლიოს ჩემპიონატების შესარჩევ ციკლებში 23-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვთ - უკანასკნელი მარცხი 11 წლის წინათ, დუბლინში, ირლანდიასთან განიცადეს (0:1). და ვინ იყო მაშინ ჰოლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი? სწორია: ლუის ვან გაალი!

გერმანიის ნაკრები

# შმელცერი და კროოსი გამოჯანმრთელდნენ

## ლიოვი ავსტრიასთან ალბათ 4-2-3-1-ს დაუბრუნდება

როგორც მოსალოდნელი იყო, გერმანიის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის პირველ ტურში ფარერები იოლად (3:0) დაამარცხა და ბუნდესგუნდი ახლა ავსტრიასთან მეორე ტურის მატჩისთვის ემზადება, რომელიც ხვალ ვენაში გაიმართება. გუშინ გაირკვა, რომ „ბაიერნის“ ნახევარმცველმა **ტონი კროოსმა** და დორტმუნდის „ბორუსიას“ მარცხენა მცველმა **მარსელ შმელცერმა** ტრავმები მოიშუშეს და გუშინ გუნდთან ერთად ივარჯიშეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ხვალ მოედანზე გასვლა შეეძლებათ.

გერმანიის ნაკრების თავკაცი **იოახიმ ლიოვი** შმელცერს სავარაუდოდ ძირითად შემადგენლობაში გაამწესებს. თუკი ფარერებთან გერმანელებმა 4-1-4-1 ტაქტიკური სქემით ითამაშეს, ავსტრიასთან ლიოვი სავარაუდოდ ისევ 4-2-3-1-ს დაუბრუნდება. ნახევარდაცვის ცენტრში მოსალოდნელია კროოსის გამოჩენა, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ იოგიმ **სამი ხედირას** გვერდით არა კროოსი, არამედ ლევერკუზენელი **ლარს ბენდერი** ათამაშოს.

მიუხედავად მისაღები ანგარიშისა, გერმანელმა ექსპერტებმა ფარერებთან 3:0-ის გამო ლიოვი მაინც გააკრიტიკეს - მათი აზრით, ბუნდესგუნდს ჯუჯა მეტოქესთან მეტი უნდა გაეტანა...



მარსელ შმელცერი

იუვენტუსი



ბუფონი იუვენტუსის ერთგულია

# ბუფონი 2016 წლამდე!

## ჯიჯი და იუვე ახალ კონტრაქტზე შეთანხმდნენ

„გაძეტა დელო სპორტის“ ინფორმაციით, **ჯანლუიჯი ბუფონი** და „იუვენტუსის“ ხელმძღვანელები ახალ კონტრაქტზე შეთანხმდნენ, რომელსაც 34 წლის მეკარე ხელს ამ დღეებში მოაწერს და თავის ბედს ტურინულ გრანდს კიდევ სამი წლით დაუკავშირებს. ჩვენი იტალიელი კოლეგების ცნობით, ჯიჯიმ „იუვეს“ შეფებთან ყველა დეტალი შეათანხმა და ხელშეკრულებას, რომელსაც ვადა ამ სეზონის ბოლოს ეწურება, 2016 წლამდე გააგრძელებს. ახალი კონტრაქტი ოფიციალურად სავარაუდოდ ზეგ გაფორმდება.

შეგახსენებთ, რომ ჯანლუიჯი ბუფონი „იუვენტუსის“ კარს 2001 წლიდან იცავს, მანამდე კი, ექვსი წლის მანძილზე „პარმას“ მეკარე იყო (დებიუტი სერია A-ში: 1995 წელს). ჯიჯი იტალიის ნაკრებში 1997 წლიდან თამაშობს და 2006 წელს „სკუადრა აძურასთან“ ერთად მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. 2006/2007 წლების სეზონში ბუფონი „იუვენტუსს“ სერია B-ში ჩაჰყვა, რის გამოც ტურინული გრანდის ქომაგებს განსაკუთრებით უყვართ. 2003, 2004, 2006 და 2007 წლებში ჯიჯი მსოფლიოს წლის საუკეთესო მეკარედ აღიარეს.

ამბები

### დე როსი სამ კვირას დაისვენებს

იტალიის ნაკრებისა და „რომას“ ნახევარმცველი **დანიელე დე როსი** პარასკევს, ბულგარეთთან მატჩში (2:2) დაშავდა და „სკუადრა აძურას“ ხვალ, მალტასთან საშინაო შეხვედრაში ვერ დაეხმარება. ნაკრების მთავარი ექიმის, **ენრიკო კასტელაცის** თქმით, 29 წლის დე როსი პირველი დიაგნოზების მიხედვით, ლაზარეთში სამ კვირას გაატარებს.

### გომესი მალე გამოჯანმრთელდება

„ბაიერნის“ ტრავმირებული ფეხბურთელები **მარიო გომესი, დავიდ ალაბა** და **დიეგო კონტენტო** მალე გამოჯანმრთელდებიან. რეკორდმაისტერის სამედიცინო შტაბის ოფიციალური ინფორმაციით, გომესი ვარჯიშს სავარაუდოდ ერთ კვირაში დაიწყებს. იგივე ეხება ალაბასაც, ხოლო კონტენტო კი ვარჯიშებზე ამ დღეებში გამოჩნდება.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ბიბლიოთეკა

ბრაზილია 2014. სამხრეთ ამერიკა. შესარჩევი ეტაპი. VI ტური

# კოლუმბიამ გაიბრწყინა, ურუგვაი შერცხვა

## არგენტინა კი გალიდერდა



მესიმ ნაკრებში ზედიზედ მეექვსე მატჩში გაიტანა

დერიც შეიცვალა. ჩილეს ნაკრები ისვენებდა, რითაც კარგად ისარგებლა არგენტინამ. "ალბისელესტემ" სახლში პარაგვაის მოუგო და სატურნირო ცხრილს სათავეში ჩაუდგა...

### პეკერმანმა ტაბარესი დაჩაგრა

ბარანკილიაში ორი ძალიან კარგი მწვრთნელის - **ხოსე ნესტორ პეკერმანის** და **ოსკარ ვაშინგტონ ტაბარესის** დუელი შედგა, რომელიც არგენტინელის პირწმინდა გამარჯვებით დასრულდა. ურუგვაის ნაკრებს ამ მატჩამდე მარცხი არ ჰქონდა განცდილი და პირველივე წაგება ძალიან მტკივნეული გამოდგა. მარცხი დიდწილად ტაბარესის არჩეული ტაქტიკის ბრალია. გამოცდილმა სპეციალისტმა 3-4-3 განლაგებით გადაწყვიტა თამაში და დაცვის ცენტრში **გოდინი - ლუგანოს** დუეტს გვერდით **მაურისიო ვიქტორინო** ამოუყენა. სამი ცენტრალური მცველიდან ორს, ლუგანოს და ვიქტორინოს სათამაშო პრაქტიკა აშკარად აკლიათ. "პარი სენ-ჟერმენის" დამცველს ამ სეზონში საერთოდ არ უთამაშია, ხოლო ვიქტორინომ "კრუზეიროს" ღირსება ბოლოს 9 აგვისტოს დაიცვა. ეს ყველაფერი კი ძალიან მალე აისახა ურუგვაის დაცვაზე და **რადამელ ფალკაომ** უკვე მეორე წუთზე დააწინაურა მასპინძლები.

მთელი პირველი ტაიმი კოლუმბიის უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ მეორე გოლის გატანა მასპინძლებმა ვერაფრით შეძლეს. შესვენებაზე ტაბარესმა მდგომარეობის გამოსწორება სცადა და ვიქტორინოს მაგივრად მინდორზე **გასტონ რამირესი** შეუშვა, რითაც ტაქტიკა 4-3-3-ზე გადააწყო, მაგრამ ამან სტუმრებს ვერ უშველა. 48-ე და 52-ე წუთებზე **ტეოფილო გუტიერესმა** დუბლი შეასრულა და შეხვედრის ბედიც აქ გადაწყდა. არბიტრის მიერ დამატებულ დროში თავი **კარლოს სუნიგამაც** გამოიჩინა და საბოლოოდ 4:0

საინტერესოა, რომ ბოლოს კოლუმბიას ურუგვაი 2004 წელს ჰყავდა დამარცხებული, თან მაშინაც გამანადგურებელი ანგარიშით – 5:0. იქიდან მოყოლებული გუნდებს 6 მატჩი ჰქონდა ჩატარებული, რომელთაგანაც ურუგვაის 5 მოეგო (1 ფრე).

პეკერმანის მოსვლის შემდეგ კოლუმბიამ შესაძლო 9 ქულიდან 6 აიღო. *"ჩვენ სულ რამდენიმე თვეა, რაც აქ ვმუშაობთ, მაგრამ ვფიქრობ, სწორ გზას ვადგავართ. გუნდმა დაამტკიცა, რომ ყველას დამარცხება შეგვიძლია. ჩვენ ქომაგებს ეს გამარჯვება სჭირდებოდათ. თუ ასეთ სტილში გავაგრძელებთ თამაშს, ძალიან კარგი შანსი გვექნება, რომ გავიდეთ ფინალურ ეტაპზე"* – განუცხადა პრესას არგენტინელმა.

*"ახლა მთავარია ეს თამაში რაც შეიძლება სწრაფად დავივიწყოთ და მომდევნო მეტოქისთვის (ეკვადორი) მოვემზადოთ. კოლუმბიამ შესანიშნავად ითამაშა, მათ ძალიან მოუმატეს და ვფიქრობ რეალურად იბრძოლებენ მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურისთვის"* – ეს უკვე შერცხვენილი ოსკარ ვაშინგტონ ტაბარესის სიტყვებია.

### გამარჯვება კლასის ხარჯზე

კორდობაში, **მარიო კემპესის** სახელობის სტადიონზე, არგენტინამ პარაგვაი მიიღო და სახლში უქულოდ გაუშვა. შეხვედრა მასპინძლებისთვის იდეალურად დაიწყო, უკვე მესამე წუთზე **ანხელ დი მარიამ** გახსნა ანგარიში. მართალია ბურთი დი მარიას დარტყმის შემდეგ, **ესეკილ ლავეცის** თავში მოხვდა, მაგრამ რიკოშეტი იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ გოლი "რეალის" შემტევს მიუთვალეს. საპასუხო ბურთი არგენტინამ არაფრისგან გაუშვა – **როდრიგო ბრანიამ** საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშა და მატჩის არბიტრმა, **ვილსონ ლუის სენემემ** პენალტი დანიშნა. ეპიზოდი მართლაც კურიოზული იყო, რადგან ბრანიას სიახლოვეს არც ერთი პარაგვაელი არ იმყოფებოდა, ვეტერანს ბურთისთვის თავის დარტყმა სურდა და შემთხვევით მას ხელი მოარტყა. **რომერომ** კუთხე კი გამოიცნო, მაგრამ ნატურალიზებული არგენტინელის, **ხონათან ფაბროს** დარტყმა იმდენად ზუსტი იყო, რომ "სამპდორიას" მეკარემ საკუთარი გუნდი ვერ გადაარჩინა.

არგენტინას არ მისდიოდა გუნდური თამაში, მაგრამ მიუხედავად ამისა 31-ე წუთზე "ალბისელესტე" ისევ დაწინაურდა. **გონსალო იგუაინმა** მცველების შეცდომით ისარგებლა, შევიდა საჯარიმოში და უზუსტესი დარტყმით შესარჩევ ეტაპზე მეხუთე გოლი გაიტანა. მეორე ტაიმში შესანიშნავი საჯარიმო დარტყმით თავი **ლეო მესიმაც** გამოიჩინა და ზედიზედ მეექვსე სანაკრებო მატჩში გაიტანა (10 გოლი). "პულგას" ეროვნულ გუნდში 29 გოლი აქვს გატანილი და ხუთით ჩამორჩება ყველა დროის ბომბარდირებში მესამეზე მყოფ **დიეგო მარადონას**.

მიუხედავად მოგებისა, არგენტინაში **საბელიას** კრიტიკა არ წყდება, რაც ძირითადად მწვრთნელის საკადრო პოლიტიკით არის განპირობებული – სპეციალისტი ნაკრებში გამუდმებით იძახებს იმ მოთამაშეებს, ვისთან ერთადაც "ესტუდიანტესში" მუშაობდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ფეხბურთელები არც იმ ასაკში არიან, რომ 2014 წლის მუნდიალზე ითამაშონ და არც იმ კონდიციებში, რომ ნაკრებს რეალურად დაეხმარონ, ისინი მაინც ხვდებიან განაცხადში.

ლეო მესი: *"ჩვენ გვსურდა, რომ კორდობელებისთვის გამარჯვება გვეჩუქებინა და ძალიან კარგია, რომ ეს შევძელით. ამ ეტაპზე, პირველ ადგილზე ყოფნას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, მთავარი ფინალური ეტაპის საგზურის მოპოვებაა. აშკარად სწორ გზაზე ვართ და ასე უნდა გავაგრძელოთ".*

*"კარგია, რომ მხოლოდ ბუენოს აირესში არ ვთამაშობთ. დღეს სტადიონი ბოლომდე სავსე იყო და გულშემატკივრებმა ტრიბუნებზე შესანიშნავი გარემო შექმნეს. იმედია მათ ჩვენი თამაშით სიამოვნება მიიღეს"* – განაცხადა ანხელ დი მარიამ.

ამ მოგებით არგენტინამ 13 ქულა მოაგროვა და სატურნირო ცხრილს სათავეში ჩაუდგა. ახლა საბელიას შეგირდებს ლიმაში გასვლითი თამაში ელით. პარაგვაი კი ამ წაგების შემდეგ ბოლო ადგილზე აღმოჩნდა. ძალიან დიდია იმის შანსი, რომ პირველად 1994 წლის შემდეგ, პარაგვაის ნაკრები მუნდიალს მიღმა დარჩეს.

### მასპინძლებმა აჯობეს

დანარჩენ ორ მატჩშიც მასპინძლებმა მოიგეს: ეკვადორმა **ფელიპე კაისედოს** ერთადერთი გოლით, ისიც პენალტიდან, დაამარცხა ბოლივია, ხოლო პერუმ მოუგო ვენესუელას. აღსანიშნავია ის, რომ პერუს ნაკრებში, როგორც იქნა, აღსდგა ჯადოსნური ტრიო: **კლაუდიო პისარო - ჯეფერსონ ფარფანი - პაულო გერერო.**

ლიმაში სტუმრები დაწინაურდნენ – **ხუან არანგომ** 43-ე წუთზე გახსნა ანგარიში და პირველი ტაიმიც ასე დამთავრდა. მეორე ნახევარი კი პერუს შეტევებით დაიწყო და 59-ე წუთისთვის უკვე 2:1 იყო მასპინძლების სასარგებლოდ. ორივე გოლი **ფარფანმა** ჩაიწერა აქტივში. ამ მოგებით პერუმ ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსი შეინარჩუნა და თუ ამ ნაკრებში კიდევ არ მოხდება რაიმე სკანდალი, პერუელებს ნამდვილად შესწევთ იმის უნარი, რომ სერიოზული ბრძოლა გაუმართონ გრანდებს.

მომდევნო ტური 11 სექტემბერს გაიმართება. განსაკუთრებულ ინტერესს ორი მატჩი იწვევს: ჩილე – კოლუმბია და პერუ – არგენტინა.

**ტატო ბაციკაძე**

| კოლუმბია–ურუგვაი | 4:0 |
|---|---|

**კოლუმბია** (4-3-1-2): ოსპინა – სუნიგა, ლ. პერეა, კ. ვალდესი, არმერო – მ. ტორესი, ა. აგილარი (ა. რამირესი 78), ე. ვალენსია – ჯ. როდრიგესი (კ. სანჩესი 83) – ფალკაო, ტ. გუტიერესი (კინტერო 80)

**ურუგვაი** (3-4-3): მუსლერა – ლუგანო, გოდინი, ვიქტორინო (ა. გონსალესი 45) – მაქსი პერეირა (გ. რამირესი 60), დ. პერესი, არევალო რიოსი (გარგანო 73), ალვარო პერეირა – კ. როდრიგესი, ფორლანი, კავანი

**გოლები:** 1:0 ფალკაო (2), 2:0 ტ. გუტიერესი (48), 3:0 ტ. გუტიერესი (52), 4:0 სუნიგა (90)

**გაფრთხილება:** გარგანო

| ეკვადორი–ბოლივია | 1:0 |
|---|---|

**ეკვადორი** (4-3-3): ა. დომინგესი – ერასო, რეასკო, ხ. კამპოსი, ვ. აიოვი – ა. ვალენსია, ს. კასტილიო, სარიტამა – ჯეფერსონ მონტერო (მ. აროიო 46), ხ. აიოვი (ფ. კაისედო 57), ნ. მინა (დ. კინიონესი 87)

**ბოლივია** (5-4-1): უ. სუარესი – ლ. მენდესი, ლ. გუტიერესი, რალდესი, კ. ვარგასი, ბარბა – ასოგე, ხ. ჩავესი (ჩუმაკერო 77), საუსედო (ა. პენია 46), მოხიკა (დ. კაბრერა 84) – მ. მორენო

**გოლი:** 1:0 ფ. კაისედო (74-პენ.)

**გაფრთხილება:** ფ. კაისედო – რალდესი, ხ. ჩავესი, მოხიკა

| არგენტინა–პარაგვაი | 3:1 |
|---|---|

**არგენტინა** (4-3-3): რომერო – კამპანიარო, გარაი, ფ. ფერნანდესი, როხო – ბრანია (ბილია 87), გაგო, დი მარია (გინიასუ 79) – ლავეცი (პალასიო 65), მესი, იგუაინი

**პარაგვაი** (4-5-1): ვილიარი – პირისი, ალკარასი, პაულო და სილვა, რ. ორტისი – ვ. აიალა, რივეროსი, ფაბრო (ო. კარდოსო 59), ვ. კასერესი, ესტიგარიბია (ე. ბენიტესი 73), სანტა კრუსი (ნ. ვალდესი 59)

**გოლები:** 1:0 დი მარია (3), 1:1 ფაბრო (18-პენ), 2:1 იგუაინი (31), 3:1 მესი (64).

**გაფრთხილება:** პალასიო, ბრანია – რ. ორტისი, პირისი, ვ. კასერესი, ნ. ვალდესი

| პერუ–ვენესუელა | 2:1 |
|---|---|

**პერუ** (4-3-3): რაულ ფერნანდესი – ა. როდრიგესი, სამბრანო, რევორედო (გისასოლა 73), იოტუნი – ხ. ვარგასი, კრუსადო, ლ. რამირესი – ფარფანი (ლობატონი 79), კ. პისარო, პ. გერერო (ა. კარილიო 49)

**ვენესუელა** (4-5-1): ვეგა – რ. ფელტშერი, ტუნიესი, ვისკარონდო, სიჩერო – ფრანსისკო ფლორესი (ს. გონსალესი 63), ახნელ ფლორესი, სეიხასი (ფ. ფელტშერი 74), რ. როსალესი, არანგო – მიკუ (რონდონი 69)

**გოლები:** 0:1 არანგო (43), 1:1 ფარფანი (47), 2:1 ფარფანი (59).

**გაფრთხილება:** კ. პისარო, ფარფანი – რ. ფელტშერი

**გაძევება:** სიჩერო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არგენტინა | 6 | 4 | 1 | 1 | 14-5 | 13 |
| 2. ჩილე | 6 | 4 | 0 | 2 | 11-10 | 12 |
| 3. ეკვადორი | 6 | 4 | 0 | 2 | 7-6 | 12 |
| 4. ურუგვაი | 6 | 3 | 2 | 1 | 14-10 | 11 |
| 5. კოლუმბია | 6 | 3 | 1 | 2 | 9-5 | 10 |
| 6. ვენესუელა | 7 | 2 | 2 | 3 | 5-8 | 8 |
| 7. პერუ | 6 | 2 | 0 | 4 | 8-12 | 6 |
| 8. ბოლივია | 7 | 1 | 1 | 5 | 7-12 | 4 |
| 9. პარაგვაი | 6 | 1 | 1 | 4 | 5-12 | 4 |

**ბომბარდირები:** 5 – იგუაინი (არგენტინა), სუარესი (ურუგვაი); 4 – მესი (არგენტინა)

**მომდევნო ტური**

11 სექტემბერი: **ჩილე - კოლუმბია, ურუგვაი – ეკვადორი, პარაგვაი – ვენესუელა, პერუ – არგენტინა**

სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე გრძელდება მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ამჯერად გუნდებმა მე-7 ტურის მატჩები ითამაშეს და ლი-



ხოსე პეკერმანმა კოლუმბია აათამაშა

## ამბები

### მესტალიაზე საფარი გამოცვალეს

„მესტალიაზე" სრულად შეცვალეს ბალახის საფარი, უკვე მომდევნო ტურში, ვიგოს „სელტას" წინააღმდეგ „ვალენსია" ახალთახალ საფარზე ითამაშებს. „ვალენსიას" პირველი საშინაო მატჩის შემდეგ, როცა „ღამურებმა" 3:3 ითამაშეს „დეპორტივოსთან", მასპინძელთა გუნდის ფეხბურთელებმა უკმაყოფილება გამოთქვეს ცუდი საფარის გამო, რის გამოც მათ კინაღამ ტრავმები მიიღეს. სხვათა შორის, კლუბის ხელმძღვანელობა ბალახის საფარი პორტუგალიიდან ჩამოიტანა 19 სატვირთო მანქანით და მის დაგებას 6 დღე დასჭირდა.

### კარვალიო დუბლებში

მიუხედავად იმისა, რომ **ჟოზე მოურინიომ** თავისი თანამემამულე **რიკარდო კარვალიო** „რეალის" საჩემპიონთალიგო განაცხადში შეიყვანა, ვეტერანი მცველი მაინც დუბლშემადგენლობაში რჩება. ბოლო კვირებია კარვალიო „რეალ კასტილიაში", ხანდახან კი „რეალის" მესამე გუნდში (!) ვარჯიშობს. 34 წლის პორტუგალიელს „სამეფო კლუბში" მომავალი არ აქვს, იანვარში მას აუცილებლად გაუშვებენ „რეალიდან".

### დამიბრუნეთ რონალდო

ინგლისური პრესის ცნობით, სერ **ალექს ფერგიუსონი** მონადინებულია „მანჩესტერ იუნაიტედში" **კრიშტიანო რონალდო** დააბრუნოს. ამ მიზნით, „ეშმაკების" თავკაცი კლუბის მეპატრონე **გლეიზერებთან** შესვლას და თხოვნას აპირებს. შეგახსენებთ, რომ „გრანადასთან" მატჩის შემდგომი გამონათქვამის გამო ბევრი უკავშირებს რონალდოს მომავალ ბედს „ნისლიან ალბიონს", თუმცა აქამდე უფრო „მანჩესტერ სიტიზე" კეთდებოდა აქცენტი.

### ნავასმა გაახანგრძლივა

21 წლის გარემარბმა **ხავი ნავასმა** „ვალიადოლიდთან" ხელშეკრულება 2 წლით გაახანგრძლივა, ახლა ის კლუბთან 2015 წლის ზაფხულამდეა დაკავშირებული. ხავი ვარასმა წინასასეზონო მზადება პირველ გუნდში დაიწყო, თუმცა პარასკევამდე უცნობი იყო, დაამყარებდა თუ არა მასზე იმედებს გუნდის ხელმძღვანელობა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


დიდი ფასდაკლება იტალიური წარმოების სარეცხ მანქანებზე
ელექტრონიკა
დაბალი ფასების
აქცია ძალაშია 2012 წლის 10 სექტემბრიდან 16
INDESIT WIN 101
449
1000 ბრ.
5 კგ.
INDESIT IWC 5085 EcoTime
499
800 ბრ.
5 კგ.
სპეციალური შეთავაზება:
INDESIT WIN81
399
800 ბრ.
5 კგ.
Hotpoint ARISTON AQXL 85 AQUALTIS
629
800 ბრ.
6 კგ.
Hotpoint ARISTON AQSF 105 AQUALTIS
659
1000 ბრ.
5 კგ.
ARISTON AVSL 68
479
600 ბრ.
4,5 კგ.
Hotpoint ARISTON AR 63
519
600 ბრ.
5 კგ.
Hotpoint ARISTON AR 83
529
800 ბრ.
5 კგ.
Hotpoint ARISTON AQ7D 29 U AQUALTIS NEW
999
სენსორული
დიდი დისპლეი
A+ კლასი
1200 ბრ.
7 კგ.
☑ საბურთალო, ვაჟა-ფშაველას 4, ტელ: 2-359-490 - ახალი
☑ ქუთაისი, რუსთაველის 97/99. ტელ: 0-431-243-482 - ახალი
☑ გორი, გურამიშვილის №1. ტელ: 0-370-224-257 - ახალი
☑ გლდანი, სავ. ცენტრი "ევრაზია". მე-3 სართ. ტელ: 2-478-673 - ახალი
☑ ბათუმი, ჭავჭავაძის 21. ტელ: 0-422-293-179 - ახალი
● ბათუმი. პუშკინის №108. ტელ: 0-422-293-129
● თელავი. ვარდოშვილის №1. ტელ: 2-238-662
● ვარკეთილი. სავ. ცენტრი "ფრესკო". ტელ: 2-236-007
● დიღომი, ბელიაშვილის 8. ტელ: 2-518-815
● საბურთალო, ვაჟა-ფშაველას 39. ტელ: 2-236-008
● ისანი, ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია, ტელ: 2-478-676
● სავ. ცენტრი "კიდობანი", პავ. 27. ტელ: 2-478-690
● სავ. ცენტრი "მეგალაინი", პავ. 87-89. ტელ: 2-478-672
● რუსთავი, შარტავას გამზ. №4. ტელ: 2-146-765
☑ ახალ მაღაზიებში მყიდველებს მიეცემათ დამატებითი შეღავათები
და კიდევ, საუკეთესო ხარისხის 1000-ზე მეტი დასახელების საქონელი
SAMSUNG TOSHIBA SONY Hotpoint ARISTON Panasonic THOMSON PHILIPS TEFAL INDESIT Rowenta Moulinex
ელექტრონიკა
დაბალი ფასების ტერიტორია
ტელ: 2 518 815

ეროვნული ბიბლიოთეკა


# BP - საქართველოს მხარდასაჭერად



**ნიკოლოზ თვაური**
ცურვა

**ვარლამ ლიპარტელიანი**
ძიუდო

**დავით მარსაგიშვილი**
თავისუფალი ჭიდაობა

**შოთა ომარაშვილი**
წოლჭიმი

**იაგო გორგოძე**
წოლჭიმი

**ლუბა გოლოვინა**
ბატუტზე ხტომა

ჩვენ გვეამაყება, რომ ხელს ვუწყობთ საქართველოს სპორტსმენების წარმატებას 2012 წლის ლონდონის ოლიმპიურ და პარაოლიმპიურ თამაშებში.
BP. ჩვენი წვლილი ქვეყნის წარმატებაში

bp

ოფიციალური პარტნიორი

უცხოური ფეხბურთი

იტალიის ნაკრები. გამოხმაურება

# ბევრი შეცდომა და მისაღები შედეგი

იტალიის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი სოფიაში დაიწყო, სადაც ბულგარეთის უმთავრეს გუნდს ეპაექრა და ფრეს დასჯერდა - 2:2. საერთოდ, იტალიელებს სჩვევიათ ტურნირების მძიმედ დაწყება და ამ ფონზე, ბულგარული ფრე არცთუ ურიგო შედეგია, რაზეც თვითონ **ჩეზარე პრანდელიმ** გაამახვილა ყურადღება. ბუნებრივია, შედეგი მასპინძლებისთვისაც მისაღები გამოდგა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იტალია ჯგუფის უდავო ფავორიტია და საყოველთაო ვარაუდით, პირველ ადგილსაც დაიკავებს. თუმცა, იქამდე დიდი დროა და უმჯობესია, სოფიურ მატჩს დავუბრუნდეთ...

ჩეზარე პრანდელიმ 3-5-2 ტაქტიკა აირჩია და შეტევის წინა ხაზზე **სებასტიან ჯოვინკოსა და პაბლო დანიელ ოსვალდოსგან** შემდგარი ტანდემი გაამწესა. აპენინურ პრესაში სწორედ ამ ამბავმა გამოიწვია განსაკუთრებული ინტერესი და აქედანვე უნდა ითქვას, რომ შეტევის ახალმა წყვილმა თავი საკმაოდ კარგად წარმოაჩინა. ჯოვინკო ძალიან აქტიური იყო, ხშირად უკან იხევდა და სიღრმიდან იწყებდა იერიშებს – ამასთან, აქტიურად ეხმარებოდა ნახევარდაცვას და ბურთის ართმევაშიც ნაყოფიერი იყო. რაც შეეხება ოსვალდოს, შეტევის წინა ხაზზე მოქმედებდა და უშუალო მოვალეობას თავი შესანიშნავად გაართვა – მან ორი გოლი გაუტანა ბულგარელებს და ამით, ყვე;ლაფერია ნათქვამი.

იტალიელებმა ყველაზე მეტად მაინც ნახევარდაცვაში მოიკოჭლეს, სადაც **ანდრეა პირლო, ემანუელე ჯაკერინი, დანიელე დე როსი, კლაუდიო მარკიზიო** და **კრისტიან მაჯო** მოქმედებდნენ – ევროპის ჩემპიონატზე ნათამაშებ შუახაზელებს რატომღაც შეუთამაშებლობა ეტყობოდათ, ხშირად ცდებოდნენ გადაცემებში და ვერც მეტოქე ნახევარმცველების მიერ შეთავაზებულ ტემპს აუწყვეს ფეხი... ბულგარელებმა ბევრჯერ დაარტყეს შორი დისტანციიდან **ჯანლუიჯი ბუფონის** კარის მიმართულებით და ერთ-ერთი ასეთი მცდელობისას, მიზანსაც მიაღწიეს: ბუფონმა 27-28 მეტრიდან გაუშვა გოლი, რამაც ბევრი გააკვირვა, მაგრამ თამაშის სურათიდან გამომდინარე, გოლი მაინც კანონზომიერი იყო. მეორე გოლი ბულგარელებმა მეორე ტაიმის შუაწელს გაიტანეს და ამით, შეხვედრის საბოლოო ანგარიში 2:2 დააფიქსირეს.



პაბლო დანიელ ოსვალდო ბულგარელებმა ვერ გააჩერეს

მატჩის შედეგი ლოგიკური იყო და ამაზე იტალიელებიც და ბულგარელებიც ერთხმად შეთანხმდნენ – აქვე, ჩეზარე პრანდელის გადავცეთ სიტყვა, რომელმაც ვრცელი კომენტარი გააკეთა: *"სეზონს ყოველთვის მძიმედ ვიწყებთ და ამ ფონზე, სოფიაში მოპოვებული ქულა ნამდვილად ფასეულია. ბულგარეთის ნაკრები ჩვენი ერთ-ერთი კონკურენტია და თუ უშუალო კონკურენტებთან გასვლაზე ქულას მოვიპოვებთ, უკმაყოფილო არ ვიქნები. თუმცა, თითოეულ შეხვედრაში მინდორზე მოსაგებად გავდივართ და მინდა, ეს ყველამ იცოდეს. მოკლედ, შედეგით უკმაყოფილო არ ვარ, მაგრამ თამაშმა კი ნამდვილად გამაწბილა – მოედნის ცენტრში, უამრავი შეცდომა დავუშვით და რიგ ეპიზოდებში, დაცვაშიც დაგვაკლდა კონცენტრაცია. გაცილებით მაღალ ტემპში შეგვიძლია თამაში და ვერაფრით ვხვდები, რატომ ვმოქმედებდით ასე ინერტულად. მოკლედ, თამაშის ხარისხით უკმაყოფილო ვარ და იმედი მაქვს, რომ მომდევნო პაექრობაში, გაცილებით უკეთ გავირჯებით".*

## სულ სხვა იტალია?

მომდევნო შეხვედრას იტალიის ეროვნული ნაკრები სამშაბათს გამართავს და ქალაქ პადოვაში მალტას დაუპირისპირდება. თუ "გაძეტა დელო სპორტს" დავუჯერებთ, მალტელების წინააღმდეგ პრანდელი გადახალისებულ შემადგენლობას გამოიყვანს და აქცენტს, ახალგაზრდა ფეხბურთელებზე გააკეთებს; ლაპარაკია **ანდრეა პოლიზე** "სამპდორიადან", **მატია დესტროზე** "რომადან", **მარკო ვერატიზე** პსჟ-დან და ა.შ. მოკლედ, ჟურნალისტთა მტკიცებით, პადოვაში გაახალგაზრდავებულ "აძურას" ვიხილავთ, მაგრამ პრანდელი ნაადრევი დასკვნების გაკეთებისგან თავის შეკავებას გვირჩევს:

*"მალტა ევროპული ფეხბურთის გრანდებს არ მიეკუთვნება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უნდა მოვეშვათ და მეტოქეს ძალების დაზოგვით ვეთამაშოთ. ასეთ შემთხვევაში, შეიძლება ცხვირი წავიმტვრიოთ, მე კი არ მსურს, რომ საშინაო შეხვედრაში ქულები დავკარგოთ. ეს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპია და არა ამხანაგური პაექრობა. ასე რომ, ექსპერიმენტები გამორიცხულია. სასტარტო შემადგენლობაში იმ ფეხბურთელებს დავაყენებ, რომლებიც მოცემული მომენტისთვის საუკეთესო ფირმაში იქნებიან. გამომდინარე იქიდან, რომ სოფიაში დიდი ბრძოლა გადავიტანეთ, შესაძლოა, აქცენტი დასვენებულ მოთამაშეებზე გაკეთდეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ექპერიმენტებს მივმართავთ. დავიცადოთ თამაშამდე და ყველაფერს საკუთარი თვალით ნახავთ".*

ბოლოს ჯანლუიჯი ბუფონს გადავცეთ სიტყვა, რომელმაც ბულგარული პაექრობა შეაფასა და მომავალს გახედა: *"მეტოქემ ბოლომდე იბრძოლა და ქულა ნამდვილად დაიმსახურა, რაც ყველამ უნდა ვაღიაროთ. ეს არ იყო ჩვენი საუკეთესო თამაში, რადგან ბევრი შეცდომა დავუშვით და ეს შეუიარაღებელი თვალითაც ნათლად ჩანდა. მიუხედავად ამისა, მთლიანობაში მაინც კმაყოფილი ვარ, რადგან ეს პირველი შეხვედრა იყო და ასეთ დროს, ხარვეზები ჩვეულებრივი ამბავია. მთავარია, რომ გამოვასწოროთ და მატჩიდან მატჩამდე მოვუმატოთ. რა მოხდა პირველი გაშვებული გოლის ეპიზოდში? – დარტყმის მომენტი კარგად ვერ დავინახე, ბურთი კი წინ დამიხტა და რეაგირება ვერ მოვასწარი; დამნაშავე ვარ, ასეთი გოლები არ უნდა გამდიოდეს და ამას კარგად ვხვდები. მოკლედ, შეცდომები გვქონდა, ეს ფაქტია. რაც შეეხება მომდევნო პაექრობას, ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და მჯერა, რომ არა მარტო მალტას დავამარცხებთ, ყველა დანარჩენ კონკურენტსაც და მუნდიალის საგზურს მოვიპოვებთ. მთავარია, ერთი მხრივ მოწინააღმდეგე შევაფასოთ სათანადოდ და მეორე მხრივ, ჩვენ არ დავაკლოთ არაფერი".*

სერია A. პროგნოზები

# მწვრთნელთა ფავორიტი იუვენტუსია



ვალტერ მაცარის პროგნოზით, სკუდეტოსთვის სამი გუნდი იბრძოლებს: "იუვენტუსი", "რომა" და მისი "ნაპოლი"

**სერია A ასეთი არაპროგნოზირებადი ალბათ დიდი ხანია არ ყოფილა – ერთი ვიცით, "იუვენტუსი" სკუდეტოსთვის იბრძოლებს, აი დანარჩენის კი რა მოგახსენოთ. ჯერ არავინ იცის, რას წარმოადგენს ამჟამინდელი "ინტერი", ან თუნდაც "რომა", რომელიც ზდენეკ ზემანის ხელში თავიდან შენდება. გნებავთ "მილანი", რომელიც შემადგენლობის მხრივ, გვარიანად დასუსტდა. მოკლედ, სერია A-ს მიმდინარე გათამაშება სრულიად არაპროგნოზირებადია და მით უფრო საინტერესოა, რას ფიქრობენ წამყვანი იტალიური გუნდების მწვრთნელები (ანტონიო კონტეს გამოკლებით, რომელმაც იტალიურ სპორტულ პრესას ბოიკოტი გამოუცხადა).. მაშ ასე, მოვუსმინოთ მწვრთნელებს და გავეცნოთ მათ მიერ გაკეთებულ პროგნოზებს...**

**მასიმილიანო ალეგრი** (მილანის მთავარი მწვრთნელი): ვიცი, რომ ბევრმა ჩამოგვწერა სასკუდეტო მარათონიდან, მაგრამ ვინც ასე ფიქრობს, მწარედ ცდება. "მილანი" აუცილებლად იბრძოლებს უმაღლესი მიზნისთვის და ამას ყველა ნახავს. ამასთან, არც ჩემპიონთა ლიგა და იტალიის თასის გათამაშება უნდა დავივიწყოთ, რადგან ჩვენთვის ყველა ტურნირი მნიშვნელოვანია. რაც შეეხება კონკურენტებს, უპირველესად "იუვენტუსი" უნდა ვახსენოთ, რომელიც ზაფხულში კიდევ უფრო გაძლიერდა, შემდეგ კი "ინტერი", "ნაპოლი" და "რომა". ვფიქრობ, სკუდეტო ამ გუნდებს შორის გათამაშდება

**ანდრეა სტრამაჩონი** (ინტერის მთავარი მწვრთნელი): პროგნოზების კეთება არ მიყვარს, მაგრამ ჩემს მოსაზრებებს დავაფიქსირებ: ვფიქრობ, რომ ამ დროისთვის საუკეთესო გუნდი "იუვენტუსია", თუმცა პოტენციალი ჩვენ მეტი გვაქვს და ვეცდებით, ეს მიმდინარე სეზონში დავამტკიცოთ. "მილანმა" ზაფხულში დიდი დანაკარგი განიცადა, მაგრამ ამ გუნდს გამარჯვებულის მენტალიტეტი აქვს და დარწმუნებული ვარ, რომ მთელი ჩემპიონატის განმავლობაში სამეულში იტრიალებს. სკუდეტოსთვის ბრძოლა ბოლო ტურებამდე გაგრძელდება და ვგონებ, ამ ბრძოლაში "ინტერიც" იქნება ჩაბმული.

**ვალტერ მაცარი** (ნაპოლის მთავარი მწვრთნელი): შეიძლება ბევრს გაუკვირდეს, მაგრამ ჩემი აზრით, სკუდეტოსთვის სამი გუნდი იბრძოლებს: "იუვენტუსი", "რომა" და "ნაპოლი". დიახ, მე ასე მგონია და მჯერა, რომ ჩემი სიტყვები გამართლდება. "იუვე" მოქმედი ჩემპიონია, ძალიან ძლიერი გუნდი და პირველ ადგილს აუცილებლად დაუმიზნებს; შესანიშნავ გუნდს აკეთებს ზდენეკ ზემანი და თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ უკვე წელს, შეგირდებს პირველი ადგილისთვის აბრძოლებს. არც ჩვენ გვაქვს ყურები ჩამოყრილი და მიმდინარე სეზონზე უდიდეს იმედებს ვამყარებთ – ჩემი აზრით, "ნაპოლი" წელს გაცილებით ძლიერია, ვიდრე გასულ ჩემპიონატში და ამაში აუცილებლად დარწმუნდებით. რაც შეეხებათ მილანურ გრანდებს, ვფიქრობ, რომ წელს, მათი პროგრამა მაქსიმუმი ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაა.

**ზდენეკ ზემანი** (რომას მთავარი მწვრთნელი): პროგნოზების კეთება ჩემი საქმე არაა და ზოგადი ფრაზებით შემოვიფარგლები... ჩემი აზრით, მაღალი მიზნებისთვის ტრადიციული გუნდები იბრძოლებენ: "იუვენტუსი", "მილანი", "ინტერი", "ნაპოლი" და "რომა". თუმცა, არც "ლაციოს" დავიწყება შეიძლება, რომელსაც მიროსლავ კლოზე ჰყავს. თუ გერმანელმა ფორვარდმა ფორმა არ დაკარგა და ასე გააგრძელა, ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოსაპოვებლად "ბიანკოჩელესტეც" იბრძოლებს. არც მრავალჯერ ჩამოწერილი "უდინეზე" უნდა დავივიწყოთ, რომელმაც გასულ სეზონში იტალიური ფეხბურთის აღიარებული გრანდები ჩამოიტოვა.

**ვლადიმირ პეტკოვიჩი** (ლაციოს მთავარი მწვრთნელი): ჩვენი მიზანი ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაა და მჯერა, რომ თავდაუზოგავი შრომის შემთხვევაში, ამოცანის ამოხსნა ძალგვიძს. რაც შეეხება სკუდეტოს, მისი უპირველესი პრეტენდენტი "იუვენტუსია" და მერე დანარჩენები... დანარჩენებში "მილანს", "ინტერს" და "ნაპოლის" ვგულისხმობ – სწორედ ეს სამი გუნდი შეეცილება ტურინულ გრანდს. ძალიან მომწონს "ფიორენტინა", რომელიც წინა წლებისგან განსხვავებით, სამეულს დაუმიზნებს.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**



"მილანი" ბევრმა ჩამოწერა, მაგრამ მასიმილიანო ალეგრი ოპტიმისტურადაა განწყობილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● საქართველოს ჩემპიონატი

# ლელოს კვაჭების ბენეფისი

## შვიდიდან ოთხი ლელო მათზეა

| ყოჩები–ლელო | 22:47 |
| --- | --- |

ყოჩები (15-9) კვარაცხელია, ხულელიძე, გარუჩავა (მახარაშვილი 28), ქუშაშვილი, აბრამალაძე (ხარშილაძე 60), გაბუნია (ხელაძე 60), ჯაფარიძე. (1-8) ესაკია (ქილლაძე 50), ცუცქირიძე, შენგელია, ბელაშვილი, ტვილდიანი, აფციაური, ნიკლაური, მალალურაძე.

2ლ: ჭილლაძე, ნიკლაური. 4ს: გაბუნია.

ლელო (15-9) ყიასაშვილი, ზაალიშვილი, ცერცვაძე, კოპაძე, ნიჟარაძე, ხმალაძე (ლოლუა 45), კაჭარავა. (1-8) სანიკიძე, ხიდეშელი (ბელქანია 41), ბარბაქაძე (სუჯაშვილი 45), ნიკოლაიშვილი, ქოიავა (ხორბალაძე 65), მძინარიშვილი, სურგულაძე (დარასელია 35), ჭყოიძე (ჟღენტი 41).

7ლ: ხიდეშელი (3), ბელქანია, ნიჟარაძე, ჭყოიძე, კაჭარავა. 6გ: ყიასაშვილი.

მსაჯი: დავით ჩერგოლეიშვილი

საქართველოს ჩემპიონატის მეორე ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილს სათავეში თბილისის „ლელო" მოექცა, რომელმაც „ავჭალის სარაგბო სტადიონზე" დიდი ანგარიშით სძლია თანაქალაქელ „ყოჩებს" 47:22.

„ყოჩებს" უკვე მეორე სეზონია ძნელბედობის ჟამი უდგას. გუნდი ბევრმა წამყვანმა მორაგბემ დატოვა. გამოცდილთაგან მხოლოდ სამი - **ჯაბა მალალურაძე, დავით ბელაშვილი** და **სანდრო ესაკია** დარჩნენ. ისინი ახალგაზრდა მორაგბეებთან ერთად ცდილობენ ახალი გუნდის შენებას და მომავალში ოდინდელი დიდების დაბრუნებას.

აწმყოში კი „ყოჩები" მეტოქეებს, ჯერჯერობით, კონკურენციას ვერ უწევს. ასე იყო „ლელოსთან" მატჩშიც, რომლის ბედიც, ფაქტობრივად პირველივე ტაიმში გადაწყდა. ლელოელებმა მატჩის პირველი ნახევარი 23-ქულიანი სხვაობით მოიგეს - 35:12.

ანგარიში „ლელომ" მატჩის დასაწყისშივე, მე-5 წუთზე გახსნა. „ყოჩებმა" საკუთარი ჩათვლის მოედნიდან ათ მეტრში დერეფანი წააგო. „ლელოს" მორკინალებმა ორი მოკლე დარტყმა განახორციელეს, მერე ცხრა ნომერმა **გიორგი კაჭარავამ** შერკინების კვაჭ **დავით ხიდეშელს** გაატანა ბურთი, რომელმაც მეტოქის რიგებში სლალომისებური დრიბლინგით გაიარა და ლელოში შეიჭრა. ფულბეკმა **ირაკლი ყიასაშვილმა** გარდასახა - 7:0.

აღსანიშნავია, რომ ეს შეხვედრა „ლელოს" შერკინების კვაჭების ბენეფისად იქცა. ხიდეშელმა სულ სამი ლელოს გატანა შეძლო, რასაც მის ნაცვლად შეცვლაზე შესულმა **რეზო ბელქანიამ** კიდევ ერთი დაამატა.

„ყოჩებმა" საპასუხო შეტევისას ხუთ წუთში საჯარიმო გამოიმუშავეს, რომელიც მგეზავმა **გიგი გაბუნიამ** გაიტანა - 3:7. ამის შემდეგ თამაში ისე აეწყო, რამდენჯერაც „ლელო" მეტოქის ჩათვლის მოედანს დალაშქრავდა, იმდენჯერ „ყოჩები" საჯარიმოთი პასუხობდა.

მეორედ „ლელომ" მოწინააღმდეგის ლელოში მე-14 წუთზე შეაღწია. დერეფნიდან, რომელიც მარჯვენა ფრთაზე, ჩათვლის მოედნიდან 15 მეტრში გაათამაშეს, მეორეხაზელმა **ბექა ნიკოლაიშვილმა** შეუტია. წარმოქმნილ რაკში თამაშისას „ყოჩები" დაჯარიმდნენ. შერკინების შემკვრელმა (№8) **გიორგი ჭყოიძემ** დროულად შენიშნა მარჯვენა, მოკლე ფრთაზე დაუცველი სივრცე, რომლისკენაც სწრაფად გაიქცა. კაჭარავამ საჯარიმო უმალ გაათამაშა და ხელსაყრელ პოზიციაში მყოფ ჭყოიძეს გადააწოდა, რომელსაც ლელოს გატანა არ გასჭირვებია. ყიასაშვილმა გარდასახა - 14:3.

ოთხ წუთში გაბუნიამ საჯარიმოთი უპასუხა - 6:14. მე-20 წუთზე კი „ლელოს" მიერ განხორციელებულ მორიგ იერიშზე ხელს მსოფლიოს ნებისმიერი დონის გუნდი მოაწერდა. ლელოელებმა შეტევა მარჯვენა ფრთაზე, მოედნის საკუთარი ნახევრიდან წამოიწყეს. ხელდახელ ბურთაობით მეტოქის 22-მეტრიან ზონაში შეაღწიეს, მერე ბურთი მარცხნივ, გრძელ ფრთაზე გამოათამაშეს და ხიდეშელმა მეორე ლელო მიითვალა. ყიასაშვილმა ესეც გარდასახა - 21:6.

„ლელოს" უპირატესობა ნელ-ნელა სულ უფრო მკვეთრი გახდა. „ყოჩებმა" საჯარიმოთი კიდევ ერთხელ შეძლეს ანგარიშში სხვაობის შემცირება, მაგრამ ტაიმის დასრულებამდე ლელოელებმა კიდევ ორჯერ შეაღწიეს მეტოქის ჩათვლის მოედანში.

26-ე წუთზე მოედნის ცენტრში დანიშნული შერკინებიდან ბურთი კაჭარავამ გამოიტანა, თავად შეუტია და ათიოდ მეტრი გაიარა, მერე იქვე მიმყოლ მგეზავ **ლაშა ხმალაძეს** გაატანა, რომელმაც მეტოქის ხაზი გაჭრა და ჩათვლის მოედანთან მისულმა, ისევ კაჭარავას დაუბრუნა. „ლელოს" ცხრა ნომერმა ბურთი კარის ძელთან ახლოს დაამიწა. ყიასაშვილს გარდასახვა არ გასჭირვებია - 28:9.

პირველი ტაიმის დასრულებას ერთი წუთი აკლდა, როცა მორიგი მრავალფაზიანი შეტევის შემდეგ მოედნის ცენტრთან „ლელოს" მეორეხაზელმა **სანდრო ქოიავამ** „ყოჩების" ხაზი გაჭრა. ის 22-მეტრიანი ზონის მისადგომებთან შეაჩერეს. წარმოქმნილი რაკიდან ბურთი მარჯვნივ, გრძელ ფრთაზე ბოლომდე გაათამაშეს და იქ გარემარბის პოზიციაზე აღმოჩენილმა ხიდეშელმა თავის მესამე ლელო მიითვალა, ყიასაშვილმა გარდასახვით მონაგარს კიდევ ორი ქულა შესძინა - 35:9. თუმცა „ყოჩები" შესვენებაზე ისე არ წავიდა, რომ კიდევ ერთი საჯარიმო არ გაეტანა. გაბუნიამ ისევ ზუსტად დაარტყა და ანგარიშში სხვაობა 23 ქულამდე შეამცირა - 12:35.



ბურთით სანდრო ქოიავა

შესვენების შემდეგ ვითარება დიდად არ შეცვლილა. მეორე ტაიმის საწყის 10 წუთში ლელოელებმა მეტოქეს კიდევ ორი ლელო გაუტანეს. ჯერ 44-ე წუთზე „ყოჩების" ჩათვლის მოედანში შეცვლაზე შესულმა შერკინების კვაჭმა რეზო ბელქანიამ შეაღწია. მერე 6 წუთის შემდეგ კი, მორიგი იერიში გარემარბმა ალექსანდრე ნიჟარაძემ დააგვირგვინა. ორი ლელოდან ყიასაშვილმა ერთი გარდასახა - 47:12.

ძნელი სათქმელია რატომ, მაგრამ ფაქტია, ანგარიშში საგრძნობლად დაწინაურების შემდეგ „ლელოს" თამაშში რაღაც აირია. არ ვიტყოდით, რომ მორაგბეები მოეშვნენ, პირიქით, ბოლომდე თავდადებით იბრძოდნენ. თუმცა ანგარიშის გაზრდა ვერ მოახერხეს. ერთი სიტყვით, მატჩის დასრულებამდე დარჩენილ 30 წუთში მონაგარს ვერაფერი შემატეს.

„ყოჩებმა" კი მეტოქეს ორი ლელო მაინც გაუტანა. პირველ შემთხვევაში თავი შეცვლაზე შესულმა შერკინების ბურჯმა **ჭაბუკა ჭილლაძემ** გამოიჩინა. მატჩის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე კი ჩათვლის მოედანში მესამეხაზელმა **გიორგი ნიკლაურმა** შეაღწია. გარდასახვა ორივეჯერ შეცვლაზე შესულ **კახაბერ მახარაშვილს** გაუცუდდა - 22:47. „ლელომ" მეორე მატჩი მოიგო და ორივეში პრემიალური ქულა მიითვალა.

# ერთით მჯობნი აია

| არმია–აია | 15:16 |
| --- | --- |

არმია (15-9 კობახიძე, ნუცუბიძე, გაბროშვილი (გაგოშვილი 68), ჩხიკვაძე, ტუჩაშვილი, ნინიძე (ჯიმშელაძე 58). სამხარაძე. (1-8) ზაქაშვილი (კაკოვინი 41), მეკოკიშვილი, გურგენიძე (დონაძე 41), ცხადაძე (აზალაძე 41), ჩიტიძე, თხილაიშვილი, თავართქილაძე, ბუჯიაშვილი.

5ს: კობახიძე.

სინბინი: ნუცუბიძე, მეკოკიშვილი.

აია (15-9) ხამაშურიძე, აბრამიძე, ფრუიძე, ძნელაძე (კუხიანიძე 67), გოშაძე, სინაურიძე, გოგია. (1-8) არაბიძე (ულუმბელაშვილი 67), თხელიძე (მატკავა 53), ულუმბელაშვილი (ნაქაძე 53), ჯიმშიტაშვილი, ჩიტეიშვილი, რევიშვილი, შალამბერიძე, ყურაშვილი.

ლ: შალამბერიძე. 3ს,გ: სინაურიძე.

მსაჯი: მიხეილ ჩაჩუა

უაღრესად დაძაბული, საინტერესო და სანახაობრივი გამოდგა ჩემპიონატის ფავორიტების „არმიასა" და ქუთაისის „აიას" დაპირისპირება. შეხვედრა, რომლის გამარჯვებული, ვინაობაც ბოლო წამებამდე უცნობი იყო, ქუთათურებმა მინიმალური სხვაობით 16:15 მოიგეს.

სეზონის დაწყების წინ „აიამ" თითქმის მთელი პირველი ხაზი დაკარგა. ქუთაისელმა შერკინების ბურჯებმა საფრანგეთს მიაშურეს და იქაურ წამყვან კლუბებში ჩაირიცხნენ. ასე ხდება თითქმის ყოველ წელიწადს. თუმცა „აია" მუდმივად ახერხებს წასულთა ნაცვლად შესაბამისი დონის ახალგაზრდა პირველხაზელების საკუთარ სკოლაში მოძიებას და მიუხედავად მუდმივი გადინებისა, ამ გუნდის პირველ ხაზს პრობლემა არასდროს შექმნია.

ცალკე სალაპარაკო თემაა უკანა ხაზი. წლეულს ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაიმკვიდრეს ახალგაზრდული ნაკრების მოთამაშეებმა **გიორგი ფრუიძემ, გიორგი აბრამიძემ** და **ზურაბ ძნელაძემ**. გამოცდილი და ახალგაზრდა მორაგბეების სინთეზი კი შესანიშნავ შედეგს იძლევა.

„არმიას", რომელიც ქვეყნის ჩემპიონი და თასის მფლობელია, დაკომპლექტების პრობლემა არასდრო ჰქონია. ამ კლუბის ფინანსური შესაძლებლობები გაცილებით აღემატება სხვებისას. აგერ, მოინდომეს და ესპანეთიდან შერკინების ბურჯი **დავით გურგენიძე** ჩამოიყვანეს, რომელიც ამ ქვეყნის ნაკრების წევრია. „ლელოდან" დაიმატეს მეორეხაზელი **ლაშა აზალაძე**. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თითქმის ყველა პოზიციაზე ორი თანაბრად ძლიერი მოთამაშე ჰყავთ, რაც საჭიროების შემთხვევაში შემადგენლობის როტაციის საშუალებასაც იძლევა. ეს კი ქართული გუნდებისთვის ფუფუნებაა.

„არმია" და „აია" შარშანდელი ჩემპიონატის ფინალისტები არიან. მაშინ ამ გუნდების ჭიდილში არმიელებმა იმარჯვეს. ახლა, მართალია, რეგულარული გათამაშების მორიგი ტურია, მაგრამ როგორც ჩანს „აიას" ჯერიც დადგა. ქუთაისელმა მორაგბეებმა თამაში აქტიურად დაიწყეს. მათი მწყობრი შეტევა მეტოქემ წესის დარღვევით შეაჩერა და მე-5 წუთზე მგეზავმა **გაგა სინაურიძემ** ანგარიში საჯარიმოთი გახსნა - 3:0.

„არმიას" ანგარიშის გასათანაბრებლად დიდი დრო არ დასჭირვებია. სამ წუთში **ბახვა კობახიძემ** ასევე საჯარიმოთი გასცა პასუხი, მანვე მე-16 წუთზე კიდევ ერთხელ გაიტანა და თავისიანები დააწინაურა - 6:3. პირველი ტაიმის დარჩენილ 24 წუთში ანგარიში აღარ შეცვლილა. ორივე გუნდი დაცვაში შესანიშნავად ირჯებოდა და მეტოქეს მონაგრის გაზრდის საშუალებას არ აძლევდა.

მოვლენები დრამატულად მეორე ნახევარში განვითარდა. 46-ე წუთზე არმიელები ექვსი ქულით დაწინაურდნენ. კობახიძემ საჯარიმო გაიტანა, თუმცა „აიამ" შვიდ წუთში ისევ სამ ქულამდე შეამცირა სხვაობა. ცხადია, საჯარიმო ისევ სინაურიძემ დაარტყა ზუსტად - 6:9.

გარდამტეხი მომენტი 58-ე წუთზე დადგა, როცა ქუთაისელმა მორაგბეებმა მატჩის ერთადერთი ლელო გაიტანეს. შერკინება „არმიას" სასარგებლოდ მისივე ჩათვლის მოედნიდან 10 მეტრში დაინიშნა. „აიამ" მძლავრი მიწოლით მეტოქეს შერკინება დაუტრიალა და არბიტრმა ხელახალი რკენა დანიშნა, ამჯერად ქუთათურთა სასარგებლოდ. შერკინებიდან ბურთი „აიას" შემკვრელმა **ბექა ყურაშვილმა** გაიტანა. ის იქვე შებოჭეს. წარმოქმნილი რაკიდან ახლა ბურთი მესამეხაზელმა **გელა შალამბერიძემ** აიტაცა. მისი შეჩერება არმიელებმა ვერ შეძლეს. გარდასახვა სინაურიძემ ზუსტად დაარტყა - 13:9.

თამაშის დასრულებამდე 22 წუთი რჩებოდა. აქედან 15 წუთის განმავლობაში „არმიას" კაცნაკლულმა მოუწია თამაში. მატჩის არბიტრმა გვიანი ბოჭვისთვის ჯერ გარემარბი **რატი ნუცუბიძე** გაასინბინა, მერე რაკში ბინძური თამაშისთვის ათი წუთით შერკინების კვაჭი **ბექა მეკოკიშვილი** დაასვენა.

მიუხედავად ამისა, „არმიამ" 75-ე წუთისთვის მაინც მოახერხა ანგარიშში დაწინაურება. ორი საჯარიმო ბახვა კობახიძემ გაიტანა - 15:13. მანამდე კი სინაურიძეს შეეძლო „აიას" მონაგრის გაზრდა, თუმცა ხელსაყრელი პოზიციიდან ვერ გაიტანა. ეს ეპიზოდი შესაძლოა გადამწყვეტი გამხდარიყო, თუმცა სინაურიძეს აშკარად გაუმართლა.

მას 77-ე წუთზე კიდევ ერთხელ მიეცა შანსი, რომელიც გამოიყენა კიდეც და თავისი გუნდი ქულით დააწინაურა - 16:15. ერთი წუთიც არ იყო გასული, როცა უკვე საჯარიმოს დარტყმის უფლება „არმიამ" მოიპოვა. აქ კი არმიელთა ფულბეკ კობახიძეს ნერვებმა უმტყუნა და საჯარიმოდან ბურთი კარს ააცილა. შედეგად გამარჯვება „აიას" დარჩა. ქუთათურთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მით უფრო, რომ თავდადებული ბრძოლის გამო, „ავჭალის სარაგბო სტადიონზე" შეკრებილი მაყურებელი თითქმის ყველა ქუთაისურ გუნდს ქომაგობდა.



აიას მოთამაშე მწვრთნელი ბესიკ ხამაშურიძე

### II ტური

| | |
| --- | --- |
| ილიაუნი ჯიქი-ხარები | 13:6 |
| ბათუმი XV-ლოკომოტივი | 13:3 |
| აკადემია-არმაზი | 6:24 |

### სატურნირო მდგომარეობა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
| --- | --- | --- | --- | --- | --- | --- |
| 1. ლელო | 2 | 2 | 0 | 0 | +50 | 10 |
| 2. არმაზი | 2 | 2 | 0 | 0 | +31 | 8 |
| 3. აია | 2 | 2 | 0 | 0 | +11 | 8 |
| 4. არმია | 2 | 1 | 0 | 1 | +15 | 6 |
| 5. ლოკომოტივი | 2 | 1 | 0 | 1 | +6 | 4 |
| 6. ბათუმი XV | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 4 |
| 7. ჯიქები | 2 | 1 | 0 | 1 | -9 | 4 |
| 8. ხარები | 2 | 0 | 0 | 2 | -20 | 1 |
| 9. ყოჩები | 2 | 0 | 0 | 2 | -41 | 0 |
| 10. აკადემია | 2 | 0 | 0 | 2 | -43 | 0 |

### III ტური

ილიაუნი ჯიქი-აია, ლოკომოტივი-არმია, ლელო-ბათუმი XV, არმაზი-ყოჩები, ხარები-აკადემია.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

ევრობასკეტი 2013. სლოვენია

# იქ, სადაც ჩვენი ადგილია!

## ზედიზედ მეორედ ევროპის ჩემპიონატზე!



შენგელიას ეფექტური დაფარება

8 სექტემბერი. რიგა, არენა ლიტვა 4 500 მაყურებელი

**ლატვია 70:73 საქართველო**

13-7, 11-24, 21-17, 25-25

მსაჯები: ი. ბელოშევიჩი (სერბეთი), ე. ვიატორი (საფრანგეთი), ა. ჰალიკო (ესტონეთი)

| ლატვია | წთ | ს-თ. | ს-თ% | 2ქ | 2ქ% | 3ქ | 3ქ% | 1ქ | 1ქ% | მ-მ. | მ-ს. | მ | პ | შ | ჩ | დ | ფ | ფ-მ. | +/- | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4. ვეცვაგარსი | 2 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | -1 | 0 |
| 5. მეჟერისი | 7 | 1/1 | 100.0 | 1/1 | 100.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | -5 | 2 |
| 6. ფრეიმანისი | 5 | 0/2 | 0.0 | 0/2 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | -9 | 0 |
| 8. დავის ბერტანსი | 16 | 1/3 | 33.3 | 1/1 | 100.0 | 0/2 | 0.0 | 1/1 | 100.0 | 2 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 2 | 2 | 3 |
| 9. ჟერომანოვსი | 19 | 1/5 | 20.0 | 1/4 | 25.0 | 0/1 | 0.0 | 1/2 | 50.0 | 1 | 2 | 3 | 1 | 3 | 0 | 0 | 1 | 2 | -4 | 3 |
| *13. შტრელნიეკსი | 29 | 4/12 | 33.3 | 3/6 | 50.0 | 1/6 | 16.7 | 2/2 | 100.0 | 0 | 2 | 2 | 6 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 4 | 11 |
| *14. კ. ბერზინსი | 24 | 5/12 | 41.7 | 3/5 | 60.0 | 2/7 | 28.6 | 3/4 | 75.0 | 2 | 3 | 5 | 2 | 1 | 1 | 1 | 4 | 3 | 0 | 15 |
| *15. შელაკოვსი | 11 | 1/3 | 33.3 | 1/3 | 33.3 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 4 | 4 | 0 | 1 | 0 | 0 | 3 | 0 | 3 | 2 |
| 23. მეიერსი | 24 | 5/7 | 71.4 | 5/7 | 71.4 | 0/0 | 0.0 | 4/6 | 66.7 | 1 | 7 | 8 | 1 | 1 | 0 | 0 | 3 | 5 | -1 | 14 |
| *33. კუკსიკსი | 31 | 2/7 | 28.6 | 1/3 | 33.3 | 1/4 | 25.0 | 0/0 | 0.0 | 1 | 2 | 3 | 1 | 2 | 1 | 1 | 4 | 3 | 2 | 5 |
| *45 დაირის ბერტანსი | 32 | 5/11 | 45.5 | 2/5 | 40.0 | 3/6 | 50.0 | 2/2 | 100.0 | 0 | 2 | 2 | 2 | 2 | 1 | 0 | 5 | 3 | -6 | 15 |
| გუნდი | | | | | | | | | | 3 | 6 | 9 | | 0 | | | 0 | | | |
| ჯამი | | 25/63 | 39.7 | 18/37 | 48.6 | 7/26 | 26.9 | 13/17 | 76.5 | 10 | 31 | 41 | 14 | 11 | 5 | 3 | 23 | 20 | | 70 |

| საქართველო | წთ | ს-თ. | ს-თ% | 2ქ | 2ქ% | 3ქ | 3ქ% | 1ქ | 1ქ% | მ-მ. | მ-ს. | მ | პ | შ | ჩ | დ | ფ | ფ-მ. | +/- | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| *7. ფაჩულია | 30 | 6/15 | 40.0 | 6/15 | 40.0 | 0/0 | 0.0 | 3/7 | 42.9 | 2 | 0 | 2 | 2 | 2 | 1 | 0 | 4 | 5 | 8 | 15 |
| *8. ცინცაძე | 34 | 5/10 | 50.0 | 3/7 | 42.9 | 2/3 | 66.7 | 2/2 | 100.0 | 0 | 1 | 1 | 2 | 1 | 0 | 0 | 4 | 3 | 4 | 14 |
| 9. შერმადინი | 10 | 1/2 | 50.0 | 1/2 | 50.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 1 | 2 | 3 | 0 | 1 | 0 | 0 | 2 | 0 | -5 | 2 |
| *11. მარკოიშვილი | 34 | 5/7 | 71.4 | 2/2 | 100.0 | 3/5 | 60.0 | 4/6 | 66.7 | 1 | 5 | 6 | 1 | 2 | 2 | 0 | 3 | 4 | 1 | 17 |
| 12. ფაცაცია | 10 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 2 | 2 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 |
| *13. სანიკიძე | 33 | 2/8 | 25.0 | 1/6 | 16.7 | 1/2 | 50.0 | 2/4 | 50.0 | 1 | 8 | 9 | 0 | 2 | 0 | 0 | 3 | 2 | -3 | 7 |
| *23. შენგელია | 28 | 0/4 | 0.0 | 0/3 | 0.0 | 0/1 | 0.0 | 3/6 | 50.0 | 1 | 7 | 8 | 1 | 2 | 1 | 2 | 3 | 4 | 9 | 3 |
| 34. პულენი | 20 | 4/12 | 33.3 | 3/9 | 33.3 | 1/3 | 33.3 | 6/8 | 75.0 | 1 | 1 | 2 | 4 | 0 | 2 | 0 | 1 | 5 | -4 | 15 |
| გუნდი | | | | | | | | | | 1 | 2 | 3 | | 0 | | | 0 | | | |
| ჯამი | | 23/58 | 39.7 | 16/44 | 36.4 | 7/14 | 50.0 | 20/33 | 60.6 | 8 | 28 | 36 | 10 | 10 | 7 | 2 | 20 | 23 | | 73 |

*შენიშვნა: **წთ** - წუთი, **ს-თ** - სროლა თამაშიდან, **2ქ** - ორქულიანი, **3ქ** - სამქულიანი, **1ქ** - საჯარიმო, **მ-მ** - მოხსნა მეტოქის ფარზე, **მ-ს** - მოხსნა საკუთარ ფარზე, **მ** - მოხსნა სულ, **პ** - პასი, **შ** - შეცდომა, **ჩ** - ჩაჭრა, **დ** - დაფარება, **ფ** - ფოლი, **ფ-მ** - ფოლი მეტოქეს, +/- - სხვაობა კალათბურთელის მოედანზე ყოფნისას, **ქ** - ქულა.*



სანიკიძის მორიგი შეტევა

« პირველი გვერდიდან

თბილისში ლატვიასთან **ჯეიკობ პულენის** შორეული სამქულიანით მოვიგეთ. არადა, მანამდე **მეჟერისმა** ორი საჯარიმო ააცილა... 79:76 გამარჯვების შემდეგ წინასწარ ცხადი იყო, რომ ლატვიაში ურთულესი განმეორებითი ბრძოლა გველოდა. შაბათს რიგაში მართლაც მძიმე თამაში გადავიტანეთ, რომლის მოგებაც უამრავ ფაქტორზე იყო დამოკიდებული.

უმთავრესად კი საჭირო იყო მეოთხე პერიოდის კარგად ჩატარება, რაც მანამდე ლატვიელებს უკეთესად გამოსდიოდათ. ამ მიმართულებით ბალტიისპირელთა თავკაცი **აინარს ბაგაცკისი** პირველივე წუთებიდან მუშაობდა - შემადგენლობას ხშირად ცვლიდა, რომ მეოთხე პერიოდისთვის თითოეული კალათბურთელი საბრძოლო კონდიციებში ყოფილიყო.

ხშირ შეცვლებს ველოდით საქართველოს ნაკრების თავკაცის **იგორ კოკოშკოვისგანაც,** მაგრამ მან სულ 8 კალათბურთელი ათამაშა (მათ შორის **გიორგი შერმადინი** და **ლევან ფაცაცია** 10-10 წუთი). მაშ, რის ხარჯზე უნდა გამოეზოგა მწვრთნელს სასტარტოების ენერგია? ამ კითხვას უშუალოდ შეხვედრამ გასცა პასუხი: თუ პირველ წრეში ქართველთა მთავარი პლუსი სწრაფი



ფაჩულიას ორი მეტოქე მუდამ თან სდევდა

შეტევა იყო, რომლის დროსაც **თორნიკე შენგელია** თუ **ვიქტორ სანიკიძე** ბურთის მოხსნისთანავე მეტოქის ნახევარზე გადადიოდნენ და მოწინაალმდეგეს დაცვაში დალაგების საშუალებას არ აძლევდნენ, ლატვიაში ქართველთა მწვრთნელმა მაღალ ტემპზე უარი თქვა. ეს თითქოს გასაკვირი უნდა ყოფილიყო,

რადგან თუნდაც ბოსნიაში პირველი მეოთხედის 28:9 მოგების მიზეზი სწორედ სწრაფი იერიშები იყო, მაგრამ ჩვენმა მწვრთნელმა სწორად გათვალა - მაღალ ტემპში თამაში დიდ ენერგიას მოითხოვს და სწორედ ამის შედეგი იყო პირველ წრეში სამჯერ რომ წავაგეთ მეოთხე ათწუთეული. ლატვიაში კი იგორ კოკოშკოვმა დინჯი თამაში ამჯობინა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ შეგირდების ძალებს გაფრთხილებოდა, მეორეც - მოძრავ, ახალგაზრდა ლატვიელების წარმატების შანსი სწორედ სირბილში გასწრება უნდა ყოფილიყო. დღეს თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგორ კოკოშკოვის ჩანაფიქრმა გაამართლა - ჩვენმა გუნდმა საბოლოოდ სწორედ ლატვიაში მოაგროვა ყველაზე ნაკლები ქულა სწრაფი შეტევით (11). თუმცა მთავარია, რომ არც მეტოქეს მისცა ამის შანსი - ლატვიელებმა იერიშის პირველივე ფაზაში დაგვირგვინების შედეგად მხოლოდ 10 ქულა მიითვალეს.

თავისი მიზანი ჰქონდა ლატვიელთა თავკაც აინარს ბაგაცკისს, რომელსაც 2011 წლის მაგალითის გათვალისწინებით (მაშინ **ზაზა ფაჩულიამ** ლატვიას 42 ქულა ჩაუგდო) კარგად მოეხსენებოდა, რომ სამწამიანი ზონის გადაკეტვა მისი გუნდისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისა იყო. პირველ მეოთხედში მისმა შეგირდებმა მითითება იდეალურად შეასრულეს - ქართველებს ფარქვეშიდან ბურთის ჩაგდებას არ ანებებდნენ, ერჩივნათ დაჯარიმებულიყვნენ, ვიდრე სროლის საშუალება მიეცათ. ამიტომ, საწყის 10 წუთში საქართველოს ნაკრებს მხოლოდ ერთი ორქულიანი ჰქონდა ჩაგდებული (სულ 7 ქულა). თუმცა ათამაშებული ზაზა ფაჩულიას შეჩერება NBA-შიც უჭირთ და რა გასაკვირია, ლატვიელებსაც რომ გაძნელებოდათ. მიუხედავად ზაზას დამაჯერებელი თამაშისა, ლატვიელებმა ბოსნიელებთან შედარებით ფარქვეშ მაინც კარგად დაიცვეს თავი. თუ ბოსნიას სამწამიანი ზონიდან 56 ქულა ჩავუგდეთ, ლატვიას ამ ადგილიდან მხოლოდ 24 ქულა „ვუძღვენით". თუმცა, საშუალო და შორი დისტანციებიდან ტყორცნებისას ჩვენმა კალათბურთელებმა კიდევ ერთხელ გამოავლინეს მაღალი კლასი და მეტოქეს შანსი არ დაუტოვეს. აბა, 14-დან 7 სამქულიანს რომ ჩააგდებ, სხვა რას უნდა დაბრალდეს, თუ არა, მაღალ კლასს?

...და მთავარი: იგორ კოკოშკოვის შეგირდებმა მიმდინარე შესარჩევზე დაცვაში ყველაზე სტაბილურად სწორედ რიგაში ითამაშეს. მაშინაც კი, როცა 10 წუთში 7 ქულა ჩააგდეს, მეტოქისთვის გალაღების საშუალება არ მიუციათ - 13 ქულა დაანებეს. პირველი ტაიმი ლატვიამ სულაც 24 ქულით დაასრულა. მთავარი კი გადამწყვეტი წამები იყო, რომლის დროსაც ჩვენიანებს მეტოქისთვის სამქულიანის ტყორცნის საშუალება არ მიუციათ: ანგარიშზე 73:70 (ჩვენს სასარგებლოდ) საფინალო სირენამდე 4 წამით ადრე **შტრელნიეკსმა** ბურთი, საქართველოს ნაკრების კალათისკენ როგორც იტყვიან, გადააგდო. იგივე გაიმეორა გონგამდე 2 წამით ადრე **კუკსიკსმა,** რომელსაც **მანუჩარ მარკოიშვილი** ისე დაუდგა, ტყორცნის სურვილი დაუკარგა.

■ ■ ■

ზემოთ ვახსენეთ რამდენიმე უპირატესობა, რაც რიგაში საქართველოს ნაკრებს გააჩნდა, მაგრამ იმასაც წაიკითხავდით, რომ ენერგიული თამაშის წყალობით ლატვიელები კუდში მოგვდევდნენ. ამიტომ, აუცილებელია რამდენიმე სიტყვა ყოველ მეოთხედს შევაწიოთ.

პირველი პერიოდი გუნდებმა მეტოქის კალათისკენ გზების ძიებას მოანდომეს, მაგრამ მოწოდების სიმაღლეზე იყო როგორც ერთის, ასევე მეორის დაცვა. მეორე პერიოდში ლატვიამ **ბერტანსის** სამქულიანით 8-ქულიან უპირატესობას მიაღწია. თუმცა მოედანზე შემოსულმა პულენმა ბაგაცკისის გეგმები თავდაყი-

» მე-13 გვერდზე



ქართული სიხარული რიგაში

## ბოსნია, საქართველო, ლატვია

**ბოსნია–რუმინეთი 93:58**

25-12, 32-12, 21-20, 15-14

ბოსნია: ტელეტოვიჩი (15ქ), დედოვიჩი (12ქ), რაითი (12ქ, 8პ), მიტროვიჩი (12ქ), კიკანოვიჩი (12ქ)...

რუმინეთი: დრაგუშინი (17ქ), სილვასანი (15ქ), მანდაჩე (10ქ)...

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოსნია | 8 | 6 | 2 | 736/672 | 14 |
| 2. საქართველო | 7 | 5 | 2 | 610/577 | 12 |
| 3. ლატვია | 7 | 4 | 3 | 570/507 | 11 |
| 4. ჰოლანდია | 7 | 2 | 5 | 578/629 | 9 |
| 5. რუმინეთი | 7 | 1 | 6 | 492/601 | 8 |

ბოსნიამ რუმინეთის ძლევით პირველი ადგილი გაინაღდა. ჰოლანდიის დამარცხების შემთხვევაში ქართველები ქულათა რაოდენობით ბოსნიელებს გაუთანაბრდებიან, მაგრამ ურთიერთშეხვედრებში ნაჩვენები უკეთესი შედეგის გამო პირველი მაინც ექსიუგები იქნებიან - თბილისში 107:103 მოიგეს, სარაევოში 95:96 წააგეს.

ასევე არსებობს შესაძლებლობა, რომ საქართველომ და ლატვიამ შესარჩევი ეტაპი თანაბარი ქულებით დაამთავრონ, მაგრამ ბალტიელები მაინც ვერ გვაჯობებენ, რადგან შინაც დავამარცხეთ და სტუმრადაც.

ასე და ამგვარად, ბოსნია პირველია, საქართველო - მეორე, ხოლო ლატვია რუმინეთში გამარჯვებით მოიპოვებს ევრობასკეტის საგზურს. თუმცა **აინარს ბაგაცკისის** გაწვრთნილი გუნდი შესაძლოა, მარცხის შემთხვევაშიც გავიდეს ევროპის ჩემპიონატზე, რადგან სხვა ჯგუფის მესამეადგილოსნებს სადღეისოდ უკვე 4-4 წაგება აქვთ.

## კალათბურთი

« მე-12 გვერდიდან

რა დააყენა: ჯერ სამქულიანი ჩააგდო, შემდეგ ორქულიანი, ამას მიაყოლა სამი ზუსტი საჯარიმო და ანგარიში გათანაბრდა - 20:20. მეოთხედის ბოლო 6 წუთში ლატვიელებმა მხოლოდ 2 ქულა ჩააგდეს, ამის მიზეზი კი ის იყო, რომ ზაზა ფაჩულია ფარქვეშიდან ჩვეულად ამოქმედდა, რამდენიმე ბურთი ბრძოლაში ჩაუგდო და მასპინძლები ერთგვარად შეკრთნენ, მიხვდნენ რომ საქართველოს ნაკრები ფარქვეშ მტკიცედ იდგა და სამწამიანიდან უწინდებურად თამამად ველარ უტევდნენ.

მესამე პერიოდი მეტ-ნაკლებად თანაბარი გამოდგა. საქართველოს ნაკრებმა ნათლად უჩვენა, რომ მისი პლუსი მხოლოდ ახლო დისტანციიდან ტყორცნები არ არის - ჯერ მატჩის მომავალმა ბომბარდირმა მანუჩარ მარკოიშვილმა ჩააგდო სამქულიანი, შემდეგ **გიორგი ცინცაძემ** ორი ზუსტი ტყორცნით მასპინძლებს მეოთხედის მოგების შანსი მოუსპო. პერიოდი **გიორგი შერმადინის** ორქულიანით დასრულდა - 48:45.

მეოთხე რაუნდში ვიქტორ სანიკიძის ზუსტი სამქულიანით საქართველო საბოლოოდ დაწინაურდა - 56:55. ცინცაძემ კიდევ ერთხელ გაიბრწყინა, ორი უმნიშვნელოვანესი შეტევა 4 ქულით დააგვირგვინა და 60:55. დარჩენილ 5 წუთში უპირატესობის შენარჩუნება კლასის ამბავი იყო. დაცვაში ყველა დამაჯერებელი იყო, შენგელიაც პულენიც, სანიკიძეც, ცინცაძეც, მარკოიშვილიცა და ფაჩულიაც, ხოლო შეტევით მეტოქის გატეხვა ზაზამ და მანუმ ითავეს. მარკოიშვილმა გადამწყვეტ მომენტში ოთხივე ჯარიმა გამოიყენა, ხოლო ფაჩულიამ 6 ქულა ჩააგდო. საოცარი სანახავი იყო სირენამდე 8 წამით ადრე კაპიტნის მიერ შესრულებული ეფექტური ზემოდან გდება, რომლის შემდეგაც საქართველოს ნაკრები 73:70 დაწინაურდა, ეს უკვე იმას ნიშნავდა, რომ ლატვია „სასიკვდილოდ“ იყო განწირული. სწორედ ამაზე მიგვანიშნა ზაზამ საკუთარი ჟესტით.

### ნამატჩევს

**იგორ კოკოშკოვი:**

- ვიცოდით, რომ ლატვია კარგად განვრთნილი გუნდია. პირველი მეოთხედი არადამაჯერებლად ჩავატარეთ: მეტოქემ მოხსნებში გვაჯობა, გაგვიჭირდა საჯარიმო ტყორცნების რეალიზებაც. მოგვიანებით თამაში გავაუმჯობესეთ და წარმატებასაც მივაღწიეთ. ლატვიას მსოფლიოში ცნობილი საკალათბურთო სკოლა აქვს. კალათბურთი ასევე ერთ-ერთი პირველი სახეობაა საქართველოში. დიდი მადლობა ხალხს და ფედერაციას რომლებიც ძალიან დაგვეხმარნენ მიზნების მიღწევაში.

**მანუჩარ მარკოიშვილი:**

- აქამდე ჯგუფში ორი თამაში ჩავატარეთ არადამაჯერებლად და მოხარულები ვართ, რომ ამჯერად ყველაფერი კარგად გამოგვივიდა. ლატვია ახალგაზრდა გუნდია და წარმატებებს ვუსურვებ.

**აინარს ბაგაცკისი:**

- მეორე პერიოდში ბევრი შეცდომა დავუშვით - ვერ შევაჩერეთ პულენი და ფაჩულია. დაცვაში ცუდად გავისარჯეთ. მეტოქემ 33 საჯარიმო ისროლა, რაც ძალიან ბევრია. ეს არ უნდა დაგვეშვა.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ქართული უკანა ხაზი მყარად იდგა

### ლატვია-საქართველო

| | | | |
|---|---|---|---|
| 09:47 | მეიერსი 2ქ | 47 - 48 | |
| 09:20 | | 47 - 50 | პულენი 1+1 (3/2) |
| 09:05 | ბერტანსი 3ქ | 50 - 50 | |
| 08:42 | | 50 - 53 | პულენი 2+1ქ |
| 08:29 | მეიერსი 2ქ | 52 - 53 | |
| 07:16 | კუკსიკსი 3ქ | 55 - 53 | |
| 06:59 | | 55 - 56 | სანიკიძე 3ქ |
| 06:38 | | 55 - 58 | პულენი 2ქ |
| 05:31 | | 55 - 60 | ცინცაძე 2ქ |
| 05:07 | | 55 - 62 | ცინცაძე 2ქ |
| 04:19 | ბერტანსი 3ქ | 58 - 62 | |
| 03:38 | მეიერსი 1ქ (2/1) | 59 - 62 | |
| 03:21 | | 59 - 64 | ფაჩულია 2ქ |
| 02:39 | | 59 - 66 | ფაჩულია 2ქ |
| 02:24 | ბერზინსი 3ქ | 62 - 66 | |
| 02:06 | | 62 - 68 | მარკოიშვილი 1+1ქ |
| 01:59 | ბერზინსი 1ქ (2/1) | 63 - 68 | |
| 01:32 | | 63 - 70 | მარკოიშვილი 1+1ქ |
| 01:26 | შტრელნიეკსი 2ქ | 65 - 70 | |
| 00:45 | შტრელნიეკსი 2ქ | 67 - 70 | |
| 00:45 | წუთშესვენება | | |
| 00:29 | კუკსიკსი მოხსნა | | ცინცაძე 2ქ (არაზუსტი) |
| 00:24 | ჟერომანოვსი 1ქ (2/1) | 68 - 70 | |
| 00:21 | | 68 - 71 | სანიკიძე 1ქ (2/1) |
| 00:11 | შტრელნიეკსი 1+1 | 70 - 71 | |
| 00:08 | | 70 - 73 | ფაჩულია 2ქ |
| 00:08 | წუთშესვენება | | |
| 00:04 | შტრელნიეკსი 3ქ (არაზუსტი) | | |
| 00:02 | კუკსიკსი 3ქ (არაზუსტი) | | |

## ქართული სპორტი

● თავისუფალი ჭიდაობა. მსოფლიოს ახალგაზრდული პირველობა

# 4 თავისუფალი მედალი



ლაშა ტალახაძე



კონსტანტინე ხაბალაშვილი

ტაილანდში, ქალაქ პატაიაში დასრულდა მსოფლიოს ჩემპიონატი თავისუფალი სტილით მოჭიდავე ახალგაზრდათა შორის, რომელშიც საქართველოს ნაკრებმა 2-2 ვერცხლი და ბრინჯაო მოიპოვა. პლანეტის ვიცე-ჩემპიონები **ლაშა ტალახაძე** (55) და **კონსტანტინე ხაბალაშვილი** (66) გახდნენ, ბრინჯაოს მედლები კი **ჯუმბერ ყველაშვილმა** (74) და **გენო პეტრიაშვილმა** (120) მოიპოვეს. საინტერესოა, რომ ამ კვარტეტიდან ტალახაძის გარდა, ყველა გორის საჭიდაო სკოლის აღზრდილია და ახალგაზრდულის თავკაც **ნუგზარ სხირელის** პირადი მოსწავლეა, ტალახაძე კი ხაშურელია და მას **გია კვინიკაძე** ავარჯიშებს.

შეგახსენებთ, რომ წინა კვირას ამავე ტურნირში ჩვენმა ბერძენ-რომაელებმაც თითქმის ასეთივე შედეგით დაასრულეს გამოსვლა - მათი მონაგარი 2 ვერცხლი და 1 ბრინჯაო იყო. იმათგან მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონები **თორნიკე ძამაშვილი** (74) და **შოთა გოგისვანიძე** (120) გახდნენ, **იაკობ ქაჯაია** (96) კი მესამეზე გავიდა.

**ირაკლი თავაძე**

● ჭადრაკი

# მცირე ვერცხლი და ბრინჯაო

სტამბოლში დამთავრდა მე-40 მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა, რომელშიც 127 ქალთა და 157 ვაჟთა ნაკრები მონაწილეობდა.

გუშინ ბოლო მე-11 ტურის პარტიები გაიმართა. საქართველოს მანდილოსანთა ნაკრებმა ესპანელთა გუნდს 2,5:1,5 მოუგო: ანა მათნაძე - **ნანა ძაგნიძე** 0:1 (მათნაძემ წლის დასაწყისში ფედერაცია შეიცვალა და ოლიმპიადაზე პირენეელთა სპორტულ ღირსებას იცავდა), **ბელა ხოტენაშვილი** - ოლგა ალექსანდროვა 0:1, საბრინა ვეგა გუტიერესი - **ნინო ხურციძე** 0,5:0,5, **ნინო ბაციაშვილი** - იუდანია ჰერნანდესი 1:0. ამ გამარჯვების შემდეგ საქართველოს ნაკრებმა 22 შესაძლებლიდან 15 ქულასღა მოუყარა თავი და მე-8 ადგილზე გავიდა. გუნდის წევრთა მონაგარი კი ასეთია: ძაგნიძემ 8 პარტიიდან 6 ქულა მოაგროვა, პირველ დაფაზე ჰოუ იფანის შემდეგ მე-2 ადგილი დაიკავა და მცირე ვერცხლის მედალი ერგო, თან რეიტინგი 8 პუნქტით გაიმდიდრა, დანარჩენებმა კი ეს მაჩვენებელი გაიუარესეს: ბელა ხოტენაშვილი - 6,5 ქულა (10-დან), რეიტინგი: - 4,9, ლელა ჯავახიშვილი - 5 (9), - 14,1, ნინო ხურციძე - 5 (9), - 14,1, ნინო ბაციაშვილი - 6 (8), - 3,8.

რაც შეეხებათ ლიდერებს, რუსებმა ყაზახები გაანადგურეს - 4:0, ჩინელებმა კი ბულგარელებს სძლიეს 2,5:1,5. ორივე გუნდს თანაბარი ქულები (19-19) მოუგროვდა. დამატებითი მაჩვენებლებით ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობლებმა (ტატიანა კოსინცევა, ვალენტინა გუნინა, ნადეჟდა კოსინცევა, ალექსანდრა კოსტენიუკი, ნატალია პოგონინა) ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნეს. ჩინელებს მე-2 ადგილი ერგოთ. 18 ქულით მესამე ადგილზე უკრაინელები გავიდნენ, რომლებმაც ბოლო ტურში გერმანელებს მოუგეს 3,5:0.5.

ოლიმპიადაზე მედლები დაფების მიხედვითაც განაწილდა: **I დაფა:** 1. ჰოუ იფანი (ჩინეთი), 2. ნანა ძაგნიძე (საქართველო), 3. კატერინა ლაგნო (უკრაინა). **II დაფა.** 1. ჟაო სიუ (ჩინეთი), 2. მარია მუზიჩუკი (უკრაინა), 3. ბეთულ ილდიზი (თურქეთი)... 5. ბელა ხოტენაშვილი. **III დაფა.** 1. ნადეჟდა კოსინცევა (რუსეთი), 2. იოლანტა ზავადსკა (პოლონეთი), 3. ტანია საჩდევი (ინდოეთი)... 12. ლელა ჯავახიშვილი. **IV დაფა.** 1. ჰუან ქიანი (ჩინეთი), 2. სილვია კოლასი (საფრანგეთი), 3. ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი)... 13. ნინო ხურციძე. **სათადარიგოები.** 1. ნატალია პოგონინა (რუსეთი), 2. მელისა გომეს კასტრილონი (კოლუმბია), 3. მადინა დავლეტბაიევა (ყაზახეთი). 4. ნინო ბაციაშვილი.

ვაჟთა ტურნირი 22 შესაძლებლიდან, ასევე, 19-19 ქულით დაასრულეს სომხებმა და რუსებმა. დამატებითი მაჩვენებლებით პირველ ადგილზე სომხები (ლევონ არონიანი, სერგეი მოვსესიანი, ვლადიმირ აკოფიანი, გაბრიელ სარგისიანი, ტიგრან პეტროსიანი) გავიდნენ, ვერცხლი რუსებს ხვდათ. 18 ქულით მესამე ადგილი აქაც უკრაინელებმა დაიკავეს. საქართველოს ნაკრები გუშინ დანიელებთან 1:3 დამარცხდა (**მიხეილ მჭედლიშვილი** - ბერგ ჰანსენი 0,5:0,5, ლარს შანდორფი - **მერაბ გაგუნაშვილი** 1:0, თორნიკე სანიკიძე - ალან სთიგ რასმუსენი 0:1, ჯეიკობ ვანგ გლადი - **კონსტანტინე შანავა** 0,5:0,5) და 13 ქულით 36-ე ადგილზე გავიდა. ნაკრების დებიუტანტმა შანავამ, რომელსაც ბადურ ჯობავას ნაცვლად უხმეს გუნდში, სათადარიგოებს შორის რვა შესაძლებლიდან 6 ქულით ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. თან საკუთარ რეიტინგს 12,2 პუნქტი შესძინა. სხვა ჩვენებურთა მონაგარი ასეთია: მიხეილ მჭედლიშვილი - 5,5 (10), - 0,8, მერაბ გაგუნაშვილი - 6,5 (11), +6,3, თორნიკე სანიკიძე - 4 (7), -5,9, ლევან ფანცულაია - 4,5 (8), +2,6.

მედლები დაფების მიხედვით: **I დაფა.** 1. ლევონ არონიანი (სომხეთი), 2. რადოსლავ ვოიტაშეკი (პოლონეთი), 3. თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი). **II დაფა.** 1. დავიდ ნავარა (ჩეხეთი), 2. ანტონ ფილიპოვი (უზბეკეთი), 3. გატა კამსკი (აშშ)... 19. მერაბ გაგუნაშვილი (საქართველო). **III დაფა.** 1. შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი), 2. ვლადიმირ აკოფიანი (სომხეთი), 3. სერგეი კარიაკინი (რუსეთი). თორნიკე სანიკიძე საუკეთესო ოცეულში ვერ მოხვდა. **IV დაფა.** 1. ვლადისლავ ტკაჩიევი (საფრანგეთი), 2. აბჰით გუფთა (ინდოეთი), 3. დანიელ ფრიდმანი (გერმანია)... 17. ლევან ფანცულაია (საქართველო). **სათადარიგოები.** 1. დმიტრი იაკოვენკო (რუსეთი), 2. ბართლომეი მაჩეია (პოლონეთი), 3. კონსტანტინე შანავა (საქართველო).

ქალ-ვაჟთა გუნდების საერთო მონაგრით ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონის **ნონა გაფრინდაშვილის** თასი რუსეთის გუნდს (38 ქულა) გადაეცა. 36-36 ქულით მეორე-მესამე ადგილებზე ჩინელები და უკრაინელები გავიდნენ.

**ვაჟა დანელია**



ნანა ძაგნიძე



კონსტანტინე შანავა

● სუმო. სექტემბრის ბაშო. 9-23 სექტემბერი

# დიდ ჩემპიონთან მე-13 ცდაზეც ვერას გახდა



ტოჩინოშინი-ჰაკუჰო

შემოდგომის ბაშო უიღბლოდ დაიწყო სამი ქართველი სუმოისტისთვის - ყველამ წააგო ტოკიოს დარბაზ „კოკუგიკანში“. 23 წლის **ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)**, რომელსაც კომუსუბის ტიტულის დაცვა უწევს, დიდ ჩემპიონ **ჰაკუჰოს** შეხვდა. ჩვენებური კარიერაში მეოთხედ გახდა კომუსუბი, თუმცა ეს ტიტული ჯერ ვერც ერთხელ ვერ შეინარჩუნა. მონღოლ იოკოძუნას ტოჩინოშინი მე-13-ედ ხვდებოდა და ერთი მოგებაც არ ჰქონდა. ლევანმა ხერხს მიმართა, დაჯახებისას მარჯვნივ გაიწია, თუმცა ვერ შეძლო ხელში მეტოქის მავაშის მოგდება, რაც არ გასჭირვებია ჰაკუჰოს და დიდმა ჩემპიონმა იოლი გამარჯვება მიითვალა.

24 წლის **თეიმურაზ ჯუღელი (გაგამარუ)**, რომელიც უკვე 212 კილოგრამს იწონის, ჩემპიონ **კაკურიუსთან** დამარცხდა. მონღოლმა ქართველი მოხერხებული ილეთით დააგდო დოჰიოზე. ძურიოს დივიზიონში წააგო **ლევან ცაგურიამ (კოკაი)**, რომელიც უარყოფითი ბალანსის შემთხვევაში, ამ დივიზიონიდანაც გავარდება.

### I დღე

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-**ტოჩინოშინი** (იორიკირი), ჰარუმაფუჯი-აოიამა (იორიკირი), კისენოსატო-მიოგირიუ (იორიკირი), კოტოშოგიკუ-შოჰოზანი (ოშიდაში), კაისეი-ბარუტო (იორიკირი), კოტოოშუ-არანი (იორიკირი), კაკურიუ-**გაგამარუ** (უვატედაშინაგე), ჰომაშო-გოეიდო (იორიკირი), ტოიონოშიმა-ამინიშიკი (ოშიდაში), ტოჩიოძანი-ტოიოჰიბიკი (ჰატაკიკომი). **ძურიო:** კაიტენკაი-**კოკაი** (ოკურიდაში).

### II დღე

(მნიშვნელოვანი წყვილები): ჰაკუჰო-შოჰოზანი, კისენოსატო-კაისეი, **ტოჩინოშინი**-კოტოშოგიკუ, ბარუტო-აოიამა, **გაგამარუ**-კოტოოშუ, კაკურიუ-გოეიდო, ჰარუმაფუჯი-არანი, მიოგირიუ-ჰომაშო, ტოიონოშიმა-ტოიოჰიბიკი, ამინიშიკი-ტოჩიოძანი. **ძურიო:** **კოკაი**-ტანზო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# უცხოური სპორტი

## კალათბურთი. ევრობასკეტი 2013

### A ჯგუფი

**ისლანდია-ჩერნოგორია** 92:101

23:19, 38:20, 15:30, 16:32

ი: სტეფანსონი (32), ბაერინგსონი (22+9 მოხსნა+4 ჩაჭრა), სიგურდსონი (10).

ჩ: დაშიჩი (38+14 მოხსნა), როჩესტი (31), სუად შეჰოვიჩი (11).

**ესტონეთი-სერბეთი** 88:81

16:22, 25:21, 22:20, 25:18

ე: კანგური (19), არბერტი (17), ვენე (15+10 მოხსნა), პალიკი (14).

ს: კრსტიჩი (20+9 მოხსნა), ტეპიჩი (16), ტეოდოშიჩი (16), ნ. ბიელიცა (11).

**ისრაელი-სლოვაკეთი** 106:73

23:19, 26:23, 32:8, 25:23

ი: ელიაჰუ (18+12 პასი+10 მოხსნა), კასპი (18), ტაიუსი (16+11 მოხსნა), ჰალპერინი (14), პნინი (13), კადირი (12).

ს: ვოიტეკი (17), პანდულა (14), ბილიკი (11).

| | თ | მ | წ | ქ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩერნოგორია | 9 | 9 | 0 | 734-649 | 18 |
| 2. ისრაელი | 9 | 6 | 3 | 794-668 | 15 |
| 3. სერბეთი | 9 | 5 | 4 | 763-654 | 14 |
| 4. ესტონეთი | 9 | 5 | 4 | 688-703 | 14 |
| 5. ისლანდია | 9 | 1 | 8 | 685-840 | 10 |
| 6. სლოვაკეთი | 9 | 1 | 8 | 656-806 | 10 |

**შემდეგი ტური:** 11 სექტემბერი. სერბეთი-ისრაელი, ესტონეთი-ისლანდია, ჩერნოგორია-სლოვაკეთი.

### B ჯგუფი

**შვედეთი-გერმანია** 86:91

26:21, 17:21, 24:22, 19:27

შ: ჟერებკო (32+10 მოხსნა+6 პასი), გრანტი (21), მარაკერი (14+5 მოხსნა).

გ: შაფარციკი (21), ბენცინგი (19+5 მოხსნა), პლიაისი (16+7 მოხსნა), იაგლა (16).

**ბულგარეთი-ლუქსემბურგი** 120:95

30:21, 26:31, 23:12, 41:31

ბ: კოსტოვი (33+5 მოხსნა), ლილოვი (16), მარინოვი (14), დურჩევი (13), ვარბანოვი (11+8 მოხსნა), ვიდენოვი (10+8 პასი+6 მოხსნა).

ლ: ჯონსი (21), პიკარი (21+6 მოხსნა), ბირენბაუმი (13+6 პასი), კოსტერი (13+6 პასი).

| | თ | მ | წ | ქ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 7 | 7 | 0 | 614-479 | 14 |
| 2. ბულგარეთი | 8 | 4 | 4 | 669-647 | 12 |
| 3. აზერბაიჯანი | 7 | 4 | 3 | 590-579 | 11 |
| 4. შვედეთი | 7 | 3 | 4 | 593-556 | 10 |
| 5. ლუქსემბურგი | 7 | 0 | 7 | 512-717 | 7 |

**შემდეგი ტური:** 11 სექტემბერი. გერმანია-აზერბაიჯანი, ლუქსემბურგი-შვედეთი.

### C ჯგუფი

**უკრაინა-კვიპროსი** 69:51

18:13, 10:14, 13:10, 28:14

უ: ბერტი (13), კორნიენკი (12), გლადირი (11), დროზდოვი (10+6 მოხსნა), ნატიაჟკო (6+13 მოხსნა).

კ: ტრისოკასი (15+10 მოხსნა), კინგი (14+6 მოხსნა).

**უნგრეთი-ხორვატია** 79:81

12:16, 20:18, 21:16, 26:31

უ: ლორანტი (24+8 მოხსნა), ჰანგა (10+7 მოხსნა+7 პასი), მ. საბო (10+6 მოხსნა), ვოივოდა (10).

ხ: ბოგდანოვიჩი (17), სარიჩი (12+9 მოხსნა), მარკოტა (10), სტიპჩევიჩი (10).

| | თ | მ | წ | ქ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ხორვატია | 7 | 7 | 0 | 607-465 | 14 |
| 2. უკრაინა | 8 | 6 | 2 | 580-523 | 14 |
| 3. ავსტრია | 7 | 3 | 4 | 527-511 | 10 |
| 4. უნგრეთი | 7 | 2 | 5 | 530-561 | 9 |
| 5. კვიპროსი | 7 | 0 | 7 | 387-571 | 7 |

**შემდეგი ტური:** 11 სექტემბერი. ხორვატია-ავსტრია, კვიპროსი-უნგრეთი.

### E ჯგუფი

**პოლონეთი-ალბანეთი** 89:59

18:19, 24:15, 20:8, 27:17

პ: გორტატი (18+10 მოხსნა), ზამოისკი (13), იგნერსკი (11).

ა: ნდოია (18+7 მოხსნა), შიმა (16+11 მოხსნა), ჰისენაგოლი (13+8 მოხსნა).

**ბელგია-ფინეთი** 71:68

19:28, 25:10, 15:8, 12:22

ბ: მუკუბუ (20), მოორსი (10).

ფ: კოპონენი (22), კოტი (11), სალინი (11).

| | თ | მ | წ | ქ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. პოლონეთი | 8 | 6 | 2 | 704-568 | 14 |
| 2. ფინეთი | 7 | 5 | 2 | 633-495 | 12 |
| 3. ბელგია | 7 | 4 | 3 | 536-499 | 11 |
| 4. შვეიცარია | 7 | 3 | 4 | 493-586 | 10 |
| 5. ალბანეთი | 7 | 0 | 7 | 449-667 | 7 |

**შემდეგი ტური:** 11 სექტემბერი. ფინეთი-შვეიცარია, ალბანეთი-ბელგია.

### F ჯგუფი

**იტალია-ბელარუსი** 83:58

23:15, 25:17, 16:12, 19:14

ი: გალინარი (16+12 მოხსნა+4 ჩაჭრა), არადორი (12), მანჩინელი (10).

ბ: კუდრიავცევი (12).

**პორტუგალია-თურქეთი** 69:79

21:17, 10:18, 21:12, 17:32

პ: ფონსეკა (20+8 მოხსნა), ფერნანდეში (17+6 პასი), გომეში (11+8 მოხსნა), სანტოსი (11).

თ: კარამანი (21+11 მოხსნა), არსლანი (19), გიონლუმი (11+6 მოხსნა).

| | თ | მ | წ | ქ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. იტალია | 8 | 8 | 0 | 638-496 | 16 |
| 2. ჩეხეთი | 7 | 5 | 2 | 507-470 | 12 |
| 3. თურქეთი | 7 | 4 | 3 | 536-510 | 11 |
| 4. ბელარუსი | 7 | 1 | 6 | 476-562 | 8 |
| 5. პორტუგალია | 7 | 0 | 7 | 459-578 | 7 |

**შემდეგი ტური:** 11 სექტემბერი. ბელარუსი-პორტუგალია, თურქეთი-ჩეხეთი.

## მძლეოსნობა

# ლენსს მარათონიც აუკრძალეს

ჩიკაგოს მარათონის ხელმძღვანელობამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ გარბენში მონაწილეობის უფლებას არ მისცემს ლეგენდარულ **ლენს არმსტრონგს**, რომელსაც ცნობილი დოპინგ-სკანდალის გამო ტურ დე ფრანსის შვიდი ტიტული ჩამოართვეს.

მარათონის დირექტორმა **კერი პინკოვსკიმ** განაცხადა, რომ აშშ-ის ანტისადოპინგო სააგენტომ ყველა სპორტულ ღონისძიებაზე გაავრცელა დისკვალიფიკაცია და ბუნებრივია, ეს ჩიკაგოს მარათონსაც ეხება.

შეგახსენებთ, რომ ადრე არმსტრონგი მონაწილეობდა ნიუ იორკის (2006, 2007) და ბოსტონის (2008) მარათონებში.

ამასობაში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრმა, სპორტული სამართლის ექსპერტმა **დენის ოსვალდმა** განაცხადა, რომ ჯერჯერობით გაუგებარია, უნდა შეუნარჩუნონ თუ არა არმსტრონგს სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე მოპოვებული ბრინჯაოს მედალი.

შვეიცარიელი იურისტის თქმით, ანტისადოპინგო კოდექსი მსგავს საკითხებში სხვადასხვა ვარიანტს უშვებს.

*„სამართლის თვალსაზრისით ეს ძალიან საინტერესო საქმეა. როგორც ჩანს, კოდექსის თანახმად ჩვენ არ შეგვიძლია არმსტრონგისთვის მედლის ჩამორთმევა. კოდექსი 2003 წელს არის მიღებული და გაუგებარია, ვრცელდება თუ არა ის უფრო ადრეულ მოვლენებზე“*, - ამბობს ოსვალდი.



ლენს არმსტრონგი

## ფორმულა 1. იტალიის გრანპრი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუის ჰემილტონი

# ჰემილტონის მეოცე

**მსოფლიოს ჩემპიონატში „მაკლარენის“ დომინირების დრო დადგა - ბრიტანულმა საჯინიბომ ბოლო ოთხ რბოლაში მესამედ მოიგო - ამჯერად, პირველი ფინიშთან ლუის ჰემილტონი მივიდა, მაგრამ გენერალურ კლასიფიკაციაში ფერნანდო ალონსოს პოზიციებს არაფერი დაჰკლებია, პირიქით, ესპანელის უპირატესობა გაიზარდა...**

### რბოლის წინ

პოული **ლუის ჰემილტონმა** მოიპოვა, მის გვერდით კი თანაგუნდელი **ჯენსონ ბატონი** იდგა. მეორე რიგიდან აიღეს სტარტი **ფელიპე მასამ** და **მიხაელ შუმახერმა**. ბრაზილიელმა სეზონში პირველად გაუსწრო კვალიფიკაციაში თანაგუნდელ **ფერნანდო ალონსოს**. ამ უკანასკნელს შაბათს არ გაუმართლა - პირველ და მეორე სეგმენტებში დომინირების შემდეგ, ესპანელს ტექნიკური პრობლემები შეექმნა და მხოლოდ მეათე ადგილი დაიკავა.

მონცას ტრასა გასწრების საშუალებას იძლევა, მაგრამ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ოთხჯერ გამარჯვება პოულის მფლობელმა მოიპოვა. ერთადერთი გამონაკლისი იყო 2009 წელი, სადაც ასევე ჰემილტონი იდგა პირველ პოზიციაზე, მაგრამ პირველმა ფინიშის ხაზი **რუბენს ბარიკელომ** გადაკვეთა.

### რბოლა

ამჯერად, ლუისმა შეინარჩუნა სასტარტო პოზიცია, მასამ კი ბატონს გაუსწრო. ჰემილტონი თავიდანვე დაშორდა ბრაზილიელს ორი-სამი წამით, თავის მხრივ, ფელიპემ ამდენივეთი ჩამოიტოვა ჯენსონის.

მეოთხე წრეზე მეოთხე ადგილისთვის ბრძოლაში **სებასტიან ფეტელმა** შუმახერს გაუსწრო, რის შემდეგაც, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონს ალონსო ავიწროებდა. ამ უკანასკნელმა, თავის მხრივ, მეექვსე ადგილი წაართვა **კიმი რაიკონენს**. ესპანელმა ორი წრე იკმარა იმისთვის, რომ შუმახერი უკან ჩამოეტოვებინა.

მე-19 წრეზე ჰემილტონის უპირატესობა მასაზე ექვს წამამდე გაიზარდა. ბრაზილიელი შესამჩნევად კარგავდა ტემპს, რითაც ბატონმა მასთან მიახლოება და გასწრება შეძლო. ამ წრის ბოლოს მასამ ბოქსებს მიაკითხა. სინქრონულად გაემართნენ საბურავების შესაცვლელად ფეტელი და ალონსო, 22-ე წრეზე იგივე გააკეთა ბატონმა და ტრასაზე ერთწამიანი უპირატესობით დაბრუნდა იმ მჭიდრო ჯგუფზე, რომელშიც მასა, ფეტელი და ალონსო იყვნენ. ერთი წრით გვიან, ახალი საბურავები მიიღო ჰემილტონმა. ლიდერობა დროებით **სერხიო პერესის** ხელში გადავიდა, რომელმაც ხისტი საბურავით აიღო სტარტი და ყველაზე გვიან შევიდა ბოქსებში. ის მერვე პოზიციაზე დაბრუნდა ტრასაზე.

ძალიან საინტერესო ბრძოლა გამართეს მეხუთე ადგილისთვის ფეტელმა და ალონსომ. ესპანელი გამუდმებით უტევდა და ერთხელ, გერმანელმა სახიფათო მანევრით ტრასიდან გადააგდო ჩემპიონატის ლიდერი. სტიუარდებმა ფეტელის საქციელში წესის დარღვევა დაინახეს და სება პიტ-ლეინზე საჯარიმო შესვლით დაისაჯა. მანამდე კი ბატონის მანქანა უიმედოდ გაჩერდა და მასა მეორე პოზიციაზე გადავიდა. ფეტელი კი ჯარიმის შემდეგ მეცხრე პოზიციაზე დაბრუნდა ტრასაზე - მის წინ თანაგუნდელი **მარკ უებერი** იყო.

ფინიშამდე 17 წრით ადრე პერესმა, რომელმაც რბილი საბურავების უპირატესობა მიიღო, მეხუთე ადგილისთვის ბრძოლაში რაიკონენს გაუსწრო. მექსიკელმა კიდევ ერთი საფეხურით წაიწია წინ, როცა 37-ე წრეზე მეორე პიტ-სტოპზე შეუხვია შუმახერმა.

სერხიომ წინ „სუფთა“ ტრასა მიიღო და სწრაფი წრეების დაფიქსირება დაიწყო - პერესი ყოველ წრეზე წამს უგებდა ორივე „ფერარის“. ამასობაში, ალონსომ და მასამ ადგილები გაცვალეს.

43-ე წრეზე, პერესმა სწორ მონაკვეთზე იოლად აუარა გვერდი მასას და ალონსოს გამოეკიდა. იმ მომენტისთვის ფერნანდო ორი წამით იყო წინ, მაგრამ მექსიკელს მხოლოდ წრე დასჭირდა იმისთვის, რომ დაწეოდა ალონსოს და მოსახვევში უკან ჩამოეტოვებინა ის.

ამასობაში, ტრასის მიღმა გააჩერა ბოლიდი ფეტელმა - გერმანელის ბოლიდზე ძრავა გამოვიდა მწყობრიდან. ფინიშამდე სამი წრით ადრე, მანქანა მოუსრიალდა „რედ ბულის“ მეორე პილოტს უებერს. ავსტრალიელმა ტემპი დაკარგა და რბოლის დასრულება უაზრობად ჩათვალა, რის გამოც ბოქსებში შეუხვია. პირველად 2010 წლის შემდეგ, „რედ ბულმა“ ვერ შეძლო რბოლაში თუნდაც ერთი ქულის მოპოვება.

წინ მოულოდნელობა არ მოხდა. მართალია, პერესის ტემპი ჰემილტონისაზე მაღალი იყო, მაგრამ ბრიტანელს საკმარისი ჰანდიკაპი ჰქონდა იმისთვის, რომ ფინიშამდე შეენარჩუნებინა პირველი ადგილი. ბრიტანელმა მონცაზე პირველად მოიგო რბოლა, ამ სეზონში მესამე გამარჯვებას მიაღწია, კარიერაში კი მის ანგარიშზე 20 მოგებული ეტაპია.

სერხიო პერესი ამ სეზონში მესამედ ავიდა პოდიუმზე, მესამე ადგილზე კი ფერნანდო ალონსო გავიდა - ესპანელი მექსიკელს 16 წამით ჩამორჩა. შემდეგ მოდიან მასა და რაიკონენი.

ორი პიტ-სტოპის ტაქტიკით მოასპარეზე შუმახერმა და როსბერგმა ფინიშთან ახლოს რამდენიმე შთამბეჭდავი გასწრება შემოგვთავაზეს და მეექვსე და მეშვიდე ადგილები დაიკავეს. ქულათა ზონაში შევიდნენ **დი რესტა, კობაიაში** და **სენა**.

საერთო ჩათვლაში ალონსოს უპირატესობა 37 ქულამდე გაიზარდა. მისი ახალი მდევარი ჰემილტონია, ბრიტანელის უკან კი მჭიდრო ჯგუფად მოდიან რაიკონენი, ფეტელი და უებერი. კონსტრუქტორთა თასზე კი დაიძაბა ბრძოლა „რედ ბულსა“ და „მაკლარენს“ შორის - სხვაობა 29 ქულამდე დავიდა, „ფერარიმ“ კი მესამე ადგილისთვის ბრძოლაში „ლოტუსს“ გაუსწრო.

დასრულდა ჩემპიონატის ევროპული ნაწილი. შემდეგი რბოლა ორი კვირის შემდეგ, სინგაპურში გაიმართება. ტრადიციულად, ეს იქნება ღამის რბოლა „მარინა ბეის“ ტრასაზე.

### იტალიის გრან-პრი. XIII ეტაპი

#### მონცა (53 წრე, 306.720 კმ)

| | |
|---|---|
| 1(1). ლუის ჰემილტონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | 1:19.41,221 (1 პიტსტოპი) |
| 2(13). სერხიო პერესი (ზაუბერი, მექსიკა) | +4,356 (1) |
| 3(10). ფერნანდო ალონსო (ფერარი, იტალია) | +20,594 (1) |
| 4(3). ფელიპე მასა (ფერარი, ბრაზილია) | +29,667 (1) |
| 5(8). კიმი რაიკონენი (ლოტუსი, ფინეთი) | +30,881 (1) |
| 6(5). მიხაელ შუმახერი (მერსედესი, გერმანია) | +31,259 (2) |
| 7(7). ნიკო როსბერგი (მერსედესი, გერმანია) | +33,550 (2) |
| 8(4). პოლ დი რესტა (ფორს ინდია, ბრიტანეთი) | +41,057 (1) |
| 9(9). კამუი კობაიაში (ზაუბერი, იაპონია) | +43,898 (1) |
| 10(14). ბრუნო სენა (უილიამსი, ბრაზილია) | +48,144 (1) |
| 11(12). პასტორ მალდონადო (უილიამსი, ვენესუელა) | +48,682 (2) |
| 12(15). დანიელ რიკარდო (ტორო როსო, ავსტრა) | +50,316 (1) |
| 13(16). ჟერომ დ'ამბროზიო (ლოტუსი, საფრანგეთი) | +1.15,861 (1) |
| 14(18). ჰეიკი კოვალაინენი (კატერჰემი, ფინეთი) | 1 წრე (2) |
| 15(19). ვიტალი პეტროვი (კატერჰემი, რუსეთი) | 1 წრე (2) |
| 16(21). შარლ პიკი (მარუსია, საფრანგეთი) | 1 წრე (2) |
| 17(20). ტიმო გლოკი (მარუსია, გერმანია) | 1 წრე (2) |
| 18(23). პედრო დე ლა როსა (HRT, ესპანეთი) | 1 წრე (1) |
| 19(22). ნარაიან კართიკეიანი (HRT, ინდოეთი) | 1 წრე (1) |
| 20(11). მარკ უებერი (რედ ბული, ავსტრალია) | 2 წრე (2) |
| 21(24). ნიკო ჰიულკენბერგი (ფორს ინდია, გერმანია) | 3 წრე (2) |
| 22(6). სებასტიან ფეტელი (რედ ბული, გერმანია) | 6 წრე (2) |
| 23(2). ჯენსონ ბატონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | 21 წრე |
| 24(17). ჟან-ერიკ ვერნი (ტორო როსო, საფრანგეთი) | 45 წრე |

### საერთო ჩათვლა

1. **ფერნანდო ალონსო** (ფერარი, იტალია) - 179 (3 მოგება); 2. **ლუის ჰემილტონი** (მაკლარენი, ბრიტანეთი) - 142 (3); 3. **კიმი რაიკონენი** (ლოტუსი, ფინეთი) - 141; 4. **სებასტიან ფეტელი** (რედ ბული, გერმანია) - 140 (1); 5. **მარკ უებერი** (რედ ბული, ავსტრალია) - 132 (2); 6. **ჯენსონ ბატონი** (მაკლარენი, ბრიტანეთი) - 101 (2); 7. **ნიკო როსბერგი** (მერსედესი, გერმანია) - 83 (1); 8. **რომენ გროსჟანი** (ლოტუსი, საფრანგეთი) - 76; 9. **სერხიო პერესი** (ზაუბერი, მექსიკა) - 65; 10. **ფელიპე მასა** (ფერარი, ბრაზილია) - 47; 11. **მიხაელ შუმახერი** (მერსედესი, გერმანია) - 43; 12. **კამუი კობაიაში** (ზაუბერი, იაპონია) - 35; 13. **პოლ დი რესტა** (ფორს ინდია, ბრიტანეთი) - 32; 14. **ნიკო ჰიულკენბერგი** (ფორს ინდია, გერმანია) - 31; 15. **პასტორ მალდონადო** (უილიამსი, ვენესუელა) - 29 (1); 16. **ბრუნო სენა** (უილიამსი, ბრაზილია) - 25; 17. **ჟან-ერიკ ვერნი** (ტორო როსო, საფრანგეთი) - 8; 18. **დანიელ რიკარდო** (ტორო როსო, ავსტრა) - 4.

### კონსტრუქტორთა თასი

1. **რედ ბული** - 272; 2. **მაკლარენი** - 243; 3. **ფერარი** - 226; 4. **ლოტუსი** - 217; 5. **მერსედესი** - 126; 6. **ზაუბერი** - 100; 7. **ფორს ინდია** - 63; 8. **უილიამსი** - 54; 9. **ტორო როსო** - 12.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

კრივი. სატიტულო ბრძოლა

# კლიჩკოს სისხლიანი გამარჯვება

**ვიტალი კლიჩკომ დამაჯერებლად შეინარჩუნა სუპერმძიმე წონაში WBC-ის ტიტული, როცა ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა გერმანელი მანუელ ჩარი. მოსკოვურმა პუბლიკამ მხოლოდ ოთხი რაუნდი იხილა, რადგან უკრაინელმა პრეტენდენტს წარბი გაუხეთქა და ექიმებმა ჭრილობა ჩარის ჯანმრთელობისთვის სახიფათოდ მიიჩნიეს...**

პირველი რაუნდი **ვიტალი კლიჩკოს** ბრძოლებისთვის დამახასიათებელი სცენარით მიდიოდა. უკრაინელი ერთგვარ დაზვერვას აწარმოებდა, ამასთან, შედარებით სუსტ, მაგრამ ზუსტ დარტყმებს ახორციელებდა. რაუნდის ბოლოს, პრეტენდენტი აქტიურად წავიდა მოწინააღმდეგეზე, მაგრამ რამდენიმე შემხვედრი დარტყმა გაატარა. ჩარს ისღა რჩებოდა, რომ გონგის შემდეგ დარტყმით აელო რევანში.

შემდეგი რაუნდიც ანალოგიურად ვითარდებოდა, ოღონდ ერთი განსხვავებით - მანუელი ნოკდაუნში აღმოჩნდა. რამდენიმე დარტყმის (ორი ჯები და პირდაპირი მარჯვნიდან) გატარების შემდეგ, მანუელი ისევ მივარდა ჩემპიონს. ამჯერად, მისმა ორმა მოქნევამ მიზანს მიაღწია, ვიტალის შემხვედრი მარჯვენა დარტყმის შემდეგ, ჩარი რინგზე აღმოჩნდა. კლიჩკოს გონგმა არ მისცა უპირატესობის განვრცობის საშუალება.

ამის შემდეგ, უკრაინელის მხრიდან გრძელდებოდა მეტოქის ტრადიციული მეთოდური დამუშავება, რაც ასევე ერთგვარ მოთელვას ჰგავდა: ბევრი არაძლიერი, მაგრამ ზუსტი დარტყმა რაუნდის პირველ ნახევარში და რამდენიმე ძლიერი დარტყმა ბოლო წამებზე.

ნოკდაუნის შემდეგ იყო ვარაუდი იმის შესახებ, რომ ეს ბრძოლა ბოლომდე ვერ გასტანდა. მაგრამ ასეთ სწრაფ დასასრულსაც არავინ ელოდა. მეოთხე რაუნდში, ვიტალის ერთ-ერთმა გვერდითმა დარტყმამ წარბი გაუხეთქა პრეტენდენტს. ჩარის სახე და რინგი სისხლით შეიღება. მანუელმა მოახლოებული საფრთხე იგრძნო და ისევ წინ წავიდა, მაგრამ აქედან მხოლოდ ის მიიღო, რომ რამდენიმე საპასუხო დარტყმა გაატარა. რეფერიმ ექიმთან კონსულტაციისთვის ბრძოლა გააჩერა. მცირეხნიანი შემოწმების შემდეგ, მსაჯმა ბრძოლის შეწყვეტის ბრძანება გასცა, რითაც პრეტენდენტისა და მოსკოვური პუბლიკის აღშფოთება გამოიწვია.

აქ, რა თქმა უნდა, ჩნდება ანალოგია ვიტალი კლიჩკოსა და **ლენოქს ლუისის** ცხრა წლის წინანდელ სახელგანთქმულ ბრძოლასთან, როცა „დაჭრილის" როლში თავად უკრაინელი ვიხილეთ. მაგრამ მაშინ მსაჯმა და რეფერიმ ბრძოლა იმ დროს გააჩერეს, როცა ჭრილობა საშიში გახდა ვიტალის ჯანმრთელობისთვის. აქ კი ასეთი საფრთხე ჯერჯერობით არ არსებობდა. ასეა თუ ისე, უფროს კლიჩკოს სავსებით დამსახურებული გამარჯვება მიანიჭეს.

როგორც არ უნდა განვითარებულიყო მოვლენები შემდეგ რაუნდებში, საბოლოო შედეგი, ალბათ, ასეთივე დარჩებოდა. ცნობილია, რომ ჩარს არ აქვს თავის არსენალში ნოკაუტის მომტანი დარტყმა, ვიტალი კი თავის თამაშს თამაშობდა - ხშირი დარტყმები, რომელიც ღლის მოწინააღმდეგეს და ასეთი ტაქტიკა ბრძოლის მეორე ნახევარში იძლევა ეფექტს. მიუხედავად ამისა, ბრძოლა ძალიან ადრე დასრულდა. ჩარს თავიდან ისტერიკა დაემართა რინგზე, მაგრამ მალე დაწყნარდა და გამარჯვებულის გამოცხადების დროს, ღიმილით ულოცავდა ჩემპიონს ტიტულის შენარჩუნებას.

ბრძოლის შემდეგ ინტერვიუში ვიტალიმ ასე უპასუხა კითხვას კარიერის სავარაუდო დასრულების შესახებ: „*გაგრძელება იქნება...*" როგორც ჩანს, ეს მართლაც არ იყო ვიტალი კლიჩკოს ბოლო გამოსვლა რინგზე, მიუხედავად იმისა, რომ ის თავის ინტერვიუებში მუდმივად ლაპარაკობდა დიდი სპორტიდან პოლიტიკაში გადასვლის შესახებ.


ჩარს ბევრი სისხლი ადინეს

■ ■ ■

გასულ უქმეებზე კიდევ ერთი საჩემპიონო ბრძოლა კალიფორნიის შტატის ქალაქ ოკლენდში გაიმართა. მეორე საშუალო წონაში WBA-სა და WBC-ის ჩემპიონი, 28 წლის **ანდრე უორდი** ნახევრადმძიმე წონაში WBC-ის ჩემპიონს, 30 წლის **ჩედ დოუსონს** ხვდებოდა. თამაშდებოდა უორდის საჩემპიონო ქამრები.

დოუსონი უკეთ გამოიყურებოდა პირველ რაუნდში, მეორეში ბრძოლა გათანაბრდა, მესამედან კი უორდმა ინიციატივა მოიპოვა და ჰუკით მეტოქე ნოკდაუნში გაგზავნა. მეოთხე რაუნდში მეორე ნოკდაუნიც ვიხილეთ. სტატისტიკის მიხედვით, უორდმა მარტო მეოთხე რაუნდში 30 დარტყმა შეასრულა, დოუსონმა - მხოლოდ ექვსი. ბრძოლის ბედი პრაქტიკულად გადაწყვეტილი იყო, მხოლოდ ის იყო გასარკვევი, რამდენ რაუნდს გაუძლებდა დოუსონი. მეათე რაუნდში უორდის შეტევამ მორიგი ნოკდაუნი მოიტანა. მისი მეტოქე ისევ წამოდგა, მაგრამ სერიოზულად გაბრუებული ჩანდა. რეფერი **სტივ სმუგერის** კითხვაზე - „ბრძოლის შეწყვეტა ხომ არ გსურს?" - დოუსონმა თანხმობით უპასუხა. მეათე რაუნდში დაფიქსირდა ტექნიკური ნოკაუტით მოგება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

### ინგლისი

**I ლიგა**

| | |
|---|---|
| ბრენტფორდი-კოლჩესტერი | 1:0 |
| ბერი-პრესტონი | 1:2 |
| ქრიუ-ტრანმერი | 0:0 |
| ჰარტლპული-კარლაილი | 1:2 |
| ნოტსი-შრიუსბერი | 3:2 |
| სკანთორფი-შეფილდი | 1:1 |
| სუინდონი-ლეიტონი | 0:1 |
| უოლსოლი-მილტონი | 1:0 |
| იეოვილი-ბორნმუთი | 0:1 |
| ქოვენთრი-სტივენიჯი | 1:2 |
| ქროული-პორტსმუთი | 0:3 |

**II ლიგა**

| | |
|---|---|
| აკრინგტონი-ბრედფორდი | 1:1 |
| ბარნეტი-ჯილინგემი | 1:3 |
| როვერსი-ალდერშოტი | 2:2 |
| მორეკამბი-ფლიტვუდი | 0:4 |
| ნორთჰემპტონი-უიმბლდონი | 2:0 |
| ოქსფორდი-ექსეტერი | 2:4 |
| პორტ ვეილი-როტერჰემი | 6:2 |
| როჩდეილი-ბარტონი | 0:1 |
| საუთენდი-დაგენჰემი | 3:1 |
| ტორკი-პლიმუტი | 0:0 |
| უიკომბი-ჩელტენემი | 1:1 |
| იორკი-ჩესტერფილდი | 2:2 |

**ნაციონალი**

| | |
|---|---|
| ტელფორდი-ლინკოლნი | 1:1 |
| ალფრეტონი-ლუტონი | 3:0 |
| კემბრიჯი-რექსჰემი | 1:4 |
| ებსფლიტი-მენსფილდი | 3:1 |
| გეიტშიდი-დარტფორდი | 2:0 |
| გრიმსბი-ფორესტ გრინი | 1:0 |
| ჰაიდი-ჰერეფორდი | 5:2 |
| კიდერმინსტერი-საუთპორტი | 2:2 |
| მაკლსფილდი-ბრენტრი | 2:1 |
| ნიუპორტი-სტოკპორტი | 0:0 |
| ტამუორტი-ბაროუ | 1:3 |
| უოკინგი-ნანიტონი | 6:1 |

### იტალია

**სერია B**

| | |
|---|---|
| მოდენა-ვარეზე | 1:2 |
| ვერონა-რეჯინა | 2:0 |
| ბარი-ტერნანა | 2:0 |
| კროტონე-ჩიტადელა | 3:1 |
| ემპოლი-სასუოლო | 0:3 |
| იუვე სტაბია-ვიჩენცა | 1:1 |
| პადოვა-გროსეტო | 1:1 |
| პრო ვერჩელი-ლივორნო | 1:2 |
| ლანჩანო-ასკოლი | 1:1 |
| სპეცია-ბრეშა | 3:1 |
| ჩეზენა-ნოვარა | 1:4 |

**სერია C1/A**

| | |
|---|---|
| კაპრი-რეჯინა | 2:0 |
| კრემონეზე-ალბინოლეფე | 1:1 |
| კუნეო-ლეჩე | 1:2 |
| ენტელა-ტრევიზო | 4:1 |
| ფერალპისალო-ტრაპანი | 1:2 |
| ლუმეცანე-პორტოგრუარო | 1:1 |
| სან მარინო-ტრიტიუმი | 3:1 |
| ზუდტიროლი-პავია | 2:1 |

**სერია C1/B**

| | |
|---|---|
| ანდრია-პიზა | 1:1 |
| ბარლეტა-პერუჯა | 0:1 |
| ბენევენტო-ვიარეჯო | 2:0 |
| კარარეზე-აველინო | 0:1 |
| გუბიო-ფროსინონე | 1:0 |
| პაგანეზე-სორენტო | 2:0 |
| პრატო-ნოჩერინა | 0:0 |

### ესპანეთი

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| რეკრეატივო-მურსია | 3:2 |
| გვადალახარა-ბარსელონა B | 0:1 |
| მირანდესი-ნუმანსია | 0:0 |
| პონფერადინა-ვილიარეალი | 0:1 |
| საბადელი-ალმერია | 3:0 |
| ერკულესი-ხირონა | 2:1 |
| ლას პალმასი-ალკორკონი | 1:3 |
| რეალ კასტილია-ხერესი | 3:2 |
| კორდობა-ელჩე | 0:1 |
| უესკა-რასინგი | 1:1 |
| სპორტინგი-ლუგო | 1:1 |

### გერმანია

**რეგიონალლიგა (ჩრ)**

| | |
|---|---|
| ჰაველსე-ჰამბურგი II | 2:0 |
| ჰანოვერი II-ვიქტორია | 3:0 |
| რედენი-ვოლფსბურგი II | 2:2 |
| კლოპენბურგი-მეპენი | 2:0 |
| ნოიმიუნსტერი-ოზერნოილანდი | 1:1 |
| ოლდენბურგი-კილი | 1:0 |
| ვილჰელმშავენი-გოსლარერი | 1:2 |

**რეგიონალლიგა (დ)**

| | |
|---|---|
| შალკე II-ლოტე | 1:1 |
| ფორტუნა-დუისბურგი II | 4:2 |
| ფელბერტი-ვუპერტალერი | 1:1 |

**რეგიონალლიგა (ს-დ)**

| | |
|---|---|
| ჰოფენჰაიმი II-მანჰაიმი | 1:0 |
| ულმი-კობლენცი | 3:0 |
| ბაიერნი (ა)-ეშბორნი | 2:0 |
| ჰომბურგი-აინტრახტი II | 3:2 |
| ფრაიბურგი II-ვორმატია | 3:3 |
| პფიულენდორფი-ოგერშტაინი | 0:0 |

**რეგიონალლიგა (ბაიერნი)**

| | |
|---|---|
| ილერტისენი-ბამბერგი | 3:1 |
| ისმანინგი-გუხბახი | 0:0 |
| ბაიერნი II-ფრონლახი | 0:1 |
| ბაიერნ ჰოფი-ჰელმსშტეტენი | 0:1 |
| აუგსბურგი II-მიუნხენი II | 0:1 |
| ვიურცბურგერი-ელტერსდორფი | 1:2 |
| რაინი-ინგოლშტადტი II | 2:1 |
| ვიქტორია-როზენჰაიმი | 0:1 |

### საფრანგეთი

**ნაციონალი**

| | |
|---|---|
| ლე პუარი-რედ სტარი | 4:1 |
| ბასტია-კარკეფუ | 2:1 |
| ვანი-პონ დუ გარი | 1:0 |

### ბელგია

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ანტვერპენი-ლომელი | 1:1 |
| ეუპენი-ჰაისტი | 0:0 |
| სტ. ტრეიდენი-ვოვულვე | 0:2 |
| ტუბეკე-მუსკრონი | 0:0 |
| ოსტენდე-ოუდენაარდი | 4:0 |
| ბორინაჟი-ვიზე | 1:0 |
| რუზელარე-დესელი | 0:0 |
| ვესტერლო-აალსტი | 2:2 |

### პორტუგალია

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ავეში-ფრეამუნდე | 0:0 |
| მადეირა-სანტა კლარა | 2:1 |

### პორტუგალია

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| ლეიქსოეში-სეტუბალი | 0:1 |
| კოვილია-აკადემიკა | 2:0 |
| ნავალი-ჟილ ვისენტე | 1:1 |

### შოტლანდია

**Challenge Cup**

| | |
|---|---|
| არბროა-სტენჰაუზმური | 1:0 |
| ისტ სტირლინგი-კოუდენბითი | 1:2 |
| პარტიკი-რეითი | 3:0 |

### დანია

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ჰობრო-ბრონსჰოი | 1:0 |
| ვესტსიელანდი-ფრედერისია | 0:0 |
| აკადემისკი-ფინი | 1:2 |
| ლუნგბიუ-სკივე | 5:1 |
| ვიბორგი-კიოგე | 5:0 |

### ირლანდია

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ლონგფორდი-უექსფორდი | 2:0 |
| ფინ ჰარპსი-ეთლონი | 2:0 |

### ჩრ. ირლანდია

| | |
|---|---|
| ბალიმენა-დონეგალი | 3:3 |
| კლიფტონვილი-ბალინამალარდი | 0:1 |
| კოლრეინი-ლისბურნი | 2:1 |
| დუნგანონი-გლენტორანი | 1:3 |
| გლენავონი-კრუზეიდერსი | 1:0 |
| პორტდაუნი-ლინფილდი | 2:4 |

### ნორვეგია

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| რანჰაიმი-სანდეფიორდი | 1:2 |
| ბორუმი-ბრინი | 5:4 |
| სტრიომენი-ჰამ კამი | 0:4 |
| ბოდო გლიმტი-ულ კისა | 1:0 |
| კონგსვინგერი-ალტა | 4:0 |
| ნოტოდენი-მიონდალენი | 0:2 |
| სტარტი-ტრიომსდალენი | 3:3 |

### უელსი

| | |
|---|---|
| ებერისტვიტი-პორტ ტელბოტი | 0:5 |
| აფან ლიდო-ბალა | 1:0 |
| ტნს-ლანელი | 0:0 |
| ნიუთაუნი-ქონეჰსი | 1:3 |
| პრესტატინი-კარმარტენი | 7:1 |
| ეირბასი-ბანგორი | 2:3 |

### ბელარუსი

| | |
|---|---|
| სლავია-გომელი | 0:2 |

### ჩეხეთი

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ბოჰემიანსი-ტაბორსკო | 0:0 |
| პარდუბიცე-ვიქტორია | 0:1 |
| სოკოლოვი-ჩასლავი | 1:0 |
| მოსტი-უსტი | 1:3 |
| ოლომოუცი-ვარნსდორფი | 3:2 |
| ჟლინი-ოპავა | 2:2 |
| ბოჰემიანსი 1905-ზნოიმო | 1:0 |
| კარვინა-ვლაშიმი | 0:0 |

### ესტონეთი

| | |
|---|---|
| კურესაარე-პაიდე | 0:1 |

### ლატვია

| | |
|---|---|
| გულბენე-იურმალა | 0:1 |

### არგენტინა

| | |
|---|---|
| სან მარტინი-არსენალი | 4:0 |
| ატ. რაფაელა-ოლ ბოისი | 2:1 |
| ესტუდიანტესი-ველესი | 0:0 |
| სან ლორენსო-კოლონი | 2:1 |
| არგ. ხუნიორსი-ბოკა ხუნიორსი | 1:1 |
| ბელგრანო-რასინგი | 1:0 |
| ინდეპენდიენტე-კილმესი | 1:1 |

### ბრაზილია

| | |
|---|---|
| კორიტიბა-ფლამენგო | 3:0 |
| პონტე პრეტა-ფიგეირენსე | 2:2 |
| კორინთიანსი-გრემიო | 3:1 |
| ბოტაფოგო-ნაუტიკო | 3:1 |
| ინტერნასიონალი-ფლუმინენსე | 0:1 |
| სანტოსი-სან პაულუ | 0:0 |

### პარაგვაი

| | |
|---|---|
| გუარანი-ტაკუარი | 2:0 |

### პერუ

| | |
|---|---|
| უნ. პერუ-ინტი გასი | 0:0 |

### ურუგვაი

| | |
|---|---|
| დანუბიო-ლივერპული | 2:2 |
| ნასიონალი-სერო ლარგო | 2:0 |

### აშშ

| | |
|---|---|
| სიეტლი-ჩივასი | 2:1 |

## ჰოკეი

### ავსტრია

| | |
|---|---|
| გრაცი-ვილახი | 3:4 (ო) |
| ვენა-ალბა | 3:1 |
| ლინცი-ოლიმპია | 7:3 |
| ზაგრები-ზალცბურგი | 1:2 (ბ) |
| ზნოიმო-კლაგენფიურტი | 5:0 |
| ინსბრუკი-დორნბირნი | 5:6 (ო) |

## ჩოგბურთი

### ATP. აშშ-ის ღია

| | |
|---|---|
| ჯოკოვიჩი-ფერერი | 2:6, 6:1, 6:4, 6:2 |

### WTA. აშშ-ის ღია

| | |
|---|---|
| ს. უილიამსი-აზარენკა | 6:2, 2:6, 7:5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა



ნოვაკ ჯოკოვიჩი

# ორად გაყოფილი სუპერშაბათი

## ზედიზედ მეხუთედ მამაკაცთა ფინალი ორშაბათს გაიმართება

ამერიკის ღია პირველობის ერთ-ერთი ტრადიცია გახლავთ სუპერშაბათი, როცა ერთი დღის განმავლობაში თამაშდება კაცების ორი ნახევარფინალი და ქალებს შორის ფინალი. მაგრამ, უკვე რამდენიმე წელია, სუპერშაბათიდან მხოლოდ დასახელება დარჩა. ამინდს მუდმივად შეაქვს კორექტივები ტურნირის განრიგში, რის გამოც, ბოლო ოთხი წელია მამაკაცების ფინალი ორშაბათობით იმართება.

შაბათს, ამინდის სავარაუდო გართულების შესახებ წინასწარ იცოდნენ. ამიტომაც ნახევარფინალები ერთი საათით ადრე დაიწყეს, მაგრამ გრაფიკში მაინც ვერ ჩაჯდნენ. თანაც, პრობლემა მხოლოდ წვიმა არ იყო - ნიუ ორკში ძალიან ძლიერი ქარი ქროდა - დაახლოებით ისეთი, ტროპიკული შტორმების დროს რომ იცის. ამ დროს ხალხს სახლში დარჩენისკენ მოუწოდებენ, მაგრამ აშშ-ის ღიას ორგანიზატორები თავს უფლებას არ მისცემდნენ მთლიანად გაეუქმებინათ სათამაშო დღე.

პირველები კორტზე **ენდი მიურეი** და **ტომაშ ბერდიხი** გავიდნენ. ბრიტანელი ამ ეტაპზე მეტოქედ **როჯერ ფედერერს** ელოდა, მაგრამ შვეიცარიელმა მოულოდნელად წააგო ჩეხთან. ენდის ეს ფაქტი დიდად არ უნდა გახარებოდა, რადგან ბერდიხთან ექვს მატჩში მხოლოდ ორი მოგება ჰქონდა.

შეხვედრა საშინელ პირობებში მიმდინარეობდა. მატჩის მსვლელობისას კორტზე სხვადასხვა საგანი ცვიოდა, ერთხელ კი ქარმა სკამიააყირავა, რომელზეც ენდის ჩოგნებით სავსე ჩანთა იდო. ამან გავლენა იქონია პირველი სეტის მსვლელობაზე. კორტის ერთ კონკრეტულ მხარეს ჩოგბურთელები მუდმივად აგებდნენ საკუთარ გეიმებს, რადგან შემხვედრი ქარი ნორმალურად მოწოდების საშუალებას არ იძლეოდა. ბერდიხი და მიურეი ძლიერად ვერ ურტყამდნენ და უბრალოდ, ცდილობდნენ თამაშში დაეტოვებინათ ბურთი. ტომაში არაფერში ჩამორჩებოდა ენდის, ბოლოს მოუმატა და საათსა და 15 წუთში აიღო სეტი.

ყველაფერი მეორე სეტში შეიცვალა. მიურეიმ პირველმა აუღო ალღო თამაშის უჩვეულო პირობებს და ქარისგან სარგებლობაც ნახა. მაგალითად, კარგად შესრულებული მოჭრილი დარტყმა ორმაგად სახიფათო იყო კორტის ერთ-ერთ მხარეს, ხოლო, როცა საშუალება ჰქონდა, ენდი წინ მიდიოდა და კარგი შეტევა გამოსდიოდა. ბერდიხს კი უამრავი უნებლიე შეცდომა (64) დაუგროვდა.

ენდიმ დამაჯერებლად აიღო ორი სეტი, მესამეში 3:0-ს იგებდა და ორმაგი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა. თითქოს მატჩი მალე უნდა დასრულებულიყო, მაგრამ მიურეიმ მარტივი შემოვლითი დარტყმა ააცილა და ამის შემდეგ თამაშის სურათი შეიცვალა. ბრიტანელმა ჯერ მეტოქის გეიმი წააგო, შემდეგ თავისი და ბერდიხს შანსი მისცა. ქარი ოდნავ ჩადგა და ამან გავლენა იქონია ჩეხის თამაშზე - მისი საფირმო დარტყმები მარჯვნიდან უკვე ხშირად აღწევდა მიზანს. მან 5:2 წაიყვანა ანგარიში ტაი-ბრეიკზე, მაგრამ ენდიმ ბრწყინვალე დარტყმებით გაათანაბრა ანგარიში, 5:6-ზე კი სეტბოლი გადაარჩინა. ბოლოსკენ მიურეიმ გადაწყვიტა, უბრალოდ, თამაშში დაეტოვებინა ბურთი, ტომაშმა კი ორი შეცდომა დაუშვა და ბრიტანელმა ოთხ სეტში მოიგო - 5:7, 6:2, 6:1, 7:6(7).

■ ■ ■

ამის შემდეგ კორტზე **დავიდ ფერერი** და **ნოვაკ ჯოკოვიჩი** გავიდნენ, მაგრამ მხოლოდ 30 წუთი ითამაშეს. ნიუ იორკს ძლიერი ქარიშხალი უახლოვდებოდა და ორგანიზატორებმა ადგილობრივ პოლიციასთან ერთად გადაწყვიტეს თამაშისნაადრევად დასრულება, ისე რომ, წვიმას არც კი დალოდებიან. მაყურებელს სთხოვეს, რაც შეიძლება სწრაფად დაეტოვებინათ სტადიონი, რადგან იქ დარჩენა სახიფათო იყო.

ნახევარ საათში ფერერმა მეტად ხარისხიანი ჩოგბურთი აჩვენა და თავიდანვე შეეგუა რთულ პირობებს, იმ დროს, როცა ნოვაკი ბევრს ცდებოდა. შედეგად, დავიდი ორი ბრეიკით დაწინაურდა - 5:2. მატჩის განახლება მეორე დღეს, თბილისის დროით 19 საათზე დანიშნეს.

თამაში იმით განახლდა, რომ ესპანელმა პირველ სეტზე წარმატებით ჩააწოდა და პარტია 6:2 მოიგო, მაგრამ ამით დავიდის წარმატებები დასრულდა. მომდევნო სამ პარტიაში ჯოკოვიჩმა, საერთო ჯამში, ექვსი ბრეიკი გააკეთა და მხოლოდ ერთხელ დათმო საკუთარი მოწოდება. ჩოგბურთელებმა კორტზე ორი საათი და 32 წუთი გაატარეს, რომლის დროსაც ჯოკოვიჩმა შვიდი ეისი გააკეთა ფერერის ერთი ეისის წინააღმდეგ. ნოვაკსა და დავიდს შორის ურთიერთშეხვედრებში ანგარიში გახდა 9:5 ჯოკოვიჩის სასარგებლოდ.

კვირისთვის გადაიტანეს ქალების ფინალი - ის ჩვენი დროით 00:30-ზე უნდა დაწყებულიყო. რაც შეეხება მამაკაცების ფინალს, ზედიზედ მეხუთედ გადამწყვეტი მატჩი ორშაბათს, თბილისის დროით ზუსტად შუაღამეს დაიწყება.

### კაცები

### 1/2 ფინალი

**ენდი მიურეი** (ბრიტ, 3)-ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 6) 5:7, 6:2, 6:1, 7:6(7); **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (სერ, 2)-დავიდ ფერერი (ესპ, 4) 2:6, 6:1, 6:4, 6:2.

### ქალები

### 1/2 ფინალი

**ვიქტორია აზარენკა** (ბლრ, 1)-მარია შარაპოვა (რუს, 3) 3:6, 6:2, 6:4; **სერენა უილიამსი** (აშშ, 4)-სარა ერანი (იტა, 10) 6:1, 6:2.

**გია თვალაბეიშვილი**










დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** *ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:* ***ნიკოლოზ ნეფარიძე***

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელაია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge* ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:35

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07


რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608